„ალიას“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 მარტს

ფასი 70 თეთრი

N27/3343/ 16 მარტი 2016 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## საჭიროა თუ არა სუს-ი და რატომ არ უნდა გაუქმდეს „ოდეერი“?

რას ამბობს უსაფრთხოების ექსპერტი



8

რა საფრთხეები გადაიფარა პორნოსკანდალებით და რა გაკვეთილი მიიღო ამით მოსახლეობამ?



5

რა ფუნქციებს წაართმევს შსს „სითი პარკს“ და რა იცვლება ავტომფლობელებისთვის?

C.T.PARK

6

ვინ არის 5 პირი, რომლებიც ფარული ჩანაწერების საქმეზე პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა?



8

რისთვის შეხვდნენ შს მინისტრის მოადგილეები არასამთავრობოებს და რა ინფორმაცია დამალა სამინისტრომ?



4

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## რა პროგრამები არსებობს ფარული ვიდეოების გასავრცელებლად და რით დაგვეხმარება „ეფ-ბი-აი“?

9

## 19 მარტს, 14 საათზე ამერიკის საელჩოს ტერიტორიიდან შსს-ს წინააღმდეგ ავტომობილებით საპროტესტო მსვლელობა იწყება

7

## 5 მოთხოვნა და სტუდენტების ულტიმატუმი კვირიკაშვილს

რას აპირებენ და რას არ პატიობენ სტუდენტები პრემიერს?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

რატომ ჩაიჭრა გამოცდაზე 6 477 პედაგოგიდან 83%? სად არის პრობლემა — პედაგოგებში თუ განათლების სისტემაში?

10



მილიარდნახევარ ლარზე მეტი საქართველოს ეკონომიკაში მაგთიკომისგან!

1 500 000 000

2016 წლის 15 მარტის მდგომარეობით, მაგთიკომმა დაფუძნების დღიდან, მხოლოდ გადასახადების სახით, 1,503,120,861.71 ლარი შეიტანა საქართველოს ეკონომიკაში.

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

## განათლების სამინისტროში თსუ-ს საკითხზე გამართული შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა



განათლების სამინისტროში თსუ-ს საკითხზე გამართული შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ აქციას თვითმმართველობის წარმომადგენლები წყვეტენ. შიმშილობას ლადო პაპავას გადადგომის მოთხოვნით რექტორის მისაღებში თვითმმართველობის პრეზიდენტი, შალვა საბაური გააგრძელებს.

განათლების მინისტრის განცხადებით, ერთადერთი საკითხი, რომელზეც გადაწყვეტილება ჯერჯერობით ვერ მიიღეს, რექტორის გადადგომის საკითხია.

სანიკიძის ინფორმაციით, თსუ-ში „ოდეერის“ სისტემის შესაძლო არსებობაზე მოკვლევა მიმდინარეობს.

მისივე თქმით, გაგრძელდება მუშაობა უნივერსიტეტში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ხოლო გადადგება თუ არა ვლადიმერ პაპავა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი გადასაწყვეტია.

– ვერავინ გაექცევა თავის წილ პასუხისმგებლობას. ვითარების დეესკალაციას ხელი უნდა შეუწყოს უნივერსიტეტის რექტორმაც, საბჭოებმაც, სტუდენტებმაც, დანარჩენს კი უფროსები მივხედავთ, – განაცხადა განათლების მინისტრმა. (ნიუპოსტი)

## მე პირადად ბიძინა ივანიშვილი მაშანტაჟებდა – ნიკა გვარამია



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის თქმით, მას პირადად ბიძინა ივანიშვილი აშანტაჟებდა:

– ის, ვინც იძიებს და ვინც დანაშაულს სჩადის, არის ბარიკადების ერთ მხარეს, ამიტომ გამორიცხულია, რომ ეს საქმე გამოძიებულ იქნას. ოღონდ, ეს ახლა, თორემ ეს საქმე აუცილებლად მივა ბოლომდე. თუ ბიძინა ივანიშვილს სჯერა, რომ სამუდამოდ არის ხელისუფლებაში, ეს უკვე ძალიან მძიმე დიაგნოზია და ნიშნავს, რომ კიდევ უფრო სწრაფად წავა, ვიდრე ჩვენ გვგონია. ყველა საქმე იქნება გამოძიებული ბოლომდე. მე ეს ყველაფერი არ მიკვირს. 2012 წელს, როდესაც ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიქნებოდი ასეთი შანტაჟის მსხვერპლი. მე პირადად ბიძინა ივანიშვილი მაშანტაჟებდა, სხვების მეშვეობით, – განაცხადა ნიკა გვარამიამ. (ნიუპოსტი)

## როგორ უნდა მიაკვლიონ ფარული ჩანაწერების გამავრცელებლებს – სპეციალისტების განმარტებები

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ინტერნეტსივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალების განთავსებამ თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც ბრძოლის იარაღად გამოყენებული ბერკეტი, ისე წარმოაჩინა. საინტერესოა, ტექნიკური თვალსაზრისით როგორ ხდება მსგავსი ვიდეოკადრების ატვირთვა ინტერნეტსივრცეში, რა პროცედურებია ვიდეო გაავრცელა, ჰაკერულად შეეღწია სრულიად უდანაშაულო ადამიანის კომპიუტერში, განეთავსებინა ვიდეო ისე, რომ მეპატრონეს ამის შესახებ ვერ შეეტყო.

მისივე თქმით, ძალიან რთულია, რაიმე ტექნოლოგიური საშუალებით მოხდეს ვიდეოგამავრცელებლის იდენტიფიცირება.

– IP მისამართის ცოდნის შემდეგ გაირკვევა, რომელი კავშირ- არსებობს უარესი ვერსია – შესაძლოა, პირმა ჰაკერულად შეაღწია რომელიმე უდანაშაულო ადამიანის კომპიუტერში და იქიდან გაავრცელა ეს ვიდეო.

პრაქტიკულად, მე ვერ ვხედავ საშუალებას, რომ ამ პირს მიაგნონ, იმიტომ, რომ ეს ტექნოლოგიურად ძალიან ძნელია და ამ ბარიერს, როგორც წესი, ყველა ქვეყნის შესაბამისი სამსახურები აწყდებიან, – ს. საქართველოს მთავრობას არავითარი ლეგალური საფუძველი არ აქვს, პირდაპირ მივიდეს და მოსთხოვოს google-ს, მისცეს კონკრეტული ინფორმაცია.

ამისთვის აუცილებელია ქვეყანამ მიმართოს google-ის ადმინისტრაციას და გამოითხოვოს IP მისამართები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება google-მა მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომელი IP-დან






საჭირო, რომ დადგინდეს, რომელმა ინტერნეტმომხმარებელმა და რა ტერიტორიიდან ჩაიდინა დანაშაული.

კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი გიორგი ქადეიშვილი ამბობს, რომ ვიდეო შესაძლოა, ატვირთულიყო როგორც ინტერნეტკაფედან, ასევე, რომელიმე თავისუფალი WI-FI-ს მეშვეობით, რაც, მისი თქმით, პირის იდენტიფიცირების პროცესს კიდევ უფრო გაართულებს.

სპეციალისტი არ გამორიცხავს, რომ პირს, რომელმაც აღნიშნული გაბმულობის ოპერატორიდან აიტვირთა ქსელში ვიდეო. ეს ვიდეო შეიძლება ატვირთულიყო ინტერნეტკაფედან, WI-FI-ს მეშვეობით, მაგალითად, პირი გაჩერებულიყო მანქანით რომელიმე რესტორნის ან სხვა დაწესებულების მახლობლად, რომელსაც აქვს ინტერნეტზე თავისუფალი წვდომის სერვისი და იქიდან აეტვირთა ეს ვიდეო. ძალიან მეეჭვება, რომ ვინმეს ეს ვიდეო პირადი კომპიუტერიდან გაევრცელებინა, მაშინ დილეტანტთან უნდა გვქონდეს საქმე.

აცხადებს გიორგი ქადეიშვილი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი გვენეტაძე კი ამბობს, რომ, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომელი IP მისამართიდან გავრცელდა აღნიშნული ვიდეო, ეს ინფორმაცია კი google-მა უნდა გასცეს, რასაც შესაბამისი პროცედურები სჭირდება.

– აღნიშნული ვიდეო აიტვირთა youtobe-ზე. როგორც მოგეხსენებათ, youtobe ეკუთვნის google- აიტვირთა აღნიშნული ვიდეო. თუ, ვთქვათ, რომელიმე ინტერნეტკაფედან აიტვირთა, უნდა ჩატარდეს მოკვლევა, ვიდეოს გავრცელების დროს ვინ იმყოფებოდა აღნიშნულ ინტერნეტკაფეში. თუ აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნის ტერიტორიიდანაა ატვირთული, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა მიმართონ იმ ქვეყნის სამსახურებს და ერთობლივად ითანამშრომლონ პირის დადგენის მიზნით. ანუ ეს არც ისე მარტივი პროცედურაა, – აცხადებს ირაკლი გვენეტაძე. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ცხოვრება ქვეყანაში, სადაც სუს-ი გასუსულია“

– საზოგადოებას პრეტენზია აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსთან და მის უსუსურობასთან, – ამ განცხადებას ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ბოლო დღეების განმავლობაში გავრცელებული ფარული ჩანაწერების საკითხთან დაკავშირებით აკეთებს.



ცისკარიშვილი სუს-ისა და მისი ხელმძღვანელობის არაკვალიფიციურობაზე მიანიშნებს. მისი თქმით, ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელებამ ყველა საკითხი გადაფარა და საზოგადოება შოკირებულია:

– იმდენად ფართოა ამ თემის გაშუქება, რომ, სამწუხაროდ, მან ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თემები დათრგუნა. თუნდაც ის ფაქტი, როგორ მოიწევს ამ დღეებშიც რუსეთი საქართველოს სიღრმისკენ, როგორ ართმევენ ხალხს არა მარტო სახნავ-სათეს მიწებს, არამედ საკუთარი წინაპრების სასაფლაოებს. ეს თემა საერთოდ არ ჟღერდება, რადგან მართლა შოკირებულია მთელი საზოგადოება. უსუსურობა, ვის მიმართაც არის პრეტენზიები საზოგადოების მხრიდან, რასაკვირველია, ასოცირდება ორგანიზაციასთან, რომელსაც ჰქვია სუს-ი და რაც უფრო ტკივილისმომგვრელია, ეს გახლავთ ცხოვრება ქვეყანაში, სადაც სუს-ი გასუსულია. რაიმე ორი ფრაზა მაინც ეთქვათ დალოცვილებს, რომ აქ ვართ, ვიწყებთ, რაღაცას ვიზამთ.

გასუსული სუს-ი ვერაფერი სიკეთის მომტანია ვერც ერთი მიმართულებით, მაგრამ რა ვუყოთ იმ სუს-ს, რომელსაც სათავეში უდგას კეთილი ადამიანი და ღირსეული მოქალაქე, რომელსაც არ გაუვლია არანაირი კურსი სახელმწიფო უსაფრთხოების დარგში. მან იცის, როგორ დაიცვას ერთი კერძო პირი რაიმე მუჯლუგუნისგან და რა ქნას, მაგისი ბრალი არაფერი არ არის. კვალიფიცირებული კადრები არსებობდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის შუიდან 21-ე საუკუნემდე. მერე ეს ყველაფერი გადავიდა სრულიად არაკვალიფიცირებულ სივრცეში და უამრავი პროფესიონალი, რომელიც განურჩევლად იმისა, ვისი პრეზიდენტობის დროს იყვნენ დასაქმებული, ბევრად უფრო საინტერესო არიან და იმედი მაქვს, რომ მათ რჩევისთვის მაინც მოიწვევენ და არ იქნებიან იმის მოლოდინში, რა შეფასებებს მისცემენ ყველაზე გავლენიანი ადამიანები ამა თუ იმ კუთხიდან დანახულ რეალობას, – აცხადებს სოსო ცისკარიშვილი. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „1 აშშ დოლარის ფასმა შესაძლოა, 2,20 ლარამდე დაიკლოს“

ეკონომიკის ექსპერტების პროგნოზით, ეროვნული ვალუტის გამყარების ტენდენცია გაგრძელდება.




ეკონომიკის ექსპერტ მიხეილ დონდუას ვარაუდით, 1 აშშ დოლარის ფასმა დაახლოებით 3 თვის შემდეგ, შესაძლოა, 2,20 ლარამდეც დაიკლოს.

– აბსოლუტურად მოსალოდნელია ლარის გამყარება. ის კურსი, რომელიც დღეს არის, აბსოლუტურად რეალურია. ნორმალურ პირობებში, ეროვნული ბანკის მხრიდან, სწორი პოლიტიკის გატარების პირობებში, ყოველგვარი პოლიტიკური მანევრის მოშორებით, შესაძლებელია, რომ კურსი ჩამოყალიბდეს დაახლოებით, 3 თვის პერიოდში 2,20 ლარს შორის დიაპაზონზე. ეს არის ის მდგომარეობა, სადაც ნორმალურ პირობებში, დღეს, ვალუტის კურსი უნდა იყოს. ქადაგიძის წასვლის შემდეგ დაიწყო ლარის გამყარების პროცესი. მოიხსნა პოლიტიკური ზეწოლა და კურსი თანდათან უბრუნდება იმ ბუნებრივ ნიშნულს, სადაც უნდა იყოს. მომავალში, ლარის გამყარებას ველოდები, – აცხადებს მიხეილ დუნდუა.

ექსპერტ სოსო არჩვაძეს უჭირს იმის პროგნოზირება, რა ნიშნულზე გამყარდება ლარი დოლართან მიმართებაში, თუმცა ის, რომ გამყარება მნიშვნელოვანი იქნება, ამაში ეჭვი არ ეპარება.

– გარკვეული ფაქტორები ადასტურებს იმას, რომ ლარის დოლართან მიმართებაში გამყარების ტენდენცია გაგრძელდება. ვალუტის გამყარება უკავშირდება მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის დაცემას, ასევე, ჩვენს ძირითად სავაჭრო პერტნიორებში ვალუტის კურსის გამყარებას. ძალიან ბევრი შრომითი მიგრანტი გვყავს სხვადასხვა ქვეყანაში და მათი შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ამ ქვეყნების სავალუტო კურსს. მათ შორის, იმავე რუსეთის ფედერაციაში რუბლის სტაბილიზაცია პოზიტიური გავლენის მომხდენია ფულად ტრანზაქციებზე, – განაცხადა ექსპერტმა.

კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია, ლარი ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს, სოსო არჩვაძე აცხადებს, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

– ჩემი პროგნოზი ლართან მიმართებაში პოზიტიური და ოპტიმისტურია, – ამბობს ექსპერტი. (pia.ge)

## „100 პროცენტით დარწმუნებული გეუბნებით, რომ იღებენ ახალ ვიდეოკადრებს“ – ირაკლი ალასანია



„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ფარულ კადრებთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას დადებითად და ადეკვატურად აფასებს. ალასანიამ გამბედაობა ჟურნალისტ ინგა გრიგოლიასაც შეუქო და აღნიშნა, რომ შანტაჟზე ინგა გრიგოლიამ სწორი პასუხი გასცა.

– ჩვენს ქვეყანაში აშკარად პიკში შევიდა დაპირისპირება ბნელ, წარსულ, 90-იანების მენტალიტეტში ჩარჩენილ საზოგადოების ნაწილსა და პროგრესულ საქართველოს შორის. საზოგადოების პოლარიზაციისთვის იყენებენ საარჩევნო სივრცეს. მე ვერ ვიხსენებ ვერც ერთ დროს, რომ ასეთი რამე ეკადროს ხელისუფლებაში მყოფ ძალას. სპეცსამსახურები პოლიტიკურ ოპოზიციასა და ჟურნალისტებს ასეთი ჩანაწერებით აშანტაჟებდნენ, მაგრამ მე არ მახსენდება, რომ ასეთი ვიდეოჩანაწერები მასიური მოხმარებისთვის გამოეტანათ. 2012 წელს მოსული ხელისუფლება სრულიად უუნარო აღმოჩნდა იმ მთავარი დაპირების შესრულებაში, რასაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ჰქვია, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ალასანიას თქმით, ბოლო პერიოდის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი პოლიტიკური ცხოვრების კონტურები გამოიკვეთა და პრემიერის, პრეზიდენტისა და ოპოზიციის ურთიერთობაში გარკვეული პოზიტივი შეინიშნებოდა. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის თქმით, გარკვეულ ძალას სწორედ ეს დადებითი ძვრები არ მოსწონს და ცდილობს, ქვეყანაში არეულობა შეიტანონ.

ალასანიას თქმით, თუ საზოგადოება შანტაჟს დამორჩილება და ამ მოვლენების წინააღმდეგ არ გაერთიანდება, პროცესები დემოკრატიასა და სახელმწიფოს წალეკავს.

– ჩვენს ქვეყანაში არაფორმალური მმართველობა არსებობს და ამ მმართველობის ქვეშაა სპეცსამსახურები. 100 პროცენტით დარწმუნებული გეუბნებით, რომ იღებენ ახალ ვიდეოკადრებს და სპეცსამსახურები ამ მიმართულებით მუშაობენ. თითქოს პასუხისმგებლობიდან განრიდებულია გარკვეული ჯგუფები, ფარცხალაძის მხრიდან არაფორმალურად იმართება პროკურატურა. არაფორმალურად იმართება უშიშროების სამსახურიც. აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ გარკვეული ძალები პრემიერ-მინისტრისა და შს მინისტრის გვერდის ავლით ახორციელებენ საზოგადოების მორალურ ტერორს, – აცხადებს ირაკლი ალასანია. (ნიუპოსტი)

# რა დაუწერა შვილმა ინგა გრიგოლიას სკანდალური განცხადების შემდეგ



– დედა მსოფლიოში ყველაზე მაგარი ხარ! მე ვამაყობ შენით... – წერს ინგა გრიგოლიას ქალიშვილი მარიამი სოციალურ ქსელში მას შემდეგ, რაც მოვლენები დრამატულად განვითარდა.

გავრცელებულ უკანონო ფარულ ვიდეოში დაანონსებული იყო რამდენიმე ცნობილი სახე, ვისზეც შემდეგ უნდა გავრცელებულიყო უკანონო ფარული ჩანაწერი. მათ შორის იყო დასახელებული ინგა გრიგოლია. ამ თემაზე ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში ვრცელი კომენტარი გააკეთა:

– ვინც იცით და ვინც ჯერ კიდევ არ იცით, მორიგი ვიდეო გავრცელდა, რომლითაც სხვებთან ერთად ჩემი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების გასაჯაროებით დამემუქრნენ, თუ ქვეყანას არ დავტოვებ. მოგესალმებით ყველას, ვინც ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, მიყურებთ და მისმენთ მიუხედავად იმისა, მოგწონთ თუ არა ის, რასაც ამდენი წელია ვაკეთებ...

მოგესალმებით თქვენც, ვისაც ასე ძალიან გინდათ, რომ მე ახლა აქ არ ვიჯდე, მოგესალმები შენ, ვისაც ასე ძალიან გინდა, რომ შანტაჟის შიშით ქვეყანა დავტოვო და ჩემს საქმეზე უარი ვთქვა იმიტომ, რომ შენ კომფორტულად იგრძნო თავი... მე ინგა ვარ გრიგოლია...

ქალი, შვილი, დედა, და, მეგობარი, მყავს არაჩვეულებრივი შეყვარებული, მაქვს სექსი და ასეც ვაპირებ, გავაგრძელო ჩემი ცხოვრება. ხოლო თქვენ კი, ვინც ჩემი პირადი ცხოვრების გასაჯაროებით მემუქრებით და მოითხოვთ, რომ ქვეყანა დავტოვო, პირობას გაძლევთ, თავს შევაკლავ ჩემი და სხვა ადამიანების უფლებების დაცვას და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ციხეში მრავალი წლით აღმოჩნდეთ ამ კადრების გადამღებიც და განმახორციელებელიც. წლების წინათ მე შვილის მოკვლის მუქარამ ვერ გამაჩერა და ვერ გამაჩუმა და ეს გამოუძიებელი საქმე დღემდე გამოუძიებელი დევს სოდ-ში, თუმცა არასოდეს ამაზე პირდაპირ ეთერში არ მისაუბრია. ახლა კი გადავწყვიტე, სწორედ პირდაპირ ეთერში ღიად გავხსნა თემა და პირობა დავდო, რომ ბოლომდე ჩავყვები ჩვენი უფლებების დაცვას და ვერანაირი შანტაჟით ვერ გამაჩუმებთ... – განაცხადა ინგა გრიგოლიამ. (etanews.ge)

# „მაესტროს“ გაკოტრების პროცესი შეწყდა

შპს „სტუდია მაესტროს“ გაკოტრების პროცესი შეწყდა. შესაბამისი გადაწყვეტილება რამდენიმე „მაესტროს“ კრედიტორთა პოზიციის გათვალისწინებით მოსამართლემ მიიღო.

კრედიტორთა უმეტესობამ „მაესტროს“ გაკოტრების პროცესის შეჩერებას მხარი დაუჭირა, რამდენიმემ თავი შეიკავა, რამდენიმე კი წინააღმდეგი წავიდა.

კრედიტორებს არხის გენერალურმა დირექტორმა ლევან გაჩეჩილაძემ ყველა ვალის დაფარვის პირობა მისცა. (ინტერპრესნიუსი)


ნინო ლაბარტყავა

571 99-92-33




# ვინ დგას თსუ-ში დაწყებული დაპირისპირების უკან? რატომ არ გამოიძიეს ფარული ვიდეოების ძველი ფაქტები? რას უკავშირდება ლარის გამყარება?



**„ალიას“ „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ლექტორი, ექსპერტი ელენე ხოშტარია ესაუბრა:**

**— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარება სულ უფრო იძაბება. ამის მიზეზად სხვადასხვა ვერსიეი სახელდება. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ხდება?**

– მიუხედავად იმისა, ვის მოსწონს კონკრეტული ჯგუფი და ვის – არა, ან შეიძლება ყველა სრულად არ ეთანხმებოდეს ყველა მოთხოვნას, – რეალურად, ერთ მხარეს არის სტუდენტური ჯგუფი, რომელსაც აქვს ძალიან ლეგიტიმური მოთხოვნა, რომ უნივერსიტეტში „ოდეერის“ ინსტიტუტი არ უნდა იყოს და ზოგადად, უნდა იყოს ბევრად უფრო თავისუფალი გარემო. მეორე მხარეს არის ჯგუფი, რომელსაც თვითმმართველობას ვერ დავარქმევდი, რადგან ის პირდაპირ არის სუს-ით მხარდაჭერილი, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს სახელმწიფო გავლენა უნივერსიტეტზე. ჩვენ ვხედავთ ძალადობის ფაქტებს ამ თვითმმართველობის ჯგუფებიდან. რაც მთავარია, ჩვენ ვხედავთ პოლიციისა და ნაწილობრივ, დაცვის ხელშეწყობას ამ პროცესების მიმართ, ანუ ცალსახაა, რომ ისინი არიან მხარდაჭერილები სუს-ის, სახელმწიფოს მხრიდან, რაც, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე უბრალოდ ორ რაღაც ჯგუფს შორის კამათი. პირდაპირ, ღიად ითქვა მთავრობის მხრიდან, რომ „ოდეერის“ ინსტიტუტი არის საჭირო. მეორეს მხრივ, სახელმწიფო არაფერს აკეთებს და ამ მომენტამდე აბსოლუტურად არაფერი გაკეთებულა იმ ძალადობის აღკვეთისთვის, რაც იქ ხდება. ძალადობაა, როცა იჭრები რექტორის კაბინეტში და არავინ ამისთვის არავის არ სჯიან. იქ იყო ფაქტები, როდესაც, მაგალითად, პოლიცია უკანა კარიდან თვითმმართველობის ნიღბიან, აგრესიული ჯგუფის წევრებს უშვებდა უნივერსიტეტში.

**— სადამდე შეიძლება მივიდეს ეს პროცესები? რას შეიძლება ველოდოთ?**

– პრობლემა ჯერ ისაა, რომ საერთოდ ვიღაცას თავში მოსდის, უნივერსიტეტში „ოდეერის“ ინსტიტუტის არსებობა გაამართლოს, ანუ ზოგადად ასეთი დამოკიდებულება პრობლემაა. მეორე: ასეთი კონფლიქტები შეიძლება გადაიზარდოს ძალიან უსიამოვნო დაპირისპირებაში და ამას შეიძლება ქვეყანაში ქაოსი მოჰყვეს. საშიშია, თუნდაც, იმიტომ, რომ ცალკეული ინციდენტების შედეგად ვიღაცები არ დაშავდნენ.

**— პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, პროკურატურამ განაცხადა, რომ ეჭვმიტანილები დააკავეს და გამოძიების ბოლომდე მისაყვანად, დახმარებისთვის „ეფბიაის“ მიმართეს. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება მაინცდამაინც ახლა ამ ვიდეოების გასაჯაროება და ვინ შეიძლება იდგეს ამ ყველაფრის უკან?**

– მე ვერ ჩავატარებ გამოძიებას და ვერ ვიტყვი, ვინ შეიძლება იდგეს ამის უკან, მაგრამ საგანგაშოა, რომ პირადი კადრებით მანიპულირება იქცა პოლიტიკური ბრძოლის ნაწილად. თან ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გამოძიება აბსოლუტურად არ მომხდარა, არავის დაუდგენია ჭეშმარიტება, ან თუ მოხდა გამოძიება, არ დასჯილა ამის გამკეთებელი, არასდროს არ ყოფილა სათანადო პასუხი გაცემული. პრობლემა არის ის, რომ სახელმწიფომ შექმნა ვითარება, სადაც ასეთი რაღაცები შეიძლება ხდებოდეს და რა თქმა უნდა, ის, რომ გამოძიება რაღაცას დაადგენს, ძალიან საეჭვოა. კარგია, თუ „ეფბიაი“ ჩაერთვება. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აქამდე არ მომხდარა არც ერთხელ გამოძიება... მაგალითად, ნიკა გვარამიას შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ გამოიძიებდნენ, რადგან აქ საუბარი იყო სახელმწიფოსა და „რუსთავი 2“-ის ჭიდილში სახელმწიფოს მხრიდან გვარამიას შანტაჟსა და მანიპულირებაზე. მინისტრები, მთავრობის წარმომადგენლები საუბრობენ თავიანთ სექსუალურ ცხოვრებაზე მაშინ, როდესაც ეს კი არ არის მთავარი, მთავარია, ვიღაცამ პასუხისმგებლობა აიღოს ამაზე და ეს პროცესი აღკვეთოს. ძველი კადრების მიმართ, რაც 2012 წლამდე იყო გადაღებული, არ იყო ადეკვატური გამოძიება, საზოგადოების ინტერესშია არა ამ კადრების ქალაქების ცენტრებში ჩვენება, არამედ გამოძიება, ვინ გააკეთა ეს ჩანაწერები და შეძლებისდაგვარად მათი დასჯა. გამოძიება არ ჩატარებულა, შესაბამისად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას ამ ძველი კადრებით მანიპულირება უფრო აწყობს, ვიდრე სიმართლის დადგენა. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ლამის, ყოველდღიურ რეჟიმში ახალ-ახალ კადრებს ვუყურებთ. არავინ არის დაზღვეული, რომ კიდევ არ გამოქვეყნდება. თან ჩვენ ვართ წინასაარჩევნო პერიოდში და რა ტიპის მანიპულირებები იქნება ამით, კაცმა არ იცის. ეს კი საშინლად დააზარალებს ჩვენს პოლიტიკურ კლიმატს და ეს ძალიან ცუდია ჩვენი საერთაშორისო იმიჯისთვის.

**— სასამართლო ილია კიკაბიძეს „მაესტროს“ ლოგოს გამოყენება აუკრძალა, ამასთანავე, „მაესტროს“ გაკოტრების საქმის წარმოება შეწყვიტა. ბაია გადაბაძე აცხადებს, სასამართლო დამოუკიდებელი არ არისო. გამოდის, სასამართლო ისევ ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს?**

– პირველ რიგში, რაც ვიცით, იმით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ: ვიცით „რუსთავი 2“-ის შემთხვევა, სადაც სასამართლოთი მანიპულირება მოხდა, დეტალებს აღარ გავიმეორებ, უბრალოდ იქ ცალსახა იყო ხელისუფლების ჩარევის მომენტი. სანამ არ მოხდა ამერიკის, ევროკავშირისა და ნაწილობრივ, სამოქალაქო საზოგადოების მძლავრი ჩარევა, მანამდე ეს პროცესები არ შეჩერდა და ბევრი რამ დაირღვა მიმართებაში. ამიტომ იმაში, რომ სახელმწიფო „მაესტროს“ ამბავში ერეოდეს, გასაკვირი არაფერია. მეორე, რაც არ არის გასაკვირი: ძალიან საეჭვოა ეს ფინანსური გადაწყვეტილება, რატომ მოუნდა „იმედის“ ხელმძღვანელობას, მისცეს ფული ადამიანებს, რომლებიც ადრე ყოველთვის გარეულნი იყვნენ მსგავს სიტუაციაში და რატომ ხდება ასე მიზანმიმართულად იქიდან ნაწილის გამოშვება და სარედაქციო პოლიტიკის ხელში ჩაგდება? მე არ ვიცი, ამის უკან რა მოტივი ან ჯგუფი დგას, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან საეჭვო გარიგებაა, რაც საშუალებას აძლევთ, გავლენა გაძლიერდეს სახელმწიფოს მხრიდან „მაესტროზე“.

**— დოლართან მიმართებაში ლარი უკვე საგრძნობლად მყარდება. ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ეს პროცესი ქადაგიძის წასვლამ განაპირობა. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია რეალურად ლარის გამყარება?**

– მესმის, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ადამიანს უნდა, ეს ქადაგიძეს დაჰბრალდეს, მაგრამ ამ პროცესს ძალიან საგნობრივი, კარგი ეკონომიკური ანალიზი სჭირდება. არის მთელი რიგი მოსაზრებები, ჯერ ერთი, იმაზე, რამდენად სტაბილურია ეს გამყარება, მერე დამოკიდებულია კონკრეტულ მომენტზე, რადგან იქ დღგ-ს გადახდის ვადა არის, რომ ნაწილობრივ ექსპორტი გაიზარდა... ფაქტი ერთია: ქადაგიძემ, რაზეც მას „აწვებოდნენ“, რომ გამოეყენებინა რეზერვები და ამით გაემყარებინა ლარი, ეს არ გააკეთა და ეს არის, პირველ რიგში, ეკონომიკისთვის სასურველი. თუ მთავრობამ გადახედა იმ შეცდომებს, რასაც მაშინ უშვებდა, მათ შორის ხარჯვის ნაწილებში და ამით გამყარდება ლარი, ეს მხოლოდ მისასალმებელია. თუმცა ის ფაქტორები, რამაც ეს გამყარება გამოიწვია, შეიძლება არ იყოს გრძელვადიანი, ამიტომ უნდა დაველოდოთ. არ არის გამორიცხული, რომ რაღაცა ტიპის ფულის ხარჯვით მოხდეს ლარის გამყარების იმიტაცია, მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ არ შეიძლება წინასაარჩევნო ამოცანებით ეკონომიკის დაზარალება. არ შეიძლება ამ თემით მანიპულირება და თუ ეს არის წინასაარჩევნო მანევრი, რა თქმა უნდა, ეს ქვეყნისთვის საზიანო იქნება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჯონ მაკკეინი: საქართველო ნატო-ში გაწევრიანების მკაფიო გეგმას იმსახურებს



ამერიკის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ მაკკეინი საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების მკაფიო გზის შეთავაზების აუცილებლობაზე მიუთითებს.

ამის შესახებ მაკკეინი „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– ამაყი ვიყავი, როდესაც საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობას მიაღწია. ახლა იქაური პოლიტიკური ვითარება მაღელვებს. ვიმედოვნებ, მომავალი არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩაივლის. ჩემი აზრით, ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ ახლა ნაკლებად თუ ადარდებს ვინმეს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესია.

ყოველთვის, როცა დასავლეთი ყურადღებას ასუსტებს, რუსეთი საზღვრის ხაზს სწევს. მიმაჩნია, რომ საქართველო იმსახურებს ნატოში გაწევრიანებას. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ქართველებს ალიანსთან მიერთების უფრო მკაფიო გზას შევთავაზებდი. ამ პოლიტიკას, შესაძლოა, არ იზიარებდეს ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია, მაგრამ საქართველო და მისი ჯარი ავღანეთში გვერდში დაგვიდგა. ვიცი, რომ საქართველო თვითონაც ამაყობს ამ კონტრიბუციითა და მისი ჯარისკაცების სიმამაცით. (pia.ge)

# „ისეთი მაინც დადეთ, ეროტიკას ჰგავდეს — ჩემი რამე ამოქექეთ ვინმე მაგართან, უფასო სექსგაკვეთილი იქნება“



იუნა შაფათავა „ფეისბუკის“ პირად გვერდზე რჩევას აძლევს მათ, ვისი ხელიც ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელებაში ურევია:

– ადამიანებო, ისეთი მაინც დადეთ, ეროტიკას ჰგავდეს, ვისიამოვნოთ, სხვებმა სექსში რამე ისწავლონ!!! ჩემი რამე მაგარი ამოქექეთ ვინმე მაგართან – უფასო სექსგაკვეთილი იქნება!!! – წერს იუნა შაფათავა. (ნიუპოსტი)

# „გარანტიას გაძლევთ, ნაძირალები, რომლებიც საზოგადოების დაშანტაჟებას ცდილობენ, დაისჯებიან“



გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ფარული ჩანაწერების გავრცელებაზე ძალოვანი უწყებები და ქვეყნის პირველი პირები აქტიურად მუშაობენ. მისი თქმით, ქართველმა საზოგადოებამ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელებას, ადეკვატური პასუხი უნდა გასცეს არა მხოლოდ კრიმინალის გახსნით, არამედ აღნიშნული ფაქტების დაგმობით.

– აქტიურად ვარ ჩართული ამ თემის განხილვაში პარლამენტის თავმჯდომარესთან, პრემიერ-მინისტრთან და ძალოვან უწყებებთან. მინდა, დაგარწმუნოთ ყველა, რომ მთელი სახელმწიფო სისტემა ყველა რესურსით მობილიზებულია და კოორდინირებულად მუშაობს. ეფექტი ნამდვილად იქნება, მაგრამ იმასაც მინდა გავუსვა ხაზი, რომ, რა თქმა უნდა, შეიძლება, ძალიან მალე გაიხსნას კონკრეტული დანაშაული, მაგრამ საზოგადოებამ თუ არ ვაჯობეთ და არ გადავაბიჯეთ იმას, რომ ვიღაც ფიქრობს ამით ჩვენი მოქალაქეებს დააშანტაჟებს, რომ ამით პოლიტიკურ ცხოვრებაზე მოახდენს გავლენას, რომ ეს შესაძლოა, ჩვენ გვაინტერესებდეს, რომ მათსავით ავადმყოფი ფსიქიკა გვაქვს და შეიძლება ამაში ჩავერთოთ, ამას ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი, მთელმა ქართველმა საზოგადოებამ და არა მარტო კრიმინალის გახსნით, არამედ ღიად ამ ყველაფრის დაგმობით და ამის წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმით, – აღნიშნა პრეზიდენტმა. (pia.ge)

## „უნივერსიტეტში სრული ქაოსია... თსუ პოლიტიკური გავლენების ბრძოლის ასპარეზად იქცა“ — ნესტან კირთაძე



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულ პროცესებს სოციალურ ქსელში ეხმაურება პროფესორი ნესტან კირთაძე.

– თსუ პოლიტიკური გავლენებისთვის ბრძოლის ასპარეზად იქცა, სადაც, როგორც ჩანს, სტუდენტების გულწრფელი ემოციები და სრულიად ლეგიტიმური მოთხოვნები, ამჯერად, მხოლოდ „შესაფერისი“ ფონია იმისთვის, რომ „ვიღაცამ“ იქ თავისი „წესრიგი“ დაამყაროს.

განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას, ისევე როგორც მთელ ამ პროცესზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის რექტორი და ორივე საბჭო...

ვფიქრობ, ახლა დაპირისპირებულმა მხარეებმა მორატორიუმი უნდა გამოაცხადონ და ფართო წარმომადგენლობით, სტუდენტების ფართო ჩართულობით და აქტიური მონაწილეობით კონსულტაციების მაგიდას მიუსხდნენ. არ ვიცი, რამდენად შესაბამისობაში მოვა კანონთან „განათლების შესახებ“, მაგრამ ღირს ფიქრად, არსებობდეს კანონი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ“...

ქვეყნის პირველი უნივერსიტეტი სახელმწიფოსგან განვითარების განსაკუთრებულ ფორმატსა და ყურადღებას იმსახურებს, – წერს ნესტან კირთაძე. (ნიუპოსტი)

## „ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, აუცილებელია ქვეყნისთვის სრულფასოვანი რეფორმის ჩატარება“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პარტიამ ფარული მიყურადებისა და ვიდეო თვალთვალის პრაქტიკის აღსაკვეთად შეიმუშავა, პარტიის წარმომადგენლების თქმით, 2016 წლის არჩევნების შემდეგ მყისიერად იქნება მიღებული.

– ჩვენი საზოგადოების პირველი ამოცანაა, რომ ის კაცი და გუნდი უნდა ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას, რომელიც ამ სიბინძურითაა დაკავებული, ვგულისხმობ ივანიშვილს, რომელიც საჯაროდ საუბრობდა ამ თემაზე. ჩვენ შეგვაქვს ეს პაკეტი, თუმცა შანსები, რომ უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს, მცირეა. ოქტომბერში, ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, აუცილებელია ქვეყნისთვის სრულფასოვანი რეფორმის ჩატარება. სწორედ ამას ემსახურება ეს ინიციატივა, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. (news.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა – შალვა ხუციშვილმა და არჩილ თალაკვაძემ, საქართველოში უკონტაქტო პატრულირების შემოღებასთან დაკავშირებით, შეხვედრა გამართეს არასამთავრობო ორგანიზაციების: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“, "რეფორმებისა და განვითარების ასოციაციის“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან.

შსს-ს ცნობით, შალვა ხუციშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საპოლიციო პრაქტიკა გააცნო, სადაც პატრულირების აღნიშნული ფორმა დიდი ხანია წარმატებით ფუნქციონირებს.

შსს-ს ცნობითვე, შეხვედრის ბოლოს მხარეებს შორის აღნიშნულ თემაზე დისკუსია გაიმართა. შს სამინისტროს წარმომადგენლები არასამთავრობო სექტორს კანონპროექტში მათი რეკომენდაციების გათვალისწინებას დაჰპირდნენ.

ამ ორგანიზაციების უმეტესობა „ეს შენ გეხება“-ს აქტიური წევრია, ფარულ მოსმენებს აპროტესტებენ და რადგან შსს მათ რეკომენდაციების გავალისწინებას დაპირდა, რა გამოდის, ფარულ თვალთვალს მხარს უჭერენ?

**სწორედ ამის გასარკვევად „ალია“ საია-ს საპარლამენტო მდივანს, სოფო ჭარელს დაუკავშირდა:**

– შეხვედრა საკითხის განხილვის რეჟიმში წარიმართა, საერთაშორისო პრაქტიკა წარმოგვიდგინეს. ჩვენ ძირითადად ვსაუბრობდით იმაზე, რომ უკონტაქტო პატრულირების ნაცვლად, რაიმე სხვა ალტერნატიული სახით წარმართულიყო ეს პროცესი.

**— რა ალტერნატივას ხედავთ, სხვაგვარად როგორ წარმოგიდგენიათ იგივე პროცესი?**

– მაგალითად, არსებული კამერების გაუმჯობესებული ვერსიების დამონტაჟებით, მეტი საპატრულო ეკიპაჟით, რაც თავიდან აგვარიდებდა ამ უკონტაქტო პატრულირების დანერგვას. ასევე, ვისაუბრეთ, რა რისკები შეიძლება ახლდეს ამ, ერთგვარად არაიდენტიფიცირებად მანქანას, რომელიც მოახდენს სხვა მანქანების ფოტო-ვიდეოგადაღებას.

**— საფრთხეს ახსენებთ — რას გულისხმობთ, რა საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგნენ მძღოლები ზემოაღნიშნული მეთოდის დანერგვის შემთხვევაში?**

– საქმე ის არის, რომ აქ საუბარია არაიდენტიფიცირებად მანქანებზე, ანუ ამ პატრულირებას არ ჩაატარებენ პატრულის კლასიკური მანქანები. შესაბამისად, მძღოლი ვერ ხვდება, რომ შესაძლოა, რომელიმე მანქანასთან სამართალდამცავი იჯდეს. ასეთ მანქანებზე მოხდება ფოტო და ვიდეო ტექნიკის დამონტაჟება, რომლებიც მოახდენენ ფოტო და ვიდეომასალის ვიზუალიზაციას, რომლის ფარგლებშიც საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს გაეგზავნებათ ჯარიმები.

ჩვენი მოსაზრებით, ეს წარმოადგენს ფარული ხასიათის პატრულირებას. არავინ იცის, რა დროს, რა ვითარებაში შეიძლება დავექვემდებარო ამ ფოტო და ვიდეო ვიზუალიზაციას.

გარდა ამისა, საქართველოში არსებობს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც ადგენს წესებს, როგორ უნდა მიმდინარეობდეს ქვეყანაში ვიდეომეთვალყურეობა, რომ ასეთ შემთხვევაში კამერას უნდა ახლდეს გამაფრთხილებელი ნიშნები. არსებობს კიდეც ასეთი კამერები, მაგალითად, ვაჟა-ფშაველაზე. ამ შემთხვევაში, ეს წესიც ირღვევა და ქვეყანაში ყოველგვარი გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე ივლიან მანქანები, რომლებსაც დამაგრებული ექნებათ ფოტო და ვიდეოტექნიკა, რომლებიც მოახდენენ სხვადასხვა შემთხვევების ფოტო და ვიდეო ვიზუალიზაციას. ჩვენ ძირითადად ამ მიმართულებით ვხედავთ პრობლემას, ასევე, ბუნდოვანია შემდეგი რამ – თუ ასეთ ფოტო-ვიდეომასალაზე დანაშაულის შემცველი ქმედება მოხვდება, როგორ იქნება შემდეგ ეს გამოყენებული სისხლის სამართლის საქმეზე, იმიტომ, რომ დღეს კანონით რეგულირდება. ასევე, ფარული ხასიათის საგამოძიებო ღონისძიებები, რომლებიც სასამართლო კონტროლს ექვემდებარება, თუკი პირად ცხოვრებაში ჩარევასთან გვაქვს საქმე. ეს ფოტო და ვიდეომასალებსაც ეხება და აუცილებლად გავლილი უნდა იყოს სასამართლო კონტროლი. არის კიდევ გარკვეული რისკები, რომელთა გამოც ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ შს სამინისტრო თავს შეიკავებდა ამ მეთოდის დანერგვისგან.

**— რა პოზიციას გამოხატავდნენ სხვა ორგანიზაციები?**

– თითქმის ყველა ვსაუბრობდით იმ უარყოფით მხარეებზე, რაც შესაძლოა, ჰქონდეს უკონტაქტო პატრულირებას. საუბარი იქითკენ მიგვყავდა, რომ სამომავლოდ არ მოხდეს მისი დანერგვა. დაახლოებით ეს დამოკიდებულება იყო არასამთავრობო სექტორის მხრიდან.

**— როგორ გგონიათ, გაითვალისწინებს თქვენს რეკომენდაციებს შს სამინისტრო?**

– მათი პოზიცია ასეთი იყო – მათ სურთ, რომ დაინერგოს უკონტაქტო პატრულირება, ამბობენ, რომ ეს ახალი და ინოვაციური მეთოდია, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს, რომ მძღოლებს შეექმნათ მოლოდინი, მათი იდენტიფიცირების შესახებ და მუდმივად დაიცავენ საგზაო წესებს. ასევე, მზადყოფნა გამოხატეს, წავიდნენ გარკვეულ დათმობებზეც.

**— თუ არ გაითვალისწინებენ თქვენს მოსაზრებებს და მაინც მოხდება ამ მეთოდის დანერგვა, ასეთ შემთხვევაში რას აპირებთ?**

– ამ საკითხზე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა იყო. დავსხდებით, რომ კიდევ ერთხელ შევჯერდეთ ჩვენს პოზიციებზე და გამოვიყენებთ ყველა იმ საშუალებას, რომლებიც შეგვიძლია, გამოვიყენოთ.

**უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე არ იყვნენ მიწვეული ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან.**

**„ალია“ ერთ-ერთ მათგანს, „საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელს, დავით მესხიშვილს დაუკავშირდა. დავინტერესდით, მათ რა რეკომენდაციები და კითხვები ჰქონდათ უწყებასთან:**

– ჩვენ არ ვიყავი მიწვეული ამ შეხვედრაზე. ეს საკითხი საპარლამენტო მოსმენაზე უნდა გასულიყო, მაგრამ შეჩერებულია და არ განიხილება მომავალი წლის 1-ელ იანვრამდე. ამ ეტაპზე აწყობენ შეხვედრებს, რომ ფონი შექმნან ისეთი, თითქოს, საკითხი აქტიურ ფაზაშია. ეს აქტივობები არჩევნებს უკავშირდება. ჩვენ ამ საკითხთან მიმართებაში არათუ რეკომენდაციები, არამედ კითხვებიც კი გვაქვს. გვაინტერესებს – ხომ არ არის რისკი, რომ ეს გახდება შანტაჟის თემა.

**— რას გულისხმობთ?**

– მაგალითად, აგეკიდათ ვინმე და მუდმივად ცდილობს, დააფიქსიროს თქვენი დარღვევა. შემდგომში ხომ არ გახდება ეს ყველაფერი იმის საფუძველი, რომ ადამიანი, როცა მოაგროვებს თქვენს წინააღმდეგ ჯარიმების გარკვეულ რაოდენობას, რომელიც სიტყვაზე, აჭარბებს რამდენიმე ათას ლარს, დაგიკავშირდებათ და გეტყვით, რომ თუ გინდათ, ეს არ გადავცე, ასეთ შემთხვევაში, შემოგთავაზოთ გარკვეული გარიგება. ჩვენ ვხედავთ შანტაჟის რისკებს და შს სამინისტროსგან ვითხოვთ, რომ გაგვცენ პასუხები, თუმცა ჩვენ ამ შეხვედრაზე არ გვიწვევენ.

# რისთვის შეხვდნენ შს მინისტრის მოადგილეები არასამთავრობოებს და რა ინფორმაცია დამალა სამინისტრომ?





## ჯაფარიძე: ძალიან ბევრი მხარე შეიძლება იყოს დაინტერესებული იმაში, რომ ასეთი ვიდეოები იყოს გავრცელებული.



პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების საქმესთან დაკავშირებით, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წევრი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს, ნაადრევია იმის თქმა, რომ საქმე გახსნილია. დეპუტატი მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი რუსეთის ინტერესებში შედის, იმისთვის, რათა პროცესი საბოლოოდ სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

– საუბარი იმაზე, რომ საქმე არის გახსნილი და რამდენად ოპერატიული იყო პროკურატურა, მე მგონი, საკმაოდ ნაადრევია. ჯერ ისიც არ ვიცით, ეს ადამიანები რა ბრალით არიან დაკავებული. შეიძლება საერთოდ საუბარი არ იყოს იმაზე, რომ ამ ადამიანებმა რამე ატვირთეს, შეიძლება საუბარი იყოს იმაზე, რომ ვიღაცას ჩანაწერები ჰქონდა და ვიღაცას გადასცა. ძალიან ბევრი მხარე შეიძლება იყოს დაინტერესებული იმაში, რომ ასეთი ვიდეოები იყოს გავრცელებული. საბოლოო ჯამში, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი არის ჩვენი ოკუპანტი, აგრესორი ქვეყნის ინტერესებში, რომ ეს ყველაფერი გადაიზარდოს სამოქალაქო დაპირისპირებაში, – განაცხადა ჯაფარიძემ. (news.ge)

## „მოათავეთ ახლა ეს საყოველთაო სტრიპტიზი, მიეცით საშუალება სამართალდამცავებს, გაერკვნენ მომხდარში“



საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიას“ წარმომადგენელი მამუკა გამყრელიძე, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელების ფაქტს „ფეისბუკში“ ეხმიანება:

– ინგა გრიგოლიასადმი მიძღვნილი მქუხარე აპლოდისმენტებისა და ოვაციების ხმაურში ჩემს მცირე და ჩუმ ნააზრევს მოგახსენებთ.

სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ კვლავ, უკვე მერამდენედ დაგვანახა, რომ ვერ ასხვავებს მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს. ვიღაცამ, ვინც ეს ვიდეოები გაასაჯაროვა, თავის მიზანს მიაღწია. ყველა, ვისაც არ ეზარება, თავს ვალდებულად თვლის, ამ თემის გარშემო იბობოქროს. ზოგიერთები საკუთარი საცვლების გამომზეურებასაც დაგვპირდნენ. პრეზიდენტმაც კი გამოყო ფეხი და თავისი აქტიური სექსუალური ცხოვრების შესახებ გვიამბო. სრულიად საქართველოს სიყვითლე და საყმაწვილო სენი შეეყარა.

მოათავეთ ახლა ეს საყოველთაო სტრიპტიზი, მიეცით საშუალება სამართალდამცავებს, გაერკვნენ მომხდარში და გვიჩვენონ, რა შეუძლიათ. სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვან საქმეებზე გამოიჩინეთ ასეთი აქტიურობა. (news.ge)

## აფეთქება თბილისში — დაშავებულია 7 ადამიანი



თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, ავტომობილის გაზის ბალონის აფეთქების შედეგად 7 ადამიანი დაშავდა.

როგორც ირკვევა, პირველ პლატოზე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე ავტომობილის გაზის ბალონი იყო შეტანილი და აფეთქება სწორედ იქ მოხდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, შვიდივე ადამიანი მსუბუქადაა დაშავებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს, ჩადენილს ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით.

(ნიუპოსტი)

## „თქვენ იყავით შარლი, იყავით პარიზი, იქნებით ახლა ანკარა?“ — ემოციური პოსტი „ფეისბუკში“



ანკარაში მცხოვრებმა ინგლისელმა ჯეიმს ტეილორმა, თურქეთის დედაქალაქში მომხდარი აფეთქების დროს დაღუპულთა პატივსაცემად, სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა.

– წარმოგიდგენიათ, რომ ტერაქტი მოხდეს იქ, სადაც ყოველდღე დადიხართ, იმ გაჩერებაზე ან იმ გზაზე? მათ გასაგონად, ვინც ფიქრობს, რომ თურქეთი ახლო აღმოსავლეთია – ასე არაა. ანკარა არ არის საომარ ზონაში. ის ნორმალური, თანამედროვე, საქმიანი ქალაქია სხვა ევროპულ დედაქალაქთა მსგავსად, კიზილაი კი მისი შუაგული, ცენტრია.

ძალიან ადვილია, შეამჩნიო ის ტერაქტი, რომელიც ლონდონში, ნიუ-იორკში ან პარიზში ხდება, გამოხატო თანაგრძნობა მსხვერპლისადმი, მაგრამ რატომ არ ხდება იგივე ანკარის შემთხვევაში?! იქნებ იმიტომ, რომ ვერ აცნობიერებთ, რომ ანკარა ჩამოთვლილ სხვა ქალაქთაგან არაფრით განსხვავდება.

ანკარა ჩემი სახლია. ასეთი რამ ხდება ბოლო 18 თვის განმავლობაში და მომავალშიც გაგრძელდება.

თქვენ იყავით შარლი, იყავით პარიზი, იქნებით ახლა ანკარა? – წერს ჯეიმს ტეილორი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

(ინფო9)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



## რა საფრთხეები გადაიფარა პორნოსკანდალებით და რა გაკვეთილი მიიღო ამით მოსახლეობამ?



პოლიტიკოსების პორნოსკანდალებზე გადართულ საზოგადოებას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ავიწყდება. ის, რაც ხდება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არანაკლებ შემაშფოთებელი და შორსგამიზნული პოლიტიკური აქტია. ჩვენს თვალწინ ვითარდება მინირევოლუციური სცენარი. „ნაციონალური მოძრაობა“ და დაინტერესებული დაჯგუფება ძალას იკრებენ უფრო ფართომასშტაბიანი რევანშისთვის. პორნოსკანდალებმა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესი, ფაქტობრივად, ისე გადაფარა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შეიძლება გამოგვეცალოს ხელიდან და აღმოვჩნდეთ რევანშის პირისპირ.

დღეს, როცა ისმება კითხვა, ვის აწყობდა პოლიტიკოსთა დისკრედიტაცია, ვინც ამ საშინელებას იღებდა, სწორედ ის არის დაინტერესებული მისი ტირაჟირებით, უარეს შემთხვევაში, შესაძლოა პორნოგრაფიის ტირაჟირების უკან იდგეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები. ყველაზე მარტივია, ხელი გავიშვიროთ რუსეთისკენ, რომ საზოგადოებამ დაინახოს, ვინ ლობირებს ლიბერალურ ღირებულებებს, ვის მივყავართ დასავლეთისკენ, რომ ეს ადამიანები არიან იმ დასავლური ფასეულობების და ღირებულებების მოღალატენი... ევროპული ღირებულებები და ფასეულობა არ გულისხმობს სახელმწიფო მოხელის მხრიდან მეგობარ ქალთან ან მამაკაცთან სექსს, თუ მას ჰყავს ოჯახი და სახელმწიფო მოხელე, რომელიც ღალატობს ოჯახს, ის აუცილებლად უღალატებს სახელმწიფოს და შესაძლოა, დაშანტაჟებული და კომპრომეტირებული მოხელე აღმოჩნდეს რომელიმე სპეცსამსახურის მარიონეტი.

**რა არის შანტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება? როგორ რეგულირდება ევროპაში სასჯელი ფარულ ვიდეოჩანაწერებზე? როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია პორნოსკანდალებთან დაკავშირებით?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

– არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, რასაც ცივილიზებულ ქვეყნებში ადგილი არ ჰქონია. მოდით, გავაანალიზოთ და ვთქვათ, როგორია უცხოური პრაქტიკა ამ მიმართულებით. ჩვენ ახლა ვკითხულობთ პლაკატებს – „სექსი დანაშაული არ არის“. რასაკვირველია, არ არის დანაშაული. ერთია, რომ დანაშაულია, როცა ადამიანს უთვალთვალებ, მაგრამ მეორე მხრივ, ცივილიზებულ სამყაროში არის სტანდარტი, როცა ხელისუფლებაში მოდიხარ და გქვია პოლიტიკოსი, არსებული სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელო. არ უნდა მიაყენო შეურაცხყოფა შენს ამომრჩეველს, ასეთ დროს ღალატი არ „პრავდება“. თუ დამტკიცდა, რომ ხელისუფლება შანტაჟის მიზნით აგროვებს ვიდეოკადრებს, ეს არის უპატიებელი დანაშაული და რაც ეპატიება პაპარაცის, ის არ ეპატიება ხელისუფლებას. მაგალითად, პაპარაცი გვაჩვენებს, ვის მიეცი შენ ხმა. იღებს კადრებს და ასაჯაროებს. ხელისუფლება კი შანტაჟის მიზნით აგროვებს ასეთ კადრებს და პოლიტიკოსიც არის მუდმივი შანტაჟის ქვეშ. თუმცა შანტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, გამოხვიდე და თავად აღიარო ჩადენილი გადაცდომა, მაგრამ, როგორც წესი, ამას პოლიტიკოსები არ აკეთებენ. არ ეთმობათ ხელისუფლება და თანამდებობები. იმართებიან ასეთი ლოგიკით – „შენც სუ და მეც სუ!“ ჩვენ ვნახეთ, რა მოხდა აშშ-ში, როცა მონიკა ლევინსკიმ დაასმინა პრეზიდენტი კლინტონი, რომ მასთან ჰქონდა სექსი. „რესპუბლიკელები“ თავს იკლავდნენ, როგორმე ჩაეტარებინათ იმპიჩმენტი და გადაეყენებინათ კლინტონი, მაგრამ რადგან დანაშაული აღიარა, ხალხმა მიუტევა. პრინციპი ასეთია – ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ როცა ხელისუფლებაში ხარ, არ უნდა გახდე შანტაჟის მსხვერპლი. ეს არის მარტივი ლოგიკა, რადგან სახელმწიფო მოღვაწე შეიძლება უცხო ქვეყნის აგენტურამ დაგაშანტაჟოს, ყურებით დაგიჭიროს და ნებისმიერ დროს გამოგიყენოს საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში მოხდა ასეთი რამ, რომ გამოქვეყნდა მთავრობის ყოფილ წევრზე კომპრომატი, ეს იყო მესიჯი, სხვა მინისტრების მისამართით, – თუ ჭკუით არ იქნებით, თქვენზეც გამოვაქვეყნებთ და თანამდებობებსაც დაგაკარგვინებთ და პოლიტიკაზე ხელს აგაღებინებთო.

პოლიტიკოსის ცხოვრება, რომელიც არის ხელისუფლებაში, ეკუთვნის ხალხს და შესაბამისად, საიდუმლო არ უნდა ჰქონდეს, მისი ცხოვრება უნდა იყოს გამჭვირვალე. ჩემთვის ამ კამპანიამ მთელი საზოგადოების ლუსტრაცია მოახდინა, თურმე რა პრიმიტიული საზოგადოება გვყავს, ეს საზოგადოება ღირსი იყო – კომუნისტების, შევარდნაძის,

„პოლიტიკოსის ცხოვრება, რომელიც არის ხელისუფლებაში, ეკუთვნის ხალხს და შესაბამისად, საიდუმლო არ უნდა ჰქონდეს, მისი ცხოვრება უნდა იყოს გამჭვირვალე. ჩემთვის ამ კამპანიამ მთელი საზოგადოების ლუსტრაცია მოახდინა, თურმე რა პრიმიტიული საზოგადოება გვყავს, ეს საზოგადოება ღირსი იყო — კომუნისტების, შევარდნაძის, სააკაშვილის და ღირსია დღევანდელი მთავრობის, ნარმანიასი და იმ მინისტრების, როგორებიც გვყავს...“

სააკაშვილის და ღირსია დღევანდელი მთავრობის, ნარმანიასი და იმ მინისტრების, როგორებიც გვყავს... ამ საზოგადოებას სტანდარტი არ გააჩნია და ხელისუფლების წევრებს თამასას არ ვუწესებთ. რომ გაიძახიან, სექსი დანაშაული არ არის, ნუ გვიძვრებით ლოგინში, ნუ ყოფთ ჩვენ უნიტაზში ცხვირებს და ა.შ. ასე არ არის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მთავრობაში ვინ ვინ არის და მერე ხალხმა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა ასეთი მთავრობის წევრი.

**— ივანიშვილმა თავის დროზე განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო, როგორ ღალატობდა მისი გუნდის ზოგიერთი წევრი საკუთარ ოჯახს და ახსენა „ნაციონალების“ მიერ გადაღებული და დაარქივებული 2012 წლის არჩევნების წინ გადაღებული კომპრომატები. თქვენი აზრით, რატომ არ მიანიშნა ასეთ მინისტრებს გადადგომაზე, რომ მათით ვინმეს მანიპულირება არ მოეხდინა, არ ეღალატათ სახელმწიფოსთვის?**

– როცა ეს ამბავი გახმაურდა, რა, ალასანია თავდაცვის მინისტრი არ იყო?!. მისი პარტიის ოთხი წევრი, ასევე, მინისტრები იყვნენ. მან რატომ არ მოითხოვა და არ გააკონტროლა ფირები, რომ განადგურებულიყო. ასეთ მინისტრს თავად უნდა შეეკავებინა თავი შეთავაზებაზე. ახლა არსებობს მინიშნება, რომ სხვა მინისტრებზეც არსებობს ანალოგიური ფირები. ვნახოთ, როგორ მოიქცევიან ისინი, წესით, უნდა გადადგნენ. ახლა რომ აპირებენ კანონის მიღებას, გამავრცელებლები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ, ერთი ნახონ ასეთი კანონი ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში თუ არის და რა ფორმულირებით. ფრთხილად იყვნენ, ასეთი კანონის მიღება ძვირად არ დაუჯდეთ, სწორედ ახლა უნდა გაიარონ ბეწვის ხიდზე. მივმართავ ხელისუფლებას – ვისაც მივანდეთ ჩვენი ბედი, ის უნდა იყოს რჩეული, მათთვის უნდა არსებობდეს მორალის სტანდარტი. ვიმეორებ, სექსი დანაშაული არ არის, მაგრამ დასავლეთში ასეა, მთავრობის წევრებს შავი ლაქა არ უნდა ჰქონდეთ, რითიც ცხოვრობს, ამომრჩეველმა უნდა იცოდეს. ეს უნდა იყოს სტანდარტი, თუ ხარ გეი ან ლესბოსელი, ეს უნდა იყოს ხალხისთვის ცნობილი, მაგალითად, გერმანიაში ბერლინის მერმა იცით, როგორ მოიგო არჩევნები? მან ღიად განაცხადა: „მე ვარ გეი!..“ და მოიგო არჩევნები.

**— ფაქტობრივად, ჩვენ ახლა გავდივართ იმ მტკივნეულ გზას, რაც გაიარა ცივილიზებულმა სამყარომ და ეს იყო გარდაუვალი. რა იქნება შემდეგი?**

– რასაკვირველია, ეს მტკივნეული გზა იყო გარდაუვალი. დამიჯერეთ, თანამდებობის პირის ცხოვრება უნდა იყოს გამჭვირვალე. თბილისში იმდენი აგენტურაა, ამას ჩვენი თითები არ ეყოფა, „დავერბოვკებისთვის“ ყველაზე კარგი საშუალებაა – სექსუმცირესობა, ლოთობა, აზარტული თამაში, ნარკოდამოკიდებულება და მსუბუქი ყოფაქცევა. ეს მათთვის კლონდაიკია. პოლიტიკოსებს მივუდგებით ასე – რაც ეპატიება რიგით მოქალაქეს, არ შეიძლება ეპატიოთ მათ.

**— ევროკავშირისკენ მიმავალი საქართველო და პოლიტიკოსთა პორნოსკანდალები ერთმანეთთან თავსებადია? როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია, როცა ჩვენს პოლიტიკოსთა ულირს საქციელზე იგებენ და ხელისუფლება პორნოსკანდალების ტირაჟირებას ვერ ახერხებს?**

– დასავლეთის პოზიცია ამ შემთხვევაში იქნება ზომიერი, ის შემოიფარგლება ფორმალურად მოწოდებით, რომ ბოლომდე გამოიძიოს ხელისუფლებამ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, ხოლო არაოფიციალურად ხელისუფლებას ეტყვიან, – საკადრო სელექცია თქვენთან მოიკოჭლებს. იცით, რა მადარდებს? ჩვენ ვდგავართ ქართველი საზოგადოების „დაჩმორების“ საშიშროების წინაშე. ხალხში, რომელიც ამ ფირებს ნახავს, გაჩნდება ნიჰილიზმის შეგრძნებას და დასვამს კითხვას, – კი მაგრამ, რატომ უნდა ვანდო ასეთს ჩემი ბედი, ის ჩემზე რითია უკეთესი?

ხალხი იტყვის, რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებს, ნახეთ, როგორი ხალხი მოდის ხელისუფლებაში. ამიტომ ხელისუფლებამ დროულად უნდა იმუშაოს არა ემოციურად, არამედ მეცნიერულ დონეზე უნდა ხდებოდეს ასეთი საკითხების განხილვა და არა ისე, როგორც ამას „რუსთავი 2“-ის ტოქშოუებში ვნახულობთ.

**— თქვენი აზრით, ვის ინტერესში შედის პორნოფირების გავრცელება?**

– ვინაიდან ყველაფერზე პასუხს აგებს მმართველი ძალა, შესაბამისად, ასეთი რაღაც მას ჰბრალდება ხოლმე. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ამ შეტევით დაინტერესებულია უცხოეთის სპეცსამსახურები. თუ ასე გაგრძელდა, სახელმწიფო არ იარსებებს, ეს შედის გარე ძალების ინტერესში. „ნაციონალი“ არ ვარ და ამ შემთხვევაში ხელს ვერ გავიშვერ რუსეთისკენ. ნათქვამია, – მგელს მგლობა დაარქვეს და ტურამ ქვეყანა ამოაგდოო... შეიძლება ისეთი ქვეყნიდან მოდიოდეს შეტევა, რომ ორი აგური ვირტყათ თავში.

**— ხალხის აზრი ორად იყოფა, ერთნი ამბობენ, დიდი ამბავი თუ ვიღაცას სექსი ჰქონდაო, ხოლო მეორენი გმობენ, რა თახსირი და უღირსი ხალხი აგვირჩევია, ივანიშვილმა ეს რა მთავრობა დაგვიტოვაო...**

– ჩემი აზრით, ახლა ყველაზე ცოდო ივანიშვილია. რაც გინდა დააბრალე, მაგრამ მისთვის ოჯახი არის ღირებულება და მას ყველაზე მტკივნეულ „მაზოლზე“ დაადგეს ფეხი. პოლიტიკოსებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თვითონ ღალადებენ ევროპულ ღირებულებებს, ეს ტერმინი არასწორად ესმით და წარმოდგენა არა აქვთ, რა არის ევროპული ფასეულობა. ნებით თუ უნებლიეთ, სწორედ თვითონ ღალატობენ ევროპულ ღირებულებებს. როგორც ჩანს, მათთვის ევროპა ასოცირებულია ლესბოსელობასთან, გეიაღლუმებთან, ერთსქესიანთა ქორწინებასთან, ოჯახის ღალატთან. რეალურად კი ევროპული ფასეულობა გულისხმობს ოჯახის, სიწმინდის დაცვას. ხაზს ვუსვამ, როცა შენ ხარ სახელმწიფო მოხელე და მართავ ქვეყანას, არ უნდა იკადრო, თავისუფალ მოქალაქეს რაც უნდა ის უქნია, რა ხდება მის საძინებელში, ეს მისი საქმეა.

## „შიშში ცხოვრება ხანგრძლივად სტალინსაც კი არ გამოუვიდა და თქვენ, მასთან შედარებით, ჭია-ღუები ხართ“



პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებას პროდიუსერი მაია სტეფნაძე სოციალური ქსელის საშუალებით ეხმაურება და „ფეისბუკზე“ წერს:

– და რას მიაღწიეთ ამით? ადამიანი ამხილეთ? რატომ? ასე გეშინიათ მისი? რაღაც არა მგონია. აბა, მაშინ, რატომ? ჩვენ შეგვაშინეთ, მთელი საზოგადოება, რომ, თუ ჭკუით არ ვიქნებით, თუ თავს წამოვწევთ, ყველას ასე გაგვაბითურებთ? კომპრომატები ხომ ნებისმიერზე შეიძლება მოიძიოთ, თუნდაც სიმთვრალეში გინება ან ელემენტარულად ფარული კამერით გადაღებული კადრები, როგორ გამოდიხარ სასტუმროს აბაზანიდან შიშველი? ყველას ვერ შეაშინებთ, ბატონებო, თუნდაც იმიტომ, რომ შიშში ცხოვრება ხანგრძლივად სტალინსაც კი არ გამოუვიდა და თქვენ, მასთან შედარებით, ჭია-ღუები ხართ, – წერს „სხვა რაკურსის“ პროდიუსერი. (musicbox.ge)

## „ჩვენ, ქალები, შიშის გამო, გაქცევას არ ვაპირებთ“



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, ბოლო დღეების მანძილზე ხელისუფლებასა და ქართველი საზოგადოებაზე განმეორებითი და თანმიმდევრული დარტყმები მიმდინარეობს.

მისი თქმით, მოქმედი ხელისუფლება პასუხისმგებლობას ვერ აიღებს ფარული ვიდეოკადრების შექმნასა და გავრცელებაზე.

– ჩვენი ხელისუფლება ვერ აიღებს პასუხისმგებლობას ამ კადრების შექმნასა და გავრცელებაზე, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა, შემქმნელები და გამავრცელებლები იყვნენ იდენტიფიცირებული. თუ მსგავსი გაგრძელდება, ეს ჩვენს ხელისუფლებას ვერ დაანგრევს. ხელისუფლებასა და მედიაში მყოფ ქალებს ეს ვერ შეგვაშინებს. ეს არის განწირული დარტყმები. ჩვენ, ქალები, გავაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას იქ, სადაც ვართ და არავის შიშის გამო, არასად გაქცევას არ ვაპირებთ. ყველა უნდა ვიდგეთ ერთ პოზიციაზე, დავიცვათ ერთმანეთი და ვიყოთ სოლიდარულები, – აცხადებს თეა წულუკიანი. (pia.ge)

## იანოშ ჰერმანი: მეც შოკირებული ვარ, არ მსურს ამ თემაზე ბევრი ვისაუბრო



პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გავრცელებას გმობს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. იანოშ ჰერმანი მიესალმება საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის ერთიან პროტესტს – აღარ გავრცელდეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები.

– საზოგადოება შოკირებულია ასეთი მასალის გამოყენებით, შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ მეც შოკირებული ვარ, რომ ასეთი მასალები დაიდო. ვეთანხმები საზოგადოებრივ აზრს, რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელი უნდა იყოს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა შედის საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების პრიორიტეტებში.

სიმართლე გითხრათ, არ მსურს, ამ თემაზე ბევრი ვისაუბრო. კარგია, რომ საზოგადოების მხრიდან ერთიანობა იყო გამოხატული, ასეთი მასალების დაუშვებლობასთან დაკავშირებით. გაერთიანდა, როგორც პოლიტიკური სპექტრი, ასევე, მთელი საზოგადოება, მოქალაქეები. სასურველი იქნება, რომ ასეთი ერთიანობა მომავალშიც იყოს ასეთი საკითხის მიმართ, – განაცხადა ჰერმანმა. (news.ge)

## პენტაგონი ადასტურებს, რომ თარხან ბათირაშვილი მკვდარია



„ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი თარხან ბათირაშვილი მკვდარია. ინფორმაციას „ბიბისი“ პენტაგონზე დაყრდნობით ავრცელებს.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელების განცხადებით, ომარ შიშანი აშშ-ის შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდასხმის შემდეგ მიღებული ჭრილობების შედეგად სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში გარდაიცვალა.

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ISIS-ის ქართველი მებრძოლი თარხან ბათირაშვილი თავდასხმას გადაურჩა, მისი რამდენიმე მცველი კი დაბომბვის შედეგად დაიღუპა.

ავიაიერიშები ამერიკამ 4 მარტს სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქალაქ შადადიში განახორციელა, სადაც, არსებული ინფორმაციით, შიშანი „ისლამური სახელმწიფოს“ ძალების გასაძლიერებლად იყო გაგზავნილი.

2015 წლის მაისში ამერიკამ თარხან ბათირაშვილის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციისთვის ჯილდოს სახით 5 მილიონი დოლარი დააწესა. სახელმწიფო დეპარტამენტმა პანკისელი მებრძოლი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ 3 მეთაურთან ერთად სპეციალურ სიაში შეიყვანა და ოთხივე პირის შესახებ ინფორმაციისთვის 20 მილიონი დოლარი დააწესა. (news.ge)



**ლაურა აბრამია**
591 97-67-09

პარტია „მემარცხენე ალიანსი“ პარლამენტს ახალ კანონპროექტს წარუდგენს კომპანია „სითი პარკთან“ დაკავშირებით, სადაც საუბარია „გაურკვეველი წარმოშობის უცხოურ კომპანიაზე“, რომელმაც ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ჩაიგდო მონოპოლია ხელში და მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ბაზრიდან მისი გაშვება ვერაფრით ხერხდება.

**როგორ და რანაირად შეიძლება „სითი პარკის“ ჩანაცვლება უფრო მისაღები სტრუქტურით, რა და როგორ უნდა მოხდეს, ამაზე განმარტებას „ალიასთვის“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი**

პარკირება არასწორადაა განხორციელებული მაშინ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საპატრულო პოლიციის მეშვეობით მოხდება ეს და არა „სითი პარკისგან“, გადაწყვეტილებას მიიღებს პატრულ ინსპექტორი, თუ პარკირების საფასური არ ექნება გადახდილი მფლობელს, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ დააჯარიმებს პატრული და ეს თანხები შევა სახელმწიფო ბიუჯეტში, ანუ ეს საკანონმდებლო ცვლილებები ავტომატურად რეაგირებას მოახდენს „სითი პარკზე“, რომელიც არის ვიღაც ებრაული კომპანია და წლებია, ყვლეფს დედაქალაქის მოსახლეობას.

**— გასაგებია, ბატონო კახა, მაგრამ მძღოლისთვის რა შეღავათია — პატრული დაუწესებს** მოსთხოვთ პასუხს ამაზე ინსტანციურად. აბა, თქვენ გაგიგიათ, ვინმემ „სითი პარკს“ უჩივლა უკანონო ქმედებაზე და რამეს მიაღწია? მოკლედ, ეს ცვლილებაა ჩვენს კანონპროექტში, ვართმევთ ყველა იმ უფლებას „სითი პარკს“, რაც აქამდე „ნაცმოძრაობამ“ უკანონოდ ჩააბარა.

სხვათა შორის, გარდა თბილისისა და ბათუმისა, მსგავს ქმედებებს საქართველოში ახორციელებს შსს.

**— ჩვენ გვახსოვს, რომ იყო არაერთი მცდელობა თბილისის მერიისა და პარლამენტის ცალკეული წევრების მხრიდან, ჩამორთმეოდა „სითი პარკს“ რიგი სანქციების უფლება, რატომ ვერ მოხერხდა ეს?**

– დიახ, მერია არასწორად, უსუსურად მიუდგა თავის არა წესრიგის დამყარება.

**— როგორ ფიქრობთ, მიაღწევთ სასურველ შედეგს?**

– ჩვენ შეგვაქვს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებები, შევიტანთ 16 მარტს და პარლამენტის ბიუროს ორი კვირის ვადა აქვს განხილვისთვის. იმდენად სასარგებლოა ეს დედაქალაქის მოსახლეობისთვის და მთავრობისთვისაც, რომ ვფიქრობთ, დადებითად გადაწყდება. რამხელა უსუსურობაა, რომ „ნაცმოძრაობა“ ისევ იკვებება ამ გზით და ამათ ვერ გააჩერეს ეს პროცესი.

**— ბატონო კახა, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოსახლეობა როგორ მიიღებს ამ ცვლილებას იმის ფონზე, რაც საპატრულო პოლიცია გაჩ-**

# რა ფუნქციებს წაართმევს შსს „სითი პარკს“ და რა იცვლება ავტომფლობელებისთვის?




**კახა ძაგანია** აკეთებს:

– როგორც წინა ხელისუფლების ბოსებს სჩვეოდათ, ამ შემთხვევაშიც კანონი მოარგეს კონკრეტულ კომპანიას – „სითი პარკს“ იმისთვის, რომ მოსახლეობისგან ფულები ამოეღოთ და ჯიბეები გაესქელებინათ. ყველამ კარგად იცის, დედაქალაქში წლების მანძილზე როგორი არანორმალური მეთოდებით ახორციელებდა ეს კომპანია ქმედებებს. ჩვენ შევდივართ საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში და იმ მუხლების შეცვლას ვითხოვთ, რომლებიც არის ჩადებული მიშას მმართველობის დროს. ამ მოთხოვნების თანახმად საჯარიმო სანქციების განხორციელებასა და მანქანების გადაყვანის ექსკლუზიურ უფლებას ვანიჭებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას.

**— და რა შემთხვევაში მოხდება ავტომანქანების გადაყვანა საჯარიმოზე?**

– დარჩება იგივე შემთხვევები, რაც აქამდე იყო, თუ

**ჯარიმას თუ ვინმე სხვა? მძღოლისთვის რა იცვლება ამით?**

– აი, რა იცვლება – პირველ რიგში, როგორც გითხარით, „სითი პარკის“ უკან დგას ისევ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს მოძრაობის მოწესრიგება. მათი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღონ მძღოლებისგან. ამიტომ მძღოლისთვის ბევრად უფრო შემსუბუქდება არსებული ვითარება, ვინაიდან ჩვენ საქმე გვექნება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

**— არც შსს აკლებს მძღოლების გამწარება-დაჯარიმებას, თუნდაც ამ ბოლოდროინდელი 200-ლარიანი ჯარიმები შეიძლება ამის მაგალითად დაგისახელოთ. იქნებ უფრო კონკრეტულად თქვათ, თქვენი ინიციატივის სიკეთეების შესახებ?**

– საპატრულო პოლიცია დაფიქრდება, მოიტაცოს თუ არა თქვენი მანქანა და თუ ამას უკანონოდ გააკეთებს, თქვენ დროზე „სითი პარკს“. მერიამ დაიქირავა სერიოზული იურიდიული კომპანია, რომ რამე ხარვეზი ეპოვათ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია მერიასა და „სითი პარკს“ შორის. ხარვეზები ვერ იპოვეს, რადგან ეს ხელშეკრულება დადებულია თავის დროზე კანონმდებლობიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ჯერ კიდევ არსებობს. ჰოდა, ხარვეზი ვერ იპოვეს და მერიამ სულ ტყუილად გადაუხადა იმ იურიდიულ კომპანიას 50 000 ლარი და ასე კრახით დაასრულა მცდელობა. შემდეგ იყო, გახსოვთ, ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივა: მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიყვანოს „სითი პარკმა“, თუ არასწორად დგას ან ვინმეს უშლისო და ა.შ., მაგრამ დიდად არაფერი შეცვლილა. ასე გააჩერა „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მცდელობები „სითი პარკის“ მიმართ, რომელიც უკანონო თავნებობას დღემდე აგრძელებს. ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ, მათი მთავარი ამოცანა ფულის კეთებაა და

**ერებაზე 200-ლარიან ჯარიმებს წერს და ერთი ამბავია ამაზე ატეხილი?**

– გეთანხმებით აბსოლუტურად, ეს სულ სხვადასხვა მუხლებია, მოგეხსენებათ, ჩვენ ამ ამბავსაც ვაპროტესტებთ. აი, თქვენი გაზეთის მეშვეობით გვინდა დავაანონსოთ, რომ ამ კვირაში ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი ჩაატარებს ბრიფინგს. ეს არის არაადეკვატური საჯარიმო სანქცია, ჩვენი პარტია საპროტესტო აქციას მიმართავს ამ კუთხით. კი, ბატონო, დაჯარიმდეს უკანონობის ჩამდენი მძღოლი, მაგრამ ამ მძიმე სოციალური ვითარების ფონზე 200-ლარიანი ჯარიმა შეუსაბამოა, თუმცა „სითი პარკთან“ არაფერი აქვს ამას საერთო და დამერწმუნეთ, ამაზეც იქნება რეაგირება, რომ მოსახლეობამ, როგორც თქვენ თქვით, დადებითად აღიქვას ამ ჩვენი ინიციატივის საჭიროება და სიკეთე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვინც ასეთ ვიდეოებს ავრცელებს, არის ბინძური და გულისამრევი“



– შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ასე სწრაფად მოახერხა შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა და დამნაშავის მიკვლევის დავალება პირადად გასცა, – საქართველოში ბრიტანეთის ელჩი ალექსანდრე ჰოლ ჰოლი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ფაქტზე, ხელისუფლების რეაგირებას მიესალმება. როგორც ელჩი აცხადებს:

– ადამიანი, ვინც ასეთ ვიდეოებს ავრცელებს, არის ბინძური და გულისამრევი. ვიმედოვნებთ, სამართალდამცველები მას მიაგნებენ და საკადრის სასჯელს მისცემენ. ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა არის აბსოლუტურად მიუღებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და სრულიად შეუფერებელი ისეთი საზოგადოებისთვის, როგორადაც ქცევისკენაც საქართველო მიისწრაფვის.

ამ ისტორიის პოზიტიური მხარე ის გახლავთ, რომ ხელისუფლება საკითხს ძალიან სერიოზულად მიუდგა. შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ასე სწრაფად მოახერხა შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა და დამნაშავის მიკვლევის დავალება პირადად გასცა.

არ ყოფილა მცდელობა თითის გაშვერისა და გადაბრალების. საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ყველა მხარემ ერთხმად დაგმო ეს სამარცხვინო თავდასხმები ადამიანის პირად ცხოვრებაზე. სწორედ ასეთი ერთიანობა და სოლიდარობა მაძლევს იმის იმედს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება.

ამ ინციდენტის ერთადერთი დაზარალებული თავად გამავრცელებელია. მხარს ვუჭერ ხელისუფლების მცდელობას, რომ გამოიძიოს ეს შემთხვევები, – განაცხადა ელჩმა. (news.ge)

## შეიძლება სხვა ოპოზიციური პარტიებიც იყვნენ ამით დაინტერესებულნი — მეჭიაურის კომენტარი



ინტერნეტსივრცეში ბოლო დღეების განმავლობაში პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელებას უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური ოპოზიციური პარტიების დაინტერესებით ხსნის და ამბობს, რომ მიზანი ხელისუფლების დისკრედიტაციაა.

კითხვაზე, ვინ ავრცელებს ამ ჩანაწერებს და რა მიზანს ემსახურება, მეჭიაური პასუხობს:

– დიდი ალბათობით, სწორედ ისინი, ვინც თავის დროზე ეს ვიდეოთეკა შექმნა, რომელთაც, ალბათ, გაიტანეს ეს საზღვარგარეთ და შეიძლება ამ ჩანაწერების ასლები არის მიმობნეული. ასევე, შეიძლება სხვა ოპოზიციური პარტიებიც იყვნენ ამით დაინტერესებული, რათა დისკრედიტაცია მოხდეს ხელისუფლების. ყველაზე მეტად ამის გავრცელება არ აწყობს ხელისუფლებას, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, თუმცა ვიდრე გამოძიება არ დამთავრდება პირდაპირ ბრალის დადება ვინმეს მიმართ სწორი არ იქნება, – აცხადებს მეჭიაური. (პირველი რადიო)

## სააკაშვილი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას აპირებს



ოდესის გუბერნატორის მრჩეველმა, ალექსანდრე ბოროვიკმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს. ამის შესახებ ბოროვიკმა „ფეისბუკის“ გვერდზე დაწერა.

– ძალიან მალე ჩვენ პოლიტიკური პროგრამა გვექნება. ეს, ფაქტობრივად, წინასაარჩევნო პროგრამა იქნება. ეს იქნება მემარჯვენე ცენტრისტული, ფისკალურ-კონსერვატიული და სოციალურ-ლიბერალური პროგრამა.

ჩვენ გვსურს, დემოკრატიული, ევროპული პარტიული ორგანიზაციის შექმნა, რომლის ლიდერებს დემოკრატიული გზით აირჩევენ, – განაცხადა ბოროვიკმა.

მან სააკაშვილის სიტყვები გაიხსენა, რომელმაც თავის მთავარ მიზნად უკრაინაში პოლიტიკური ელიტის გამოცვლა დაასახელა.

– თუ თქვენ მინისტრთა კაბინეტის სამდივნოს შეხედავთ, ეს სულ „ძველი“ ადამიანები არიან. იგივე ხდება მათ პარტიებშიც. ასეთი ხალხი არის „პოროშენკოს ბლოკშიც“ და „იულია ტიმოშენკოს ბლოკშიც, – აცხადებს ბოროვიკი. (kvira.ge)

## ცოტნე გამსახურდია: ვაიმე, რამდენს ჰქონია სექსი გურჯისტანში, რაღა გვეშველება



ცოტნე გამსახურდია საკუთარ „ფეისბუკ“ გვერდზე სტატუსს აქვეყნებს:

– ვაიმე, რამდენს ჰქონია სექსი გურჯისტანში, რაღა გვეშველება... წილხვედრის სტატუსი არ ჩამოგვერთვას! მალე, მგონი, ვუაიერიზმიდან (ჭუჭრუტანიდან ყურებიდან) ეგზიბიციონიზმში (საჯარო და დემონსტრაციულ ჩვენებებში) გადავიჭრებით და მერე ნახეთ, რამდენი საინტერესო რამე აღმოჩნდება...

ისე, რა მაცინებს, მარა, მგონი, ამ ყველაფრიდან საუკეთესო გამოსავალი სწორედ სიცილია. (live24.ge)

## სანდრო ბრეგაძე იმ პირებს ასახელებს, რომლებმაც ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვასთან დაკავშირებით ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს



მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე იმ პირებს ასახელებს, რომლებმაც ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვასთან დაკავშირებით ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს.

– პარლამენტს ჩაბარდა 80 პატრიოტი პარლამენტარის ხელმოწერა, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენს ინციატივას იმის შესახებ, რომ კონსტიტუციით აიკრძალოს იდენტურსქესიანთა ქორწინება. დიდი მადლობა მათ. მივმართავ მათ, ვისაც არ მოუწერია ხელი საკონსტიტუციო შესწორებისთვის, რომ მხარი დაუჭიროთ აღნიშნულ ინიციატივას – დავით უსუფაშვილი, გიორგი ბარამიძე, როლანდ ახალაია, ლევან ბერძენიშვილი, დავით ბერძენიშვილი, გივი თარგამაძე, თამარ კორძაია, აკო მინაშვილი, თამარ ხიდაშელი, ჩიორა თაქთაქიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, ნუგზარ წიკლაური, ვახტანგ ხმალაძე, პავლე კუბლაშვილი, ირმა ნადირაშვილი, ლევან ბეჟაშვილი, სერგო რატიანი, კობა სუბელიანი, ზურაბ ჯაფარიძე, დავით ბეჟუაშვილი, გიორგი გაბაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, დავით დარჩიაშვილი, გიორგი ვაშაძე, ნოდარ ებანოიძე, მარიამ საჯაია, ლევან თარხნიშვილი, გიორგი კანდელაკი, გიორგი კარბელაშვილი, ზაზა კედელაშვილი, ტარიელ ლონდარიძე, ვახტანგ ლემონჯავა, პაატა ლეჟავა, გიორგი მელაძე, ზურაბ მელიქიშვილი, კობა ნაყოფია, – წერს სანდრო ბრეგაძე. (sazogadoeba.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**(შეკრების დრო და ადგილი: 19 მარტი, 14:00 საათი. დიღომი (ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორია). ავტომობილებით საპროტესტო მსვლელობა დაიწყება 15:00 საათზე და დასრულდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან)**

**„ალიას“ ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– არაერთხელ გვითქვამს, რომ თბილისი განწირულია სატრანსპორტო კოლაფსისთვის, მუდმივად უწყვეტი და აუტანელი საცობები, კატასტროფულად გაზრდილი ავტოსაგზაო შემთხვევები, მძიმე ეკოლოგიური პრობლემები, გაუმართავი და ამორტიზებული საქალაქო ტრანსპორტი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, არაჯეროვნად შესრულებული საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, მოუწესრიგებელი პარკირების სისტემა და სხვა უამრავი პრობლემაა, მაგრამ ხელისუფლებამ ვერც ერთი ქმედითი ნაბიჯი ვერ გადადგა, რაც არსებულ პრობლემებს მოაგვარებდა. ამ უუნარობას დაემატა ახალი ტენდენცია, ხელისუფლება რეგულაციებისა და აკრძალვების სენმა შეიპყრო. ნაცვლად იმისა, რომ მოეგვარებინათ პრობლემები, დაიწყეს რეგულაციებზე, აკრძალვებსა და სანქციებზე მუშაობა.

**— 200 ლარიან ჯარიმებს გულისხმობთ?**

– მარტო ჯარიმებს არა, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას, განბაჟებისა და ავტომობილების გაძვირებას, მართვის მოწმობებზე ქულობრივი სისტემის შემოღებას და ჩამორთმევას, ჯარიმების გამკაცრებას... ყველამ, კარგად ვიცით, რა მოტივი ამოძრავებდა შს სამინისტროს, როცა საგზაო მოძრაობის შესახებ ახალი საკანონმდებლო პაკეტი შეიმუშავა. მათ სურდათ, თბილისის მერია გამოეყვანათ არსებული ჩიხიდან, რეგულაციების მეშვეობით შეემცირებინათ ექსპლუატაციაში მყოფი ავტომობილების რაოდენობა, რაც, მათი აზრით, თბილისს თავიდან აარიდებდა მოსალოდნელ სატრანსპორტო კოლაფსს, რომელიც, რა თქმა უნდა, აბსურდული და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული გადაწყვეტილებაა. ამით, ვერც საცობების პრობლემას აღმოვფხვრით და ვერც მოსალოდნელ სატრანსპორტო კოლაფსს ავირიდებთ თავიდან. თუ გვსურს თბილისში მოძრაობის განტვირთვა და საცობების პრობლემის მოგვარება, აუცილებელია, ხელისუფლებამ შეიმუშაოს სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, მოაგვაროს პარკირების პრობლემა, გამართოს როგორც შუქნიშნები, ასევე საგზაო ნიშნები, განავითაროს ქვეითების ინფრასტრუქტურა, გაზარდოს საპატრულო პოლიციის კომპეტენცია, შეიმუშაოს ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების სწორი ხედვა და სხვ.

რაც შეეხება 200 ლარიან ჯარიმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, უსამართლობაა ამ ოდენობის ჯარიმა. მეორე ის, რომ საზოგადოებას ამ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ აქვს, ამ მუხლით საპატრულო პოლიცია მძღოლების დაჯარიმებას თავს არიდებდა და რამდენიმე კვირაა, რაც მასიურად დაიწყეს სადამსჯელო ღონისძიებების გატარება სწორედ ამ მუხლის საფუძველზე და „სითი პარკის“ ტერიტორიის მიღმა მყოფი მანქანების პატრონებს აჯარიმებენ.

ჩვენ ამ ფაქტს რამდენიმე მიზეზის გამო ვაპროტესტებთ – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩანაწერი: „რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა“ არის ძალიან ბუნდოვანი, პირველ შემთხვევაში, „რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა“, ვითარება გამჭვირვალეა, თუ არასწორ პარკირებას ან ავტომობილის გაჩერებას მოჰყვა ავტოსაგზაო შემთხვევა, ამის დასაბუთება ძალიან მარტივია, სახეზე გვაქვს ავტოსაგზაო შემთხვევა და დგება შესაბამისი ოქმი, მაგრამ მეორე შემთხვევაში, „რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა“, ძალიან რთული დასადასტურებელია, ნამდვილად გამოიწვია თუ არა მძღოლის მიერ ავტომობილის არასწორმა პარკირებამ საავტომობილო საცობი, როცა კანონმდებლობის დონეზე არ არსებობს „საცობის“ დეფინიცია. რა არის საცობი? როგორ უნდა დავდოთ ბრალი მძღოლს საცობის შექმნაში, როცა ამის სამართლებრივი ფორმა არ არსებობს? შესაბამისად, ამ შემთხვევაში საპატრულო პოლიციას აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ ასეთ დარღვევას მისცეს საცობის წარმოქმნის ინტერპრეტაცია, და ხშირ შემთხვევაში მძღოლები უსამართლოდ ჯარიმდებიან 200 ლარით.

ეს, ასევე, არასამართლიანი მიდგომაა დღევანდელ რეალობაში, როდესაც ავტომობილების პარკირების სისტემა საცობების წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია და ავტომობილების რაოდენობა ბევრად აღემატება პარკირების ადგილების რაოდენობას ქალაქში, მძღოლს აიძულებს, ავტომობილი ისეთ ადგილას გააჩეროს, რომელიც კანონმდებლობით არ არის განკუთვნილი პარკირებისთვის. იმის ნაცვლად, რომ მთავრობამ ნარმანიას დაპირებული და გაპიარებული მიწისქვეშა და მრავალსართულიანი ავტოსადგომების დროულად მოწყობა მოსთხოვოს, უბრალო ხალხს დაერივნენ. უკვე 2000-მდე მოქალაქე დაჯარიმდა უსამართლოდ 200 ლარით. საზოგადოებაში გაჩნდა პროტესტი. ჩვენ უკვე ასობით მოქალაქე დაგვიკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ ის უსამართლოდ დააჯარიმეს.

**— რას ითხოვთ?**

– დადგა დრო, სამოქალაქო საზოგადოება გავერთიანდეთ სახელმწიფოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ და დავიწყოთ ფართომასშტაბიანი კამპანია.

ჩვენი მოთხოვნებია:

1. საპატრულო პოლიციამ შეწყვიტოს უკანონო დაჯარიმებები;

2. მოხდეს 2016 წლის განმავლობაში გამოწერილი 200-ლარიანი ჯარიმების (საცობის წარმოქმნის ბრალდებით დაწერილი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის, მე-9 ქვეპუნქტის მეორე ნაწილი) ამნისტირება და ბათილად გამოცხადება;

3. არ აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია!

ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოება გამოვდივართ ინიციატივით და რამდენი ორმო, თავახდილი საკანალიზაციო ჭა, ინფრასტრუქტურული უწესრიგობაა ქალაქში, იმდენი 200 ლარი გადაიხადონ თბილისის მერიის თანამშრომლებმა საკუთარი ჯიბიდან იმ მძღოლების სასარგებლოდ, ვინც უსამართლოდ დააჯარიმეს, იმიტომ, რომ გაუმართავი ინფრასტრუქტურა ისეთივე მიზეზია საცობის წარმოქმნისა, როგორც ავტომობილის არასწორი პარკირება.

სახელმწიფოს მხრიდან უსამართლობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ჩვენ ამ უსამართლობას ვერ შევეგუებით, შესაბამისად, ვიწყებთ ფართომასშტაბიან საპროტესტო სამოქალაქო კამპანიას, შევქმენით წინააღმდეგობის მოძრაობა „STOP“. დიახ, STOP იმ უსამართლობას რაც დღეს ქვეყანაში ხდება, STOP უკანონო ჯარიმებს, STOP მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას!

**— როდის გეგმავთ საპროტესტო აქციის გამართვას და სად?**

– ჩვენი საპროტესტო აქცია-მსვლელობა გაიმართება 19 მარტს, შეკრების ადგილი დიღომი, ახალი ოლიმპიური დარბაზების პარკინგი (ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორია, 112-ის საჯარიმო სადგომის უკან), შეკრების დრო 14:00 საათი, ავტომობილებით საპროტესტო მსვლელობა დაიწყება 15:00 საათზე და დასრულდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (აეროპორტის გზატკეცილი).

სხვადასხვა მედიასაშუალებებისა და პრესის წარმომადგენლებს მოგმართავთ თხოვნით, გამომდინარე იქიდან, რომ არ გამოვრიცხავთ, შსს-ს ჰქონდეს მცდელობა, ხელი შეუშალოს და შეაფერხოს ჩვენი მშვიდობიანი საპროტესტო აქცია-მსვლელობა, გთხოვთ, მობრძანდეთ 14 საათზე დანიშნულების ადგილას, მიიღოთ ჩვენთან ერთად მონაწილეობა მსვლელობაში და იყოთ გარანტი ჩვენი უსაფრთხოდ გადაადგილებისა.

ვინც თვლით, რომ უსამართლოდ დაგაჯარიმათ საპატრულო პოლიციამ, ვინც თვლით, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია არ უნდა აიკრძალოს, ვინც თვლით, რომ ეს უსამართლობა უნდა აღმოიფხვრას, გთხოვთ, შემოგვიერთდით, ერთად აღვკვეთოთ ეს უსამართლობა, სამართლებრივი თუ სამოქალაქო პროტესტის გზით.

## 19 მარტს, 14 საათზე ამერიკის საელჩოს ტერიტორიიდან შსს-ს წინააღმდეგ ავტომობილებით საპროტესტო მსვლელობა იწყება




**„სახელმწიფოს მხრიდან უსამართლობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ჩვენ ამ უსამართლობას ვერ შევეგუებით, შესაბამისად, ვიწყებთ ფართომასშტაბიან საპროტესტო სამოქალაქო კამპანიას, შევქმენით წინააღმდეგობის მოძრაობა „STOP“**

## გაათავისუფლეს თუ არა სააკაშვილი გუბერნატორობიდან — უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება



უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ადმინისტრაციამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტიდან გაათავისუფლეს.

ინფორმაციას უკრაინული მედია პეტრო პოროშენკოს პრესმდივნის, სვიატოსლავ ცეგოლკოს განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს:

– ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ცოტა ხნის წინ, პრეზიდენტსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ოდესის ოლქის განვითარების საკითხზე სატელეფონო საუბარი გაიმართა, – განაცხადა ცეგოლკომ.

შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთმა უკრაინულმა გამოცემამ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ოდესის ოლქის გუბერნატორობიდან მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლების ბრძანებას ხელი მოაწერა. (pia.ge)

## „ხალხი აქტიურად განიხილავდა ჩემს „ორგიებს სტუდენტ გოგოებთან“ — გიორგი კეკელიძე



მწერალი გიორგი კეკელიძე პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გასაჯაროებას ეხმიანება:

– კიდევ ერთხელ. რაც შეეხება ამ ვიდეოტერორის კასკადს:

1) უნდა დავცინოთ, უნდა მივახვედროთ, რომ სექსი ცხოვრების ნაწილია, რომ ის ველარ იქნება კომპრომატი ამ საზოგადოებაში. ასეთ ხალხს ყველაზე მეტად სიცილის ეშინია.

2) საზოგადოებამ დაჟინებით მოითხოვოს გამოძიება და საქმე მესამე დინების ნაკადად არ იქცეს.

3) თავის დროზე, როცა ვილაც ხალხი აქტიურად განიხილავდა ჩემს „ორგიებს სტუდენტ გოგოებთან“ – მე დუმილით ვუპასუხე და საქმეების კეთება გავაორმაგე, ვაგრძნობინე, რომ ამგვარ კითხვებზე თავის მართლებაც მათი თამაში იყო და ამას არ ვაპირებდი.

ასეც გირჩევთ. მეტი იგნორირება, მეტი მუშაობა, მეტი თავისუფლება და ეს სახადი მოიხდება, – წერს კეკელიძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (etanews.ge)

## „სტუდენტი ყოველთვის მართალია“ საბჭოთა სტერეოტიპია — ნიკა რურუა



საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს სოციალური ქსელის საშუალებით ეხმაურება:

– მგონია, რომ ამ ჭყლეტაში, რაც ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ხდება, ბოლოს რაღაც ცუდი მოუვა ვიღაცას. რომელიმე სტუდენტს, სავარაუდოდ. ასევე, მგონია, რომ ხელისუფლება ახალისებს გარკვეულ ჯგუფებს ფიზიკური მოძიძგილაო აქტიურობისკენ – სხვაგვარად ისინი ამდენს ვერ გაბედავდნენ.

სახელმწიფო ვალდებულია ელემენტარული უსაფრთხო გარემო უზრუნველყოს პროტესტის ადგილებშიც, რასაც ის ან არ ან ვერ აკეთებს, რაზეც ცალსახად პასუხისმგებელი, ცხადია, ხელისუფლებაა.

ასევე, მიმაჩნია, რომ „სტუდენტი ყოველთვის მართალია“ საბჭოთა სტერეოტიპია და მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი: სტუდენტებითაც შეიძლება ისევე იმანიპულიროს ფულისა და პოლიტიკური ძალაუფლების მქონემ, როგორც ნებისმიერი სხვა ჯგუფით. პოლიციას არ უნდა მოერიდოს საბაზისო წესრიგის დაცვა, სხვაგვარად სახელმწიფო აღარ იარსებებს უფრო მალე, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, – წერს ნიკა რურუა. (ნიუპოსტი)

## არსენი იაცენიუკი გადადგომის სანაცვლოდ სამ პირობას ასახელებს

უკრაინის პრემიერ-მინისტრი, არსენი იაცენიუკი გადადგომის სანაცვლოდ სამ პირობას ასახელებს. ამის შესახებ უმაღლეს რადაში პრეზიდენტის წარმომადგენელმა სტეპან კუბივმა განაცხადა.

მისი თქმით, უკრაინის პრემიერი მზად არის გადადგეს, თუმცა გადადგომამდე უნდა იცოდეს მისი შემცვლელის ვინაობა, ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა და ახალი მთავრობის პროგრამა.

შეგახსენებთ, უკრაინაში საპარლამენტო კოალიცია თებერვალში დაიშალა, მას შემდეგ რაც უმრავლესობა პარტია Самопомощь-მა დატოვა. „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ წევრები და რამდენიმე საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელი კი პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკს რამდენიმე თვეა თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდებენ.

როგორც პეტრო პოროშენკოს პრესმდივანმა განაცხადა, უკრაინის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე შესაბამის კანდიდატებად ფინანსთა მინისტრ ნატალია იარესკოსა და ლვოვის მერს ანდრეი სადოვოის მიიჩნევს. თუმცა ამავდროულად, პრეზიდენტი მზად არის, იმუშაოს ნებისმიერ კანდიდატთან, რომელსაც რადა წარადგენს. (ნიუპოსტი)

# ვინ არის 5 პირი, რომლებიც ფარული ჩანაწერების საქმეზე პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა?



ფარული ჩანაწერების საქმეზე პროკურატურამ 5 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2015 წლის 26 დეკემბერს, გელა ღურწკაიამ ერთ-ერთ გამოცემას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელების მიზნით, წარუდგინა სხვისი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ამსახველი უკანონო ვიდეოჩანაწერი. 2016 წლის 3 თებერვალს მოსამართლის განჩინების საფუძველზე ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა გელა ღურწკაია, რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა მეხსიერების ბარათი, სადაც ჩაწერილი იყო სხვისი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ამსახველი ვიდეოჩანაწერები.

პროკურატურამ ჩატარებული გამოძიებით დაადგინა გელა ღურწკაიას მიერ მოპოვებული ვიდეოჩანაწერების წარმომავლობა და დანაშაულში ჩართულ იმ პირთა წრე, რომლებიც მონაწილეობდნენ ვიდეოჩანაწერების მოპოვებასა და გავრცელებაში. კერძოდ, 2015 წლის დეკემბერში, შს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი ნიკოლოზ ხაჭაპურიძე დაუკავშირდა გელა ღურწკაიას, რომელსაც ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ შესთავაზა ფარული ჩანაწერის ერთ-ერთი გამოცემისთვის გასაღება. თავის მხრივ, ნიკოლოზ ხაჭაპურიძეს ჩანაწერები გადასცა მისმა მეგობარმა ინგა ჩატოიანმა, რომელმაც ვიდეოები 2015 წლის ზაფხულში, მათი რეალიზაციის მიზნით, ადვოკატ ირაკლი ფხალაძისგან მოიპოვა. გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ 2014 წელს ადვოკატმა ირაკლი ფხალაძემ პირადი და ოჯახური საიდუმლოს ამსახველი ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერები გამოართვა ზურაბ ჯამალაშვილს და გადაწყვიტა, ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ მათი გავრცელება. ადვოკატ ირაკლი ფხალაძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, 2016 წლის 13 მარტს ამოღებული იქნა ბრალდებულის პერსონალური კომპიუტერი, სადაც ინახებოდა ხსენებული და სხვა ვიდეოჩანაწერები, რომლებიც, როგორც დგინდება, შექმნილია 2012 წლის ივნისამდე პერიოდში.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ ზურაბ ჯამალაშვილს, რომელმაც ადვოკატ ირაკლი ფხალაძეს მიაწოდა ვიდეოჩანაწერები, ჰყავს შვილი ვასილ ჯამალაშვილი, რომელიც 2012 წლის 18 ივლისიდან – 2012 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდში მუშაობდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მეოთხე სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

ამ ეტაპზე მოცემულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია: გელა ღურწკაიას, ნიკოლოზ ხაჭაპურიძის, ინგა ჩატოიანის, ირაკლი ფხალაძის მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე ვადით. 2016 წლის 14 მარტს, ბრალდებულად დაკავებულ იქნა ზურაბ ჯამალაშვილი, დანაშაულისთვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის I ნაწილით.

ამავდროულად, პარალელურ რეჟიმში, მთავარი პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას მიმდინარე წლის 11 და 14 მარტს ინტერნეტსივრცეში პირადი და ოჯახური საიდუმლოს ამსახველი ვიდეომასალების გამავრცელებელი პირების დადგენა-დაკავების მიზნით. საქმეზე შექმნილია სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობით.

პროკურატურის შუამდგომლობების საფუძველზე,

გაცემულია სასამართლოს განჩინებები, რომლის თანახმად სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნა გაეგზავნა აშშ-ის კომპეტენტურ ორგანოებს, ასევე, youtube-ს, facebook-ს და google-ს სერვერებიდან – IP მისამართების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, რათა დადგინდეს ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა ვიდეომასალის განთავსება ინტერნეტში და მოხდეს დანაშაულთან კავშირში მყოფი ინტერნეტ-მომხმარებლის იდენტიფიცირება. საქართველოს მხარის მიერ შუამდგომლობით მოთხოვნილი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა, ასევე, მოიცავს იმის დადგენასაც, კონკრეტულად ვინ შექმნა „ფეისბუკის“ გვერდი პოლიტიკოსის სახელით, საიდანაც ჟურნალისტებთან და სხვა პირებთან დაიგზავნა ვებგვერდის ლინკი, სადაც განთავსებული იყო ვიდეომასალა.

გამოძიების მსვლელობისას, საქართველოს პროკურატურამ მიმართა youtube-ის ცენტრალურ ოფისს ვიდეომასალასთან დაკავშირებული ინფორმაციის ფიქსაციის მოთხოვნით, რათა ვებგვერდის მიერ გარკვეული დროის შემდეგ ავტომატურ რეჟიმში არ წაშლილიყო IP მისამართების შესახებ ინფორმაცია. აქვე აღსანიშნავია, რომ პროკურატურისა და სამართალდამცავი უწყებების მიერ, შესაბამისი ვებგვერდის ადმინისტრაციასთან დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ამსახველი ვიდეომასალის ბლოკირებისა და საიტიდან მოხსნის მოთხოვნა, რაც დაკმაყოფილდა. ასევე, საქართველოს პროკურატურის მიერ ვიდეომასალის გამავრცელებლის დადგენის და ამ საქმეზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, თბილისში ჩატარდა 6 საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, 5 სხვადასხვა ობიექტიდან გამოთხოვილია გარე სათვალთვალო კამერების ჩანაწერები და უწყვეტად მიმდინარეობს მოპოვებული ვიდეოაუდიომასალის შესწავლა. ამოღებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე დანიშნულია კომპლექსური ექსპერტიზები. გამოკითხულია 10 პიროვნება, ამასთანავე, გამოიკითხნენ ის ჟურნალისტები, ვისაც „ფეისბუკის“ პირად გვერდზე დაეგზავნათ გავრცელებული კადრების შესახებ ინფორმაცია, მოწმეების მონაწილეობით დათვალიერდა აღნიშნულის ამსახველი ელექტრონული მიმოწერა. (pog.gov.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ეს ხდება საარჩევნოდ, თუ ვინმემ არ შეაჩერა, სიტუაცია კონტროლიდან გამოვა“ — ინგა გრიგოლია



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია საქართველოში უკანასკნელ დღეებში მიმდინარე მოვლენებს კიდევ ერთხელ ეხმაურება. გრიგოლიამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ აღნიშნა, რომ 2012 წლის არჩევნებამდე მასზე ფარული ჩანაწერების არსებობის შესახებ გააფრთხილეს:

– მე მქონდა ინფორმაცია, გასულ წლებში, ეს იყო 2012 წლამდე, არჩევნებამდე, როცა შემატყობინეს, რომ ჩემი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები უკვე არსებობდა. მე მაშინ პოლიტიკაში ვიყავი, მაგრამ ის ფაქტი, რომ მე ამის შესახებ გამაფრთხილეს 2012-ში, არ ნიშნავს იმას, რომ იგივე არ ხდება დღეს... გიგი უგულავა და დათო ბაქრაძე თვითონვე საუბრობდნენ, რომ 2012 წლამდე მათაც კი ულებდნენ მეუღლეებთან ერთად. ის, რაც დღეს ჩემს ქვეყანაში ხდება, არის ყოვლად ზღვარსგადასული. მეგონა, ის პოლიტიკოსი, რომლის კადრებიც ვნახეთ, უბრალოდ, თავს მოიკლავდა ან გული გაუსკდებოდა, – განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

გრიგოლია ფიქრობს, რომ ეს ყოველივე საარჩევნოდ ხდება, რასაც შესაძლოა, უმართავი პროცესები მოჰყვეს.

– არ ვყოფილვარ არც ერთ აქციაზე, თუმცა მივდივარ შაბათს, ეს თუ ვინმემ არ შეაჩერა, სიტუაცია კონტროლიდან გამოვა. ეს საარჩევნოდ ხდება, – თქვა ჟურნალისტმა.

გრიგოლია პასუხს ხელისუფლებისგან ითხოვს და აცხადებს, რომ მისი დაცვა შანტაჟისგან სახელმწიფომ უნდა მოახდინოს:

– მე არ მყავს მეუღლე და ალბათ, ამანაც მეტი სიმამაცე შემძინა. ჩემთვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი თემა, ვიდრე ის, რომ მივიღო პასუხი – ვინ გვაშანტაჟებს. უნდა დაისაჯოს კი არა, სამუდამო პატიმრობა უნდა იყოს. გაძლევთ პირობას, ვინც შანტაჟს გვიწყობთ, მე არ მეშინია თქვენი შანტაჟის, ჩაგყვებით ბოლომდე, მე უნდა დამიცვას ჩემმა სახელმწიფომ და მივიღო პასუხი, – განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

გრიგოლია აღნიშნავს, რომ მუქარის შემცველი ვიდეოკადრების არსებობის შესახებ 2012 წელს შეიტყო და ინფორმაციამ, რომ მასზეც არსებობდა პირადი ხასიათის ჩანაწერები, ძალიან აანერვიულა.

– ჩემმა შვილმა დამირეკა და მითხრა, დედა ახლა გამაგრდი, ათჯერ ჩაისუნთქე და მომისმინეო. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიჭირდა, თუმცა მივედი სამსახურში და თემა ღიად გავხსენი. ამოყარონ, გაავრცელონ ამას რამენაირად გადავხარშავ, – თქვა გრიგოლიამ. (ნიუპოსტი)

## მხატვარი ქეთევან იგნატოვა მძარცველმა საკუთარ სახლში დაჭრა



დაჭრა და ძარცვა იგნატოვების სახლში – მხატვარი ქეთევან იგნატოვა მძარცველმა საკუთარ სახლში დაჭრა. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა. ინფორმაციას, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს.

იგნატოვას თქმით, მძარცველი სახლში ორი დღის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ შევიდა. პირველად იგი იგნატოვას მეუღლემ შენიშნა და სახლი დაატოვებინა, თუმცა მეორე დღეს ისევ მიბრუნდა.

მათივე თქმით, მძარცველს ცივი იარაღის მუქარით, დაახლოებით, საათ-ნახევრის განმავლობაში მძევლად ჰყავდა აყვანილი ოჯახის წევრები, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი. ის ძვირფასეულობასა და ფულს ითხოვდა.

მოგვიანებით მძარცველი და ოჯახის უფროსი ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რა დროსაც ყელის არეში დაიჭრა ქეთევან იგნატოვა, მძარცველმა კი მოახერხა სახლიდან გაქცევა და ძვირფასეულობის წაღება ფულთან ერთად.

თვითმხილველების თქმით, ის 30 წლამდე მამაკაცია, რომელსაც კაპიუშონიანი შავი სამოსი ეცვა.

იგნატოვას მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები თითქმის ათი საათის განმავლობაში მუშაობდნენ. (პირველი რადიო)

## ილია კიკაბიძე არავინაა ჩემთვის, გარდა იმისა, რომ არის ქურდი — ლევან გაჩეჩილაძე



ლევან გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ „მაესტროს“ საინფორმაციო გადაცემის ეთერში გასვლისას ლოგოს მოხსნისთვის ილია კიკაბიძე პასუხისგებაში მიეცემა:

– ილია კიკაბიძე არავინაა ჩემთვის, გარდა იმისა, რომ არის ქურდი, რომელმაც ბაია გადაბაძესთან ერთად მოიპარა ეს ერთ მშვენიერ დღეს. აქ მიდის ის, რომ 10 მილიონი ლარი შეიტყაპუნონ და ეს „მაესტროს“ თანამშრომლების სახელით ხორციელდება. ილია კიკაბიძე შპს „სტუდია მაესტროსთვის“ არავინ არ არის. სად არის წერილი, რომ ილია კიკაბიძემ მოხსნა ლოგო? ილია კიკაბიძე აგებს პასუხს იმისთვის, რომ გასცა ბრძანება ლოგოს მოხსნისა. ეს არის მცდელობა იმისა, რომ შემოსავლის წყარო დაეკარგოს ყველას.

ვისი ბრძანებით მოიხსნა ლოგო? მე ეს ბრძანება არ გამიცია და მივმართავ შესაბამის სამსახურებს აღადგინონ კვლავ ლოგო. რამდენადაც მე ვარ შპს „სტუდია მაესტროს“ გენერალური დირექტორი, მივმართავ მას, ვინც ეს ლოგო მოხსნა, აღუდგინეთ ლოგო ტელეკომპანიას. თქვენ ერევით ჩემს პასუხისმგებლობაში, ვინ გასცა ეს ბრძანება? – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. (ნიუპოსტი)

## 26 წლის ქართველი გოგონა, სოლარიუმში 80-პროცენტიანი დამწვრობით, რეანიმაციაში მოათავსეს



თბილისის ერთ-ერთ სოლარიუმში ახალგაზრდა გოგონამ ხელოვნური გარუჯვის შედეგად სხეულის დამწვრობა მიიღო.

როგორც იაშვილის სახელობის თერმული დაზიანებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ხელმძღვანელი გუგა ქაშიბაძე აცხადებს, ხელოვნური გარუჯვის შედეგად პაციენტმა სხეულის 80 პროცენტის დამწვრობა მიიღო.

– დამწვრობის ცენტრში მოთავსდა პაციენტი, რომელსაც I-II ხარისხის დამწვრობა აქვს მიღებული. როგორც გაირკვა, გოგონამ, რომელიც 26 წლის არის, ერთ-ერთ სოლარიუმში ხელოვნური გარუჯვის შედეგად მიიღო სხეულის ზედაპირის დამწვრობა. პაციენტი მოთავსებულია სამედიცინო დაწესებულების რეანიმაციულ და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. მას შესაბამისი მკურნალობა უტარდება. ჩემს პრაქტიკაში ადრეც ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელოვნური გარუჯვის შედეგად პაციენტებმა სხეულის დამწვრობა მიიღეს, თუმცა ასეთი ფაქტი, ვფიქრობ, პირველია. ამ გოგონას სხეულის 80 პროცენტის დამწვრობა მიიღო, – აცხადებს გუგა ქაშიბაძე.

მისი თქმით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. (kvira.ge)

## საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს



საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს სლოვაკი სპეციალისტი ვლადიმირ ვაისი გაწვრთნის.

51 წლის ვლადიმირ ვაისი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დაამტკიცეს.

ცნობილია, რომ ვაისი ბოლოს ყაზახურ „კაირათს“ წვრთნიდა, 2008-2012 წლებში კი სლოვაკეთის ნაკრებს ედგა სათავეში. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სლოვაკეთის ნაკრები სწორედ ვაისმა გაიყვანა. სლოვაკებმა მაშინ ჯგუფში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, იტალიის ნაკრები ჩატოვეს ახალ ზელანდიასთან ერთად. თავად კი პარაგვაისთან ერთად ჯგუფიდან გავიდნენ. (pia.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ბოლო სამი დღის განმავლობაში ძალიან საინტერესო ამბები ტრიალებს როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე ინტერნეტსივრცეში. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის სექსვიდეო აიტვირთა „იუთუბიზე“ და დიდი სკანდალი ატყდა, ბევრს ეგონა, რომ რაღაც პერიოდში შანტაჟი შეწყდებოდა, მაგრამ 14 მარტს სოციალურ ქსელებში ისევ გაჩნდა მუქარა, ახალი ვიდეოს მცირე ფრაგმენტი, კონკრეტული გვარები და მოწოდება, თუ 31 მარტამდე თანამდებობებს არ დატოვებთ, თქვენი სექსუალური ცხოვრების კადრები აუცილებლად აიტვირთებაო. ამჯერად უხილავი ძალა ასახელებს სამ პიროვნებას – თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს, განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესა და ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას. ამას მოჰყვა მძაფრი განცხადებები თითქმის ყველა რანგის ჩინოსნებისგან. ყველა მათგანი ჩანაწერების გავრცელების დამკვეთის და ამტვირთავების უმკაცრესად დასჯას მოითხოვს.

სამწუხაროდ, ბევრმა ვერ გაიგო, რა ხდება ქვეყანაში და თითქმის ყველა ერთ „ჩვენებას“ აწვება, სექსი გვაქვს, ამაში სამარცხვინო არაფერიაო. სამარცხვინო ის კი არ არის, ვის აქვს სექსი და ვის – არა, არამედ ის, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ადამიანთა პირად ცხოვრებას, ვისაც ჰყავთ ქმრები და შვილები.

რაც შეეხება მომდევნო დღეს, ანუ 15 მარტს, დილიდანვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მთავარმა პროკურატურამ ინტერნეტში გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით ორი პირი დააკავა. პირველი, ზურაბ ჯამალაშვილი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, ხოლო მეორე – ადვოკატი ირაკლი ფხალაძე. ცნობისთვის: დაკავებული ჯამალაშვილი იმ ბავშვის, ვასილ ჯამალაშვილის მამაა, რომელსაც 2012 წლამდე საიდუმლო სამსახურში ამუშავებდნენ, კომპიუტერულ ქსელში ვირუსს უშვებდა და კომპიუტერებიდან არამხოლოდ ინფორმაცია გამოჰქონდა, ჩაწერასაც კი ახორციელებდა. როგორც უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ვირუსი ამერიკელებმა გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსეთიდან ჰაკერული თავდასხმების დასაცავად, მაგრამ ვანო მერაბიშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა სხვა მიზნით გამოიყენეს. ვასილ ჯამალაშვილი ამბობს, რომ ფარული მოსმენა თავიდან მისი ჰობი იყო, შემდეგ კი კუდ-ში აიყვანეს სათანამშრომლოდ. ის ამბობს, რომ მამის საქმიანობასთან და აღნიშნულ საქმესთან შეხება საერთოდ არ აქვს.

15 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომლის თანახმადაც, პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ბრალდებით 5 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო: ვინმე გელა ღურწკაიამ გაზეთ „ქრონიკა+“-ში მიიტანა უკანონო ჩანაწერი, სადაც ასახული იყო ერთ-ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრება. ღურწკაია დააკავეს და მისი სახლიდან ამოიღეს კომპიუტერის მეხსიერების ბარათი, სადაც ჩაწერილი იყო სხვისი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ამსახველი ვიდეოჩანაწერები. ამის შემდეგ პროკურატურამ დაადგინა ჩანაწერების წარმომავლობა და დანაშაულში ჩართულ პირთა წრე – კერძოდ, 2015 წლის დეკემბერში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე დაუკავშირდა გელა ღურწკაიას, რომელსაც ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ შესთავაზა ერთ-ერთი ფარული ჩანაწერის მიტანა აღნიშნულ რედაქციაში. ხაჭაპურიძეს ჩანაწერები გადასცა მისმა მეგობარმა, ინგა ჩატოიანმა, რომელმაც ვიდეოები, თავის მხრივ, მოიპოვა ადვოკატ ირაკლი ფხალაძისგან. ასევე, ამ საქმეში ფიგურირებს ზურაბ ჯამალაშვილი. რაც შეეხება ბოლო დღეებში ინტერნეტსივრცეში ატვირთულ ვიდეოებს, პროკურატურის განცხადებით, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნა უკვე გაეგზავნა აშშ-ის კომპეტენტურ ორგანოებს, ასევე youtube-ს, facebook-ს და google-ს სერვერებიდან – IP მისამართების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, რათა დადგინდეს ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა ვიდეომასალის განთავსება ინტერნეტში. აღსანიშნავია, რომ პროკურატურისა და სამართალდამცავი უწყებების მიერ, შესაბამისი ვებგვერდის ადმინისტრაციასთან დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ამსახველი ვიდეომასალის ბლოკირებისა და საიტიდან მოხსნის მოთხოვნა, რაც დაკმაყოფილდა. ამ საქმეზე თბილისში ჩატარდა 6 საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა და 5 სხვადასხვა ობიექტიდან გამოთხოვილია გარე სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. დაიკითხა 10 პიროვნება. ასევე, დაიკითხნენ ის ჟურნალისტები, ვისაც პირადი facebook-ის გვერდზე დაეგზავნათ გავრცელებული კადრების შესახებ ინფორმაცია.

რამდენად პერსპექტიულია ქართული გამოძიების მცდელობა, რომ უცხოური სპეცსამსახურების დახმარებით იპოვოს დამნაშავე თუ დამნაშავეთა ჯგუფი? როგორც ერთ-ერთი ჰაკერი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს ძალიან რთულია, თუმცა არა შეუძლებელი:



# რა პროგრამები არსებობს ფარული ვიდეოების გასავრცელებლად და რით დაგვეხმარება „ეფ-ბი-აი“?

„წარმოიდგინეთ უამრავი კომპიუტერი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ინტერნეტით. არსებობს ასეთი პროგრამა – „აიპი ჩეინჯერი“, ასევე, არსებობს „მაკ ჩეინჯერი“. თუკი მე რაღაც ისეთი მაქვს ჩაფიქრებული, ვიწერ ამ ორ პროგრამას ინტერნეტიდან, „მაკ ჩეინჯერით“ შემიძლია, შევცვალო ჩემი „ვაიფაის“ უნივერსალური კოდი, ანუ სერიული ნომერი და გავავრცელო ყალბი სერიული ნომერი. ჩემი ნომერი დაფარული იქნება და გამოჩნდება სულ სხვა. ახლა გავერკვათ, რა არის „აიპ ჩეინჯერი“: ყველა ვებგვერდს აქვს თავისი „აიპ-მისამართი“, რომლითაც შეგიძლია, ადამიანი იპოვო. ახლა ვინც „ფეისბუკში“ გწერს, თუ მისი „აიპ-მისამართი“ გეცოდინება, შეგიძლია, გაიგო მისი ადგილ-მდებარეობა, ტელეფონის ნომერი და ასე შემდეგ. თუმცა აქ არსებობს პრობლემა, რაზეც ზემოთ გითხარით – თუ ამტვირთავმა გამოიყენა „აიპ ჩეინჯერი“, მას შეეძლო, შესულიყო სხვის კომპიუტერში და იქიდან აეტვირთა ისე, რომ ის სხვა აზრზეც ვერ მოვიდოდა. მე ახლა ვიმყოფები საქართველოში, მაგრამ შემიძლია, შევიდე აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან და ასე შემდეგ, ანუ ნებისმიერი ქვეყნიდან. „აიპ ჩეინჯერს“ ძირითადად იყენებენ აზარტული მოთამაშეები, როცა ისინი რაღაც უკანონობას სჩადიან, ბლოკავენ, მაგრამ მერე შედიან „ჩერეზ“ სხვა ქვეყანა. კონკრეტულ შემთხვევაში, როცა უკანონო ვიდეო აიტვირთა, შესაძლოა, ვიღაცა იყო საქართველოში და, ფაქტობრივად, გაჩვენებს ამერიკას ან თურქეთს, საქართველო საერთოდ არ ჩანს. ეს პროგრამები, რაზეც მე ვლაპარაკობ, არის სრულიად ლეგალური, იყიდება კიდეც, არ წარმოადგენს ჰაკერულ ნამუშევარს. თავიდან ამას დიდი დატვირთვა არ ჰქონდა, ძირითადად თამაშებისთვის იყენებდნენ, მაგრამ მცოდნე ადამიანებმა ფუნქცია შეუცვალეს. შენ, ფაქტობრივად, ამ პროგრამების შემქმნელების „აიპ“-ს იყენებ და ხდები უჩინარი, ვერავინ ველარ გიპოვის, თუ თვითონ პროგრამის შემქმნელებმა არ გაგყიდეს. შეიძლება იქამდე მიაღწიონ სამართალდამცავებმა, მაგრამ მომენტში მაინც გაიჭედონ, რადგან მსგავსი სხვა პროგრამებიც არსებობს. როგორც ხედავთ, თეორიულად დამნაშავის პოვნა შეიძლება, მაგრამ ძალიან ძნელია. თვითონ პროგრამების შემქმნელები, როგორც წესი, არ „ჩაუშვებენ“ ადამიანს, მაგრამ ნურც მაგას გამოვრიცხავთ, გააჩნია, რამდენს შესთავაზებენ. ჩემი აზრით, როცა „იუთუბი“ გათიშეს, აქაც ფული გადაიხადეს. იქ უამრავი რამე ვრცელდება, თვითონ ყურადღებას არ აქცევენ. გვერდის დაბლოკვა ასე მარტივად არ ხდება და არც დაბალ დონეებზე თანხმდება. აქ უკვე ლაპარაკი წავიდა, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას ექმნება საშიშროება. სხვათა შორის, თავიდან „ვიკილიკსმა“ სწორედ აღნიშნული პროგრამები გამოიყენა და ვერც იპოვიდნენ, ერთ-ერთ შინაურს რომ არ გაეყიდა“.

> „ეს პროგრამები არის სრულიად ლეგალური, იყიდება კიდეც, არ წარმოადგენს ჰაკერულ ნამუშევარს. თავიდან ამას დიდი დატვირთვა არ ჰქონდა, ძირითადად თამაშებისთვის იყენებდნენ, მაგრამ მცოდნე ადამიანებმა ფუნქცია შეუცვალეს. შენ, ფაქტობრივად, ამ პროგრამების შემქმნელების „აიპ“-ს იყენებ და ხდები უჩინარი, ვერავინ ველარ გიპოვის, თუ თვითონ პროგრამის შემქმნელებმა არ გაგყიდეს“

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, ასევე, მიმართა „ეფბიაის“. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული გადაღებებისა და ჩაწერების სამმართველოს ყოფილი უფროსი, ბესო ხითარიშვილი ამბობს „ალიასთან“, მსგავსი პროგრამები მართლაც არსებობს, მაგრამ ყველა პროგრამა შექმნილია სპეცსამსახურების მიერ და მიზანი არის ერთი – ადამიანების გაკონტროლება. ელემენტარულია, როცა იქმნება ვირუსი, იქვე იქმნება ანტივირუსიც. ამერიკელებს ისეთი ტექნოლოგიები აქვთ, ჩვენთან შედარებაც არ შეიძლება. თუ იქნება ნება, მათ შეუძლიათ, დაადგინონ ყველაფერი. ჰყავთ ძალიან ძლიერი ჰაკერები და სპეციალისტები, მათთვის შეუძლებელი არაფერია, რადგან აღნიშნული პროგრამები მათივე დაწერილია. ეს პატარა ჯამალაშვილი რას აკეთებდა? იყო ერთი პერსპექტიული ბიჭი, რომელსაც აღმოაჩნდა განსაკუთრებული თვისებები და წაიყვანეს. 2008 წლიდან დაიწყო ჩვენთან შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ პროგრამის ჩაშვება, რათა ხალხი მასობრივად გაეკონტროლებინა და შიში დაეთესა. ამიტომ იძახდნენ „ნაციონალები“, 30 წლით ვართ მოსული ხელისუფლებაშიო. სწორედ ამის იმედი ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, შეცდომები დაუშვეს“.

## ელიზბარ ჯაველიძე: დანაშაულია ისიც, სახელმწიფო მოღვაწე რომ ხარ და თანამდებობის შესაფერისად არ იქცევი!



აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებას დანაშაულს უწოდებს და აცხადებს, რომ ამგვარი ქმედება დაუშვებელი და მიუღებელია საზოგადოებისთვის. მისივე თქმით, ასევე, მიუღებელია, ადამიანი საკუთარ პირად სექსუალურ ცხოვრებაზე საჯაროდ საუბრობდეს.

– პლაკატებით გამოდიან ქუჩაში, განცხადებებს აკეთებენ, რომ სექსი დანაშაული არ არის. ვინ თქვა, რომ სექსი დანაშაულია?! რა თქმა უნდა, სექსი დანაშაული არაა, მაგრამ დანაშაულია ის, რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში ერევი. დანაშაულია ისიც, სახელმწიფო მოღვაწე რომ ხარ და თანამდებობის შესაფერისად არ იქცევი. ბოდიში მომითხოვია, არ შეიძლება, ქალმა გაიხადოს საცვალი და აფრიალოს. მით უმეტეს, პრეზიდენტი, ქვეყნის პირველი პირი, არ შეიძლება, ასე იქცეოდეს. მაშინ როცა უბედურება ტრიალებს ქვეყანაში, ერის გადაგვარება ხდება, ხდება სულიერების მოსპობა, ოჯახების დანგრევა და ა.შ. ამ დროს გამოდის პრეზიდენტი და იძახის, მე მაგარი სექსის კაცი ვარო. ვაი ჩვენს პატრონს, რომ ასეთი პრეზიდენტი გვყავს. ეს არის უბედურება! - აცხადებს ჯაველიძე. (რეპორტიორი)

## „ვისაც საკუთარი გაკლიათ და ამის ყურებით პრობლემებს იხსნით, უყურეთ!“



პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას ეხმაურება:

– შეიძლება ერთი დღე მაინც ვიცხოვროთ სხვისი სექსის გარეშე?

ვისი რა საქმეა, ვინ ვისთან რას შვრება?!

ვისაც საკუთარი გაკლიათ და ამის ყურებით პრობლემებს იხსნით, უყურეთ!

ნორმალურებს დაგვანებეთ თავი!

შ შ!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!

P.S. ისე, თუ რამეა, მე მარცხნიდან გადამიღეთ, პლიიზ, მარჯვენა პროფილი არ მივარგა, – წერს სარიშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (daijesti.pia.ge)

## პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების საქმეს FBI გამოიძიებს



გავლენიანი ბრიტანული გამოცემა The Guardian-ის ინფორმაციით, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების საქმეს FBI გამოიძიებს.

– საქართველოს მთავრობამ აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროს დახმარების თხოვნით მას შემდეგ მიმართა, რაც ორშაბათს პირადი ცხოვრების ამსახველი კიდევ ერთი ვიდეო აიტვირთა, – წერს გამოცემა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 14 მარტს გავრცელებულ ვიდეოში დაანონსდა, რომ თვის ბოლომდე მსგავსი მასალების გამოქვეყნება ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე, ასევე, ცნობილ ჟურნალისტზეც იგეგმება.

– საქართველოს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა სასტიკად დაგმო ვიდეოს გავრცელება და მას „შანტაჟი“ უწოდა. ქვეყნის სპეცსამსახურებს კი სასწრაფო გამოძიებისკენ მოუწოდა, – წერს გამოცემა.

როგორც „გარდიანი“ აღნიშნავს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ აშშ-ის გარდა, საქართველოს მთავრობამ დახმარების თხოვნით ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანასაც მიმართა, თუმცა თეა წულუკიანს არ დაუკონკრეტებია, რომელ სახელმწიფოზეა საუბარი. (ნიუპოსტი)

## „არც უსუსური ხელისუფლების წევრობის სურვილი მაქვს და არც დანაშაულთან თანამონაწილე ხელისუფლების“



– ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ ვერავის დავარწმუნებთ, რომ ხელისუფლება არ არის უუნარო ან თანამონაწილე, თუ საქმე სასწრაფოდ არ იქნება გამოძიებული, – ასეთი კომენტარი გააკეთა „რესპუბლიკელმა“ დავით ბერძენიშვილმა ბოლო დღეებში გავრცელებული ვიდეოკადრების შესახებ.

– მე არც უუნარო, უსუსური ხელისუფლების წევრობის სურვილი მაქვს და არც –დანაშაულთან თანამონაწილე ხელისუფლების. ამიტომ დიდი იმედი მაქვს, დღეს დაწყებული პროცესი მივა ლოგიკურ დასასრულამდე, ვისთანაც არ უნდა მიდიოდეს შეკვეთა. საზოგადოება აღშფოთებულია და პასუხისმგებლობა არის ხელისუფლების მხრებზე. მიუხედავად სირთულეებისა, ძალიან მალე უნდა გაიხსნას ეს დანაშაული, – აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას. (marshalpress.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**„ალიას“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე, დათო ფერაძე ესაუბრა:**

– მასწავლებლებიც „ოდეერების“ პარპაშისა და ინტრიგების მსხვერპლი აღმოჩნდნენ. სისტემაში მიმდინარე პროცესებს ვერ განვიხილავ გამიჯნულად, ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. პროფესიონალი კადრების დევნას სანიკიძის რეჟიმი ახლაც აწარმოებს პირდაპირ თუ ირიბად.

**— ირიბად დევნაში რას გულისხმობთ?**

– სამინისტროს ხელს აძლევს ის გარემოება, რომ ჩაჭრილი მასწავლებლები შემდგომი სტატუსის – უფროსი მასწავლებლისთვის განკუთვნილ მიზერულ სხვაობას ვერ აიღებენ. აი, როგორ მანიპულირებს სანიკიძის უწყება. ამ შედეგებმა უკვე მერამდენედ გვიჩვენა მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის აბსურდულობა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ უწყება არის ფულის მფლანგველი, სახელმწიფო უაზროდ არაფერში ყრის 20 მილიონამდე ლარს. არაფერში!

რაც შეეხება პედაგოგებს, ვინმეს ჰგონია, რომ ამ ქვეყანაში, რომელიმე სფეროში უკეთესი როგორც წესი, მასწავლებლები მხოლოდ მოლოდინის რეჟიმში არიან.

სწორედ სანიკიძის მიზანია სახელმწიფო უნივერსიტეტის ათვისება. კანცლერობის კანდიდატი გიორგი გაფრინდაშვილი, ჩემი ინფორმაციით, სწორედ სანიკიძის ინტერესებში შედიოდა. ცნობილია, ასევე, რომ სანიკიძე და მისი თანამშრომლები აქტიურ ალიანსში არიან უნივერსიტეტის თვითმმართველობასთან. ეს უთხრეს კიდეც სტუდენტებმა და ვერც უარყო. კანცლერის კანდიდატის ჩაგდებით მინისტრს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ამიტომ ახლა მნიშვნელოვანია პაპავას გადაყენება რექტორობიდან. სანიკიძე ამ ტამენტის ინსპექტირების სამმართველოს უფროსად დანიშნა შაშკინმა. რამდენადაც ვიცი, გაბიჩვაძე აქტიურობდა „ნაციონალების“ დროს „საეჭვო“ პოლიტიკური ნიშნის დირექტორებისა და პედაგოგების განთავისუფლებაში. ის უზრუნველყოფდა ხოლმე სამინისტროს თანამშრომელთა „ნაციონალების“ შეკრებაზე გაგზავნას. 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს და შემდგომაც გაბიჩვაძე ავალებდა სამინისტროს თანამშრომლებს ყალბი „ფეისბუკ“-გვერდების რეგისტრირებას, სააკაშვილის დროს მისთვის ხოტბის შესხმას და ბიძინა ივანიშვილისთვის შავი პიარის აგორებას,

# რატომ ჩაიჭრა გამოცდაზე 6 477 პედაგოგიდან 83%? სად არის პრობლემა — პედაგოგებში თუ განათლების სისტემაში?





– ირიბად დევნაში ვგულისხმობ არაადეკვატურ ანაზღაურებას. მასწავლებლების გადინება საგრძნობია. უნდა გვახსოვდეს, რომ მასწავლებლები მარტო იანვრის გამოცდაზე არ „ჩაჭრილან“. ეს წინა გამოცდებზეც ხდებოდა, რაც ტესტების ვალიდურობაზე გვიქმნის ეჭვს. მე პირადად ვფიქრობ, რომ დაწყებითი საფეხურების პედაგოგთათვის განკუთვნილი ტესტების სირთულე 50%-იან ზღვარზე მაღალი იყო და ე.წ. ბარიერი, ანუ 60%-იც მაღალი იყო, თუმცა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია იმ მასწავლებელთა რაოდენობაც, რომლებმაც არა მხოლოდ ზღვარი ვერ გადალახეს, არამედ ძალიან დაბალი შედეგები აქვთ. აი, ეს მომენტია საგანგაშო. ერთადერთი, რაც ცოტა დამაიმედებელია, ისაა, რომ „ჩაიჭრა“ არა დასაქმებულ მასწავლებელთა კორპუსის, არამედ მხოლოდ გამოცდაზე გასულ მასწავლებელთა 83% და აქედან ბევრი იყო მასწავლებლობის მსურველიც. საერთო ჯამში, ეს დასაქმებულ მასწავლებელთა დაახლოებით 10-11%-ია.

**— პრობლემა სადაა, სისტემაში თუ თვითონ პედაგოგებში?**

სიტუაციაა? ზოგადად, განათლების მასიური დეფიციტი, მასიური უწიგნურობა რომ სუფევს, ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება? ესაა ქვეყნის მოცემულობა და რეალობა. დავუშვათ და მასწავლებელთა პროფესიონალიზმის დონე უფრო დაბალი გვაქვს და უფრო რეალურადაც შეფასებული. რა გგონიათ, საიდან შეიძლება ჩავანაცვლოთ ისინი? სადმე არის კიდევ მეორე 70 ათასი, ან 30 ათასი კადრი რეზერვში? ძალიან ბევრი პროფესიონალია, რომელიც სამსახურის გარეშეა და ცხადია, ისინი იმუშავებენ სკოლაში, მაგრამ ოპტიმალური რაოდენობის რესურსს ვერ ნახავთ ამ ქვეყანაში. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ სულელური ანაზღაურების ფონზე სკოლისკენ გახედვა აღარავის უნდა. სამომავლოდაც კი არავინ გეგმავს პედაგოგობას. ეს მოიტანა სანიკიძის პოლიტიკამ.

ამ ყველაფრის პარალელურად, ის, რაც ხდება უნივერსიტეტში, არაა მხოლოდ საუნივერსიტეტო პრობლემა. ამიტომაც მოვუწოდებდი მასწავლებლებს, მშობლებს, საგანმანათლებლო საზოგადოებას, შეერთებოდნენ სტუდენტთა პროტესტს, მაგრამ, შემთხვევაში ორ კურდღელს დაიჭერს – რექტორის პოსტზეც სასურველ კანდიდატს დაასმევინებს და კანცლერის თანამდებობაზეც.

**— პაპავას რატომ ერჩის?**

– მე არ დავიწყებ, პაპავას რექტორული ღვაწლის შეფასებას, მაგრამ სანიკიძის ხედვით, პაპავამ „მართლა დაიჯერა“, რომ უნივერსიტეტი ავტონომიურია და სანიკიძეს იქ არაფერი ესაქმება. იგრძნობა პაპავას „ურჩობა“. ეს ავტონომია ხომ ბლეფია? ამიტომაც, სანიკიძე ამ ურჩობას არ აპატიებს. არ პატიების პირველი მცდელობა იყო სწორედ სასურველი კანცლერის შეგდება, რომელიც სამინისტროს „ოდეერებს“ დაემორჩილებოდა, სანიკიძე რომ პაპავას ერჩის, არც დაუმალავს სტუდენტებთან შეხვედრაზე. ყველანაირად ცდილობდა სიტუაციის პაპავასთვის გადაბრალებას, თუმცა სტუდენტებმა ხმა ჩააწყვეტინეს.

კიდევ ერთხელ მინდა დავასახელო ასეთი ინსტალირებული ხალხი, რომელიც სხვადასხვა ბინძურ დავალებებს ასრულებდა ფარულად და ახლაც იგივეს აკეთებს. მაგალითად: თეონა გაბიჩვაძე – ის შიდა აუდიტის დეპარახლა პირიქით, ამ მთავრობის „სამსახურში“ არიან. ასევე, ირმა გელანტია-ახვლედიანი (აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი) – აღნიშნული პიროვნება 2012 წელს იყო დევნილთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ამ სამსახურიდან გაათავისუფლეს თავისი არაკომპეტენტურობის გამო და დავით მოდებაძის (შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის შტატგარეშე მოადგილე) რეკომენდაციით (დავით მოდებაძის ახლობელი და მეგობარია ირმა გელანტია) და 2013 წელს ჩაწყობილი კონკურსით მოხვდა განათლების სამინისტროში. ირმა გელანტიას ქმარი მუშაობდა სააკაშვილის დაცვაში. დანაშაულებრივი შეთქმულება სახეზეა. ალბათ, ამჟამინდელი პრემიერიც ან სიტუაციის მსხვერპლია, ან ვერ ერევა ამ აგენტურას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ყველა უნდა დავირაზმოთ, რათა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობა სრულად გადავაყენოთ. აქედან გამოსავალია სანიკიძის უწყების წასვლა. ეს დააშოშმინებს სიტუაციას!

## ჯამალაშვილის მეუღლის თქმით, ოჯახს უთვალთვალებდნენ



ზურაბ ჯამალაშვილის ცოლი თეა ჯამალაშვილი აცხადებს, რომ პოლიცია მის ოჯახს ზურაბის დაკავებამდე უთვალთვალებდა.

ჯამალაშვილის თქმით, მათ უცნობი მანქანები ხშირად დაჰყვებოდნენ და სახლთანაც იდგნენ.

– თვალთვალი შევამჩნიე ბოლოს, რასთან დაკავშირებით უნდა ეთვალთვალათ, ჩემთვის უცნობი იყო. პროკურატურამ მომწერა „ესემესი“, რომ ჩემს სახლთან იყვნენ მისულები და ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ და კარს შეანგრევდნენ. ამის შემდეგ წავედი სახლში და როცა მივედი, უკვე სახლთან ჩხრეკა ტარდებოდა, – განაცხადა ჯამალაშვილის მეუღლემ. (პირველი რადიო)

## „გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს აწყობთ თსუ-ში არეულობა, რომ შემდეგ გადაედოს მთელ ქვეყანას“ — ლადო პაპავა



ლადო პაპავამ სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ საკითხზე იმსჯელეს, რექტორის გადადგომის საკითხი კი შეთანხმებული არ არის.

– მე არ ვაპირებ გადადგომას. ავუხსენი მათ, რა სიტუაციაც არის. ისინი მიმართავენ იმ ფორმას, რა ფორმაც აირჩიეს. რჩებიან აკადემიური საბჭოს ოთახში. მე მივეცი მათ პირობა, რომ მათზე რაიმე ზეწოლა, ზეგავლენა დაცვის სამსახურის ან პოლიციის მხრიდან არ განხორციელდება. მათ არავინ არ დაარბევთ, – აღნიშნა თსუ-ს რექტორმა.

როგორც პაპავა ამბობს, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს აწყობთ, იყოს თსუ-ში არეულობა, რომ შემდეგ გადაედოს მთელ ქვეყანას.

– ეს ძალები არსებობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ. ვისაც ქვეყანა უყვარს, ვისაც უნივერსიტეტი უყვარს, არავის უნდა დესტაბილიზაცია, – აღნიშნა პაპავამ და დასძინა, რომ უნდა მოვძებნოთ საერთო შესაძლებლობები, გამოიძებნოს კონსენსუსი.

– ჩვენ არ გვყავს დიდი რაოდენობის დაცვის თანამშრომელი, ამიტომ მოგვიწია პოლიციის გამოძახება, რადგან მარტო დაცვის სამსახური ვერ უზრუნველყოფდა ახალგაზრდების დაშორიშორებას. მოშიმშილე სტუდენტებს ვუთხარი, რომ ეს მათი უფლებაა. არავინ აპირებს მათ ოთახიდან გაშვებას, ჩვენ ახლაც შევთავაზეთ წყალი, რაც არის საჭირო შიმშილობისთვის, ყველაფრით უზრუნველყოფილნი იქნებიან. საუბარსა და დიალოგს ვაგრძელებთ, – აღნიშნა ლადო პაპავამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალური მოძრაობა“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაუქმების ინიციატივით გამოდის

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის, რომელიც ფარულ მიყურადებასა და ვიდეოთვალთვალს ეხება.

პირადი თავისუფლების აქტი ოთხი პრინციპისგან შედგება:

1. გაუქმდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური – სუსი (ყოფილი კუდი);

• მხოლოდ კონტრდაზვერვითი, ანტიტერორისტული და ექსტრემისტული დანაშაულის ბრძოლის მიზნით უნდა შეიქმნას ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო;

• პოლიტიკური პოლიცია უნდა გაუქმდეს – პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური ფიგურების, პარტიების ოფისების და პოლიტიკური შინაარსის მქონე საქმიანობის კონტროლი, თვალთვალი და მოსმენები უნდა აიკრძალოს;

• სააგენტოს ხელმძღვანელი უნდა ექვემდებარებოდეს პრემიერ-მინისტრს და სააგენტოს საქმიანობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა დაეკისროს საქართველოს მთავრობას. სააგენტოს ხელმძღვანელი უნდა ექვემდებარებოდეს ეფექტურ საპარლამენტო კონტროლს;

• „ოდეერების“ ინსტიტუტი კანონით უნდა გაუქმდეს;

• შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსა და მათ შემადგენლობაში შემავალი ცალკეული დეპარტამენტების დებულებებს უნდა ამტკიცებდეს პარლამენტი;

2. ფარული მიყურადებისა და მოსმენების ინსტიტუტის რეფორმა;

• მოსმენების შესახებ კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივა „ეს შენ გეხება“ საკანონმდებლო ინიციატივის შესაბამისად, რათა ფარული მიყურადების, მოსმენების გასაღები გადაეცეს მხოლოდ საერთო სასამართლოებს, მათ შორის გადაუდებელი მოსმენების შემთხვევაშიც გამოირიცხოს უკანონო მიყურადება;

• დღეს სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა დარჩენილი ინტერნეტ აქტივობის და ინტერნეტ კომუნიკაციის მონიტორინგის ფარგლები კანონით უნდა დარეგულირდეს, რათა გამოირიცხოს ინტერნეტ-კომუნიკაციის უკანონო თვალთვალი;

• უნდა გამკაცრდეს პასუხისმგებლობა სამართალდამცავების მხრიდან კანონდარღვევით პირადი შინაარსის შემცველი ინფორმაციის შეგროვება-შენახვა-გავრცელებაზე ან სხვაგვარ უკანონო მიყურადებაზე და თვალთვალის წარმოების დავალების გაცემასა ან/ და შესრულებაზე.

3. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა

• უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რათა გამოირიცხოს სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლების დაუსჯელობა თანამდებობრივი დანაშაულებისთვის. ეს უნდა შეეხოს არა მხოლოდ წამებას, არაადამიანურ და სხვა ძალადობრივ მოპყრობას, არამედ ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს;

• ეს მექანიზმი უნდა შეიქმნას სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით და ანგარიშვალდებული უნდა იყოს მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

4. სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება

• პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის უფლებამოსილება უნდა გაიზარდოს სპეცსამსახურების კონტროლის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სფეროში. (პირველი რადიო)

## ლექტორები შიმშილობას იწყებენ: პროცესებს პრორუსული ძალები მართავენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული აქციის წინააღმდეგ შიმშილობას იწყებენ. როგორც უნივერსიტეტის ლექტორი იზოლდა ჭილაძე აღნიშნავს, პროცესები გარედან არის მართული და რექტორს მოუწოდებს, არ გადადგეს.

– სტუდენტური მოძრაობა აშკარად მართულია გარედან იმიტომ, რომ მონაწილეობენ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. მე მაქვს ეჭვი, რომ ამას მართავს შორიდან პრორუსული ძალები იმიტომ, რომ მთავრობაში არის ომი პრორუსულსა და პროდასავლურ ძალებს შორის. არჩევნების წინ ახლა მოსკოვმა ნახა, რომ მან ვერ მოიყვანა საჭირო პრორუსული ძალა მთავრობაში და ამიტომ უნდა ახლა გააძლიეროს ეს ძალები და პირველ რიგში, აქ ეროვნული დაწესებულება არის ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. ეს პროტესტები მხოლოდ ამას ჰგავს, სხვას არაფერს. ესენი მართული არიან გარედან ისე, რომ თავადაც აზრზე არ არიან ამაში. უნივერსიტეტი დააყენეს საფრთხის წინაშე. სტუდენტურ თვითმმართველობას ყველაზე მეტად მოეთხოვება კანონების ცოდნა და მორჩილება და დემოკრატია არის კანონმორჩილება, რადგან არ ემორჩილებიან კანონებს, პროფესორები ვაცხადებთ შიმშილობას, არ გადადგეს პაპავა, რადგან ეს დაანგრევს უნივერსიტეტს, – აცხადებს ჭილაძე. (პირველი რადიო)

## ვასილ ჯამალაშვილი: მამაჩემთან ახლო ურთიერთობა არ მქონია და დეტალები არ ვიცი

კუდ-ის ერთ-ერთი დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ზურაბ ჯალამაშვილი, რომელსაც ბრალი ჩანაწერების უკანონო მოპოვება-გავრცელების ფაქტზე უკვე წაუყენეს, ცნობილი ჰაკერის, ვასილ ჯამალაშვილის მამაა, რომელიც 2012 წლის ნოემბერში კიბერდანაშაულისთვის, კომპიუტერში უნებართვო შეღწევის ბრალდებით დააკავეს.

როგორც ვასილ ჯამალაშვილი აღნიშნავს, მას მამამისთან ურთიერთობა არ აქვს და საქმის დეტალებზე რაიმე სახის ინფორმაციას არ ფლობს.

– მამაჩემთან ახლო ურთიერთობა არ მქონია და დეტალები არ ვიცი. რაც შეეხება ჩემს კავშირს, მე საერთოდ კავშირი არ მაქვს ამ საქმესთან და დეტალები არ ვიცი. არ ვიცი, რამდენად ჰქონდა წვდომა ფარულ ჩანაწერებზე, არ მგონია. მე არ მქონია არანაირი წვდომა, მე სულ სხვა საქმეზე ვიყავი დაკავებული 2012 წელს, – განაცხადა ვასილ ჯამალაშვილმა. (პირველი რადიო)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# საჭიროა თუ არა სუს-ი და რატომ არ უნდა გაუქმდეს „ოდეერი“?

## რას ამბობს უსაფრთხოების ექსპერტი



„ნაცმოძრაობა“ სუს-ის გაუქმებას მოითხოვს. მათი განცხადებით, სუს-ი არის პოლიტიკური პოლიცია, რომელიც მოქალაქეთა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა თვალთვალს, მიყურადებას, შანტაჟსა და ტერორს ახორციელებს და შორს დგას რეალური სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის სამსახურის ფუნქციებისგან. ისინი მოითხოვენ, რომ სუს-ის ნაცვლად შეიქმნას ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო, რომლის ფუნქციებშიც დარჩება მხოლოდ კონტრდაზვერვითი, ანტიტერორისტული და ექსტრემისტულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურები. უნდა გაუქმდეს ე.წ. ოდეერის ინსტიტუტი – სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში სუს-ის თანამშრომელთა ფარული ჩანერგვის მავნე პრაქტიკა. ქვეყანაში შუბლის ძარღვის დეფიციტია, თორემ ამათ საერთოდ რა ალაპარაკებთ? ქვეყანაში თავის დროზე ვინ შექმნა რეპრესიული მანქანა? რა მნიშვნელობა აქვს, სუს-ი ერქმევა თუ კუდ-ი? „ნაციონალებს“ ოდესმე მოეკითხებათ თავიანთი, მაგრამ მათს ამ ინიციატივაში არის რაციონალური მარცვალი.

ამ მონსტრ უსაფრთხოების სამსახურს ჩვენ, გადასახადების გადამხდელები, იმიტომ ვაფინანსებთ, რომ სახელმწიფოსა და შესაბამისად, მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე იზრუნოს და არა კონკრეტული პოლიტიკური ძალის, ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნებისთვის“ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის გახარჯოს ჩვენი ჯიბიდან გაღებული ფული, ამ ფულით დაქირავებული კადრები და ნაყიდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამოიყენოს.

ცალკე თემაა „ოდეერების“ ინსტიტუტის არსებობა. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში „ოდეერების“ არსებობა და მათი ვინაობა არაერთხელ გაასაჯაროვებულა. სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებებს თავი დავანებოთ. აგერ, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ოდეერი“ რომ არის ჩანერგილი, ეს უნივერსიტეტის რექტორმა, ლადო პაპავამაც დაადასტურა. მეტიც, მისი ვინაობაც კი ყველამ გაიგო – ეს კაცი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსის თანაშემწე, ივა კავსაძეაო. მოკლედ, სუს-ი რეფორმირებას საჭიროებს, აშკარაა, შსს-დან უშიშროების სამსახურების მხოლოდ გამოყოფამ და ცალკე სტრუქტურაში მათმა გაერთიანებამ, ის შედეგი არ გამოიღო, რასაც ველოდით.

იქცა თუ არა კუდ-ის მემკვიდრე სუს-ი დღევანდელი ხელისუფლებისთვის ძალაუფლების შენარჩუნების საშუალებად, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო? ხელისუფლების მსახურია სუს-ი თუ სახელმწიფოსი, რაც მისი მთავარი ფუნქცია-მოვალეობაა? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სუს-ის გაუქმებას და დააზარალებს თუ არა მისი გაუქმება სახელმწიფოს?

**„ალია“ „ნაციონალთა“ ამ ინიციატივების შესახებ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტს, ვახტანგ მაისაიას ესაუბრა, რომელიც მაისაია არ ეთანხმება სუს-ის გაუქმებას:**

„ეს გამოიწვევს ქვეყნის უსაფრთხოების დასუსტებას. სუსში უნდა დარჩეს ყველა სამსახური და ასევე, კონტრტერორისტული ცენტრი, ანტიკორუფციული სააგენტო და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტი. მე, პირიქით, იმის მომხრეც ვარ, რომ სუს-ს ანალიტიკური სამსახური დაემატოს, რომლის გარეშეც მისი გამართული ფუნქციონირება წარმოუდგენელია. მიყურადებისა და თვალთვალის შიშით სუს-ის დაშლა-დასუსტება არ მიმაჩნია მართებულად, როცა ქვეყანა ასეთი საგარეო საფრთხეები წინაშე დგას. მე ვერ გეტყვით, რამდენად პოლიტიზებულია ეს სტრუქტურა, შესაძლოა, ვინმეს ცალკეული ფაქტები აქვს ამის დამადასტურებლად, მაგრამ ეს სტრუქტურა სისტემურად პოლიტიკურ პოლიციას რომ არ წარმოადგენს, ეს შემიძლია დაგიდასტუროთ. ერთადერთი, რაშიც შემიძლია დავეთანხმო „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს, ეს არის სუს-ზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება, მე მათზე შორს წავალ. კარგი იქნება, სუს-ი თუ უშუალოდ პარლამენტის და არა პრემიერ-მინისტრის კონტროლის ქვეშ იქნება. ამისთვის საჭიროა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი გაიყოს, ცალკე შეიქმნას უშიშროების კომიტეტი და მის დაქვემდებარებაში გადავიდეს სუს-ი. ასეა, მაგალითად, ამერიკაში, იქ სენატის დაზვერვის კომიტეტს ექვემდებარება ცენტრალური სადაზვერვო სამსახური და სხვა სადაზვერვო სტრუქტურები. ასევე, საფრანგეთში, ქვეყნის მთავარი უსაფრთხოების სამსახური, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტს ექვემდებარება. ეს მაქსიმალურად გამორიცხავს ერთი პიროვნების თუ ერთი პოლიტიკური ჯგუფის ხელში ამ სტრუქტურის მოქცევას, რადგან მხოლოდ პრემიერი კი არა, დეპუტატთა ჯგუფი, მათ შორის, ოპოზიციონერი დეპუტატები გააკონტროლებენ სუს-ს და მისი პოლიტიკურ მანქანად, რეპრესიების მონსტრად გადაქცევის საფრთხეც მინიმალური იქნება“, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ვახტანგ მაისაია დარწმუნებულია, რომ „ნაციონალებს“ ქვეყნის უსაფრთხოების დასუსტება სურთ, მხოლოდ საკუთარი ბედი და მომავალი აღელვებთ და დღეს ამიტომ წამოსწიეს ეს საკითხი: „ნაციონალებმა“ დაკარგეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და შესაბამისად, კონტროლი ეროვნულ ბანკზე. მალე დაკარგავენ საკონსტიტუციო სასამართლოზე კონტროლსაც, რადგან მის თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს უფლებამოსილების ვადა ეწურება. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უკეთეს შემთხვევაში, მათ ერთი პატარა ფრაქცია ექნებათ პარლამენტში და სულ ეს არის. მოკლედ, ხელიდან ეცლებათ ყველა ის ბერკეტი, რაც დღემდე ჰქონდათ და რის მეშვეობითაც, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენდნენ. ახლა გადაწყვიტეს, ხელი ხელისუფლებისკენ გაიშვირონ, რომ ყველა უბედურება, რაც ქვეყანაში ხდება, მისი ბრალია, მათ შორის ისიც, რაც მათ ჩაიდინეს თავის დროზე. თუ სუს-ს გადაცდომები აქვს, დარწმუნებული ვარ, რომ ამას ისევ „ნაციონალთა“ დავალებით, კუდ-ის ყოფილი კადრები აკეთებენ მათ სასარგებლოდ. დაუკვირდით, სუს-ის რეფორმირებაზე ლაპარაკობენ „ნაციონალები“, ლამის კონცეფცია წარმოადგინეს და არსად, ერთი სიტყვით არ მოითხოვენ, რომ ეს სტრუქტურა გაიწმინდოს კუდ-ის იმ ყოფილი თანამშრომლებისგან, რომელთაც წარსულში დანაშაული აქვთ ჩადენილი. არადა, ასეთები მრავლად არიან და ბევრი მათგანი, წესით, დღეს ციხეში უნდა იჯდეს. აი, ამ კრიმინალი თანამოაზრეების სუს-იდან გაშვებასა და მათ დასჯაზე ერთი სიტყვა მაინც რომ დაესველებინათ „ნაციონალებს“, მათსას რაღაცას დაიჯერებდა კაცი“. – აცხადებს მაისაია.

კი, ბატონო, ვთქვათ, ჯერჯერობით, სუს-ი არ არის პოლიტიკური ტერორის ინსტრუმენტი ამ ხელისუფლების ხელში და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ვინ არის ამ ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი – ბიძინა ივანიშვილი. ამ კაცს მთელი პოლიტიკური და სხვა სახის პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვს, ზის სოლოლაკის შუშის სასახლეში და მთელი მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა ყურმოჭრილი მონებივით ემორჩილებიან. წინ საპარლამენტო არჩევნებია და ძალიან მძიმე არჩევნები გველის. ვინმეს აქვს იმის გარანტია, რომ ყველაფრის მაკონტროლებელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური ტერორის მიზნით არ გამოიყენებს სუს-ს? ვინ გაუწევს წინააღმდეგობას? სუს-ის უფროსი, მისი პირადი დაცვის ყოფილი უფროსი ვახტანგ გომელაური, რომელიც ივანიშვილმა აღაზევა და მისი ერთი სიტყვა საკმარისია, რომ გომელაური პოსტიდან წავიდეს? რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ქვეყნის მთავარი უსაფრთხოების სამსახური ერთ კაცს უდევს ჯიბეში და როგორც მოეხასიათება, ისე არ გამოიყენებს? ჰოდა, მთავარი საფრთხეც აქ არის – მუდამ იმის მარჩიელობაში უნდა ვიყოთ, რომ ივანიშვილს ცუდ გუნებაზე არ გაეღვიძოს და პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს სუს-ი არ მიუქსიოს.

„ნაციონალები“ ამ ქვეყნისთვის სასიკეთოს რომ არ მოინდომებენ, ეს ნაღდია, მაგრამ სუს-ზე კონტროლი რომ უნდა გამკაცრდეს, ამაში „ნაციონალებსაც“ კი ვეთანხმები. ვახტანგ მაისაიას ვარიანტი კი მათსას სჯობს.

ჩვენი არასამთავრობოები კი, დღე და ღამ იმაზე ლაპარაკს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ტერორია და მას სუს-ი ახორციელებს, ერთ საკანონმდებლო ინიციატივას თუ მოამზადებენ, როგორ უნდა იქცეს უშიშროების სამსახური მაქსიმალურად კონტროლირებად ორგანოდ, უმჯობესი იქნებოდა.

რაც შეეხება „ოდეერების“ ინსტიტუტს, ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ ეს ინსტიტუტი გადასახედია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მავანთათვისააო „ოდეერები“ საბჭოური გადმონათში, ჩვენთან ყველაფერი მახინჯურად და უკუღმა კეთდება, თორემ „ოდეერები“ ევროპაშიც ჰყავთო: მაგალითად, საფრანგეთში, ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებაში არის ჩანერგილი უშიშროების თანამშრომელი და მისი ვინაობა ამ დაწესებულებიდან ორმა ან სამმა კაცმა იცის. აქ კი მთელმა უნივერსიტეტმა გაიგო მისი ვინაობა. უმაღლეს სასწავლებელში „ოდეერს“ არაფერი ესაქმება, ეს მართლა საბჭოური გადმონაშთია, მაგრამ სუს-ი ვერ გაექცევა სახელმწიფო-სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებებში „ოდეერების“ მივლინებას. თუმცა, „ოდეერის“ საქმე ინფორმაციის მოპოვება და მისი მიწოდებაა უსაფრთხოების სამსახურისთვის და არა პოლიტიკურ და სხვა პროცესებში ჩარევა და იმის განსაზღვრა, ვინ ქვეყნის მტერია და ვინ – მოკეთე“, – განაცხადა მაისაიამ.

მოკლედ, სუს-ი რეფორმირებასა და დამატებით კონტროლს რომ საჭიროებს, ეს სადავო არ არის. მთავარია, დაიწყოს ეს პროცესები და დანარჩენი მერე გამოჩნდება, რა და როგორ შეიცვლება. ვიმეორებ, ქვეყნის უშიშროების სამსახურის ერთი კაცის ხელში დატოვება დიდი საფრთხე და დანაშაულია.

**წინ საპარლამენტო არჩევნებია და ძალიან მძიმე არჩევნები გველის. ვინმეს აქვს იმის გარანტია, რომ ყველაფრის მაკონტროლებელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური ტერორის მიზნით არ გამოიყენებს სუს-ს?.. რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ქვეყნის მთავარი უსაფრთხოების სამსახური ერთ კაცს უდევს ჯიბეში და როგორც მოეხასიათება, ისე არ გამოიყენებს? ჰოდა, მთავარი საფრთხეც აქ არის...**

## „მე პირადად, მაქვს, მქონდა და მექნება მდიდარი სექსუალური ცხოვრება მომავალში“



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა იმ ადამიანებს მიმართა, რომელთაც ვიდეოკადრების გავრცელებით ემუქრებიან.

– პირველ რიგში, მინდა მივმართო იმ ადამიანებს, რომლებსაც ემუქრებიან შანტაჟით და ვისაც ემუქრება ბნელი ძალა. მინდა მოგმართოთ ჩემ თანამოქალაქეებს – მიუხედავად თქვენი პოლიტიკური შეხედულებისა, მე ვდგავარ თქვენ გვერდით და მუდამ დაგიცავთ, მუდამ სოლიდარული ვიქნები იმ ადამიანების მიმართ, ვის ჩაგვრასაც ვინმე ცდილობს. ამის საბუთად საზოგადოებას ღიად შემიძლია ვუთხრა, რომ სექსი და სექსუალური ცხოვრება არ არის სამარცხვინო. მე პირადად მაქვს სექსუალური ცხოვრება, მქონია სექსუალური ცხოვრება ძალიან მდიდარი და მექნება კიდევ მომავალში და იცოდეთ, რომ დაგიცავთ თქვენ და ამ თემას ყოველთვის მოვაშორებ რაღაც უაზრო შავბნელ სტიგმას, – განაცხადა პრეზიდენტმა. (pia.ge)

## „ამ ჩვენი ლონდრე მარგველათი დაწყებული...“



ცოტნე გამსახურდიას მორიგი „ფეისბუკ“ სტატუსი ფარულ ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით:

– რომელი პოლიტიკოსი ქალი იყო „იუთუბიზე“ ახურუშებული, შსს-მ ბარიკადები რომ აღმართა?

წეღან ერთმა მეგობარმა დაწერა და მეც იმავეს ვფიქრობ: ამ ჩვენი ლონდრე მარგველათი დაწყებული და სხვადასხვა ნილბიანი სახეებით დამთავრებული ყველა რომ ატყდით, სექსი გვაქვს, სექსიო, ვინმეს ქალწული მარიამები ეგონეთ თუ ფრანჩესკო ასიზელები? ვის ახარბებთ თქვენს კრუსუნს, ატყდა გრუზინული მარიაჟობა, რა, იმასაც კი ვერ ხვდებიან, ქალიან-კაციანად, რომ ცალკე აღებული „სექსი“ გრძნობისა და შინაარსის გარეშე (და ამაში „აქანე დავდგამ სწენკას“ სულაც არ ვგულისხმობ) – სადგურის მეძავს გამსგავსებთ, რომელსაც, ალბათ, გინდათ, რომ ჰგავდეთ. ეჰ, რა სწორად თქვა ათიოდე წლის წინათ უცნობმა კოლორიტმა – მალე ბოზობა საქებარი სიტყვა იქნებაო და, აჰანდე! – წერს გამსახურდია. (რეპორტიორი)

## ადვოკატი: მოვალეთა რაოდენობის 90 პროცენტი გაკოტრების საქმის შეჩერების მომხრე იყო



– მოვალეთა რაოდენობის დაახლოებით 90 პროცენტი გაკოტრების საქმის შეჩერების მომხრე იყო, – აღნიშნულის შესახებ გია გაჩეჩილაძის ადვოკატმა, ირაკლი კორძახიამ განაცხადა. მისი თქმით, ლევან გაჩეჩილაძემ სასამართლოს აუდიტის დასკვნა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, „მაესტრო" გადახდისუნარიანია.

– ლევან გაჩეჩილაძემ სასამართლოს ორი აუდიტის დასკვნა წარუდგინა. აუდიტში დეტალურად წერია, რომ „მაესტრო" არ არის გადახდისუუნარო. მისი შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია და არის დაახლოებით 10 მილიონი ლარი, სრულად ფარავს იმ მიმდინარე საოპერაციო ხარჯებს, რომელიც „მაესტროს" აქვს.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ეს იყო მაესტროს მიზანმიმართული და ხელოვნური გაკოტრება, – განაცხადა ადვოკატმა.

შეგახსენებთ, რომ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, „მაესტროს" გაკოტრების საქმე შეწყდა. (businesscontact.ge)

## ევროკავშირი ბანკებს რუსული ობლიგაციების განთავსებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს

– ევროპის ბანკებმა



ევროკავშირის ხელმძღვანელებისგან რეკომენდაცია მიიღეს, რომ რუსეთის მთავრობის ობლიგაციების განთავსებაზე თავი შეიკავონ, – წერს საკუთარ წყაროზე დაყრდნობით Financial Times-ი.

სანქციის წესები პირდაპირ არ უკრძალავს ბანკებს რუსეთის ფედერაციის სუვერენული ფასიანი ქაღალდების განთავსებას, თუმცა მიუთითებს, რომ ფასიანი ქაღალდებით მიღებული შემოსავალი შესაძლოა, „სახიფათო" მიზნებისთვის იქნას გამოყენებული.

გამოცემის თანახმად, თუ ევროპული ბანკები ამაში მონაწილეობაზე უარს განაცხადებენ, მაშინ მოსკოვი იძულებული იქნება, თავისი ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია შეაჩეროს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკულმა ბანკებმა აშშ-ის მთავრობის რეკომენდაციით, ამ გარიგებაზე უარი განაცხადეს. (businesscontact.ge)

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადების შემდეგ, რომ კოალიცია მხარს დაუჭერდა კონსტიტუციაში შესწორების შეტანას, რომლის მიხედვითაც ქორწინება, როგორც ქალისა და კაცის ერთობა, ისე განიმარტებოდა, საკანონმდებლო ინიციატივა უკვე მომზადდა. მართალია, „რესპუბლიკური პარტია" ცვლილებების მომხრე არ არის, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმ 80 დეპუტატისთვის, რომლებმაც საოცნება – კონსერვატორები", „ქართული ოცნება – მრეწველები" და „ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი".

პროექტის თანახმად, კონსტიტუციაში გაიწერება, რომ ოჯახის შექმნის მიზნით ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირია. კერძოდ, კონსტიტუციის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: ქორწინება, რომელიც არის ოჯახის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფაარსებობს კანონი, რომლის თანახმადაც ქორწინება არის ქალისა და კაცის ერთობა და ამის შეცვლას პარლამენტში ხმათა უმრავლესობა სჭირდება, კონსტიტუციის შეცვლას კი – ორი მესამედი. ოდესმე საქართველოში, ათწლეულების ან ასწლეულების შემდეგ, დადგება დრო, როდესაც ერთსქესიანთა ქორწინების მიმართ დამოკიდებულება უფრო ლმობიერი იქნება, ხალხი ამას დაეთანხმება. რის შემდეგაც რომელიც ერთი სქესის მქონე ადამიანებს საშუალებას მისცემს, გააფორმონ ქორწინება. ახლა კი, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რა ჩანაწერი იქნება კონსტიტუციაში, რადგან ჯერჯერობით მოსახლეობა ამისთვის მზად არ არის.

**დავით ქაცარავა, მსახიობი:**

– მას შემდეგ, რაც წამოიჭრა ინიციატივა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ, სწორად მიმაჩნია, რომ კონსტიტუციაში იყოს გაწერილი

## „რომ იცოდეთ, ქორწინება რა მოსაწყენია, ერთი სქესის ადამიანები კი არა, ქალები და კაცებიც აღარ დაქორწინდებოდნენ"



კანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს მიმართეს.

ვინაიდან დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობიდან გამომდინარე, რთული წარმოსადგენია ამ საკანონმდებლო ცვლილებას საკონსტიტუციო უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს, საკითხის გატანის შანსი თითქმის არ არსებობს. ამიტომაც, გამოითქვა ვერსიები, რომ ეს განცხადება მხოლოდ პოპულიზმზეა გათვლილი, თუმცა, სხვების თქმით, საკითხის დასმა სრულიად ლეგალურია...

ქორწინების საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი პარლამენტში ინიცირების ავტორთა შორის „თავისუფალი დემოკრატების" წევრებიც არიან, ხოლო ავტორი ფრაქციები – „ქართული ოცნება", „ქართული ლობითი კავშირი, მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას ემყარება.

რას ფიქრობენ ამ ინიციატივაზე საზოგადოების წარმომადგენლები?

**არჩილ გამზარდია, საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი:**

– ამგვარი ცვლილების აუცილებლობას ვერ ვხედავ, რადგან ჩვენი კანონმდებლობით ეს ისედაც ცხადია. ვფიქრობ, ეს თემა აქამდეც გარკვეულმა ჯგუფებმა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს და არ არის გამორიცხული, დღესაც ამასთან გვქონდეს საქმე.

**შალვა რამიშვილი, ჟურნალისტი:**

– ჩემთვის აბსოლუტურად სულ ერთია, კონსტიტუციაში იქნება თუ არა ეს ჩანაწერი. პარლამენტი კანონის შეცვლაზე დაიწყებს მუშაობას და შეცვლიან კონსტიტუციასაც. რადგან იქამდე შორია, მიმაჩნია, რომ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა, ამით არაფერი ფუჭდება. კონსტიტუციაში ჩაწერით ვითომ უფრო ამყარებენ იმას, რომ არ დაიშვას ერთსქესიანთა ქორწინება, მაგრამ ამის შესაძლებლობას ამ ეტაპზე ისედაც ვერ ვხედავ. ჩვენში საზოგადოებრივი აზრი არ არის მზად ამისთვის. წარმოდგენა არ მაქვს, ჩვენი საზოგადოება ამისთვის მზად როდის იქნება.

**ია ანთაძე, მედიაექსპერტი:**

– თუ მოსახლეობაში იქნება კონსენსუსი ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ, კონსტიტუციაში რაც უნდა ეწეროს, აზრს დაკარგავს, რადგან მაინც ისეთი ცვლილება მოხდება, ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა. ვფიქრობ, რომ ეს კარგი ინიციატივაა და უნდა მიიღონ ეს კანონი!

**ნინა წკრიალაშვილი, მომღერალი:**

– თქვენ რომ იცოდეთ, ქორწინება რა მოსაწყენია და როგორ აფუჭებს ეს შტამპი ქალისა და კაცის ურთიერთობას, ერთი სქესის ადამიანები კი არა, ქალები და კაცებიც აღარ დაქორწინდებოდნენ. ჩემი აზრით, საერთოდ არ არის ეს კანონი საჭირო, ვისაც როგორ გაუხარდება, ისე უნდა მოიქცეს, თუმცა არც იმას ვფიქრობ სწორად, რომ ერთსქესიანთა ქორწინება აკრძალული იყოს, რადგან აკრძალული ხილი უფრო ტკბილი და სასურველია. (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ მყარდება ლარი?





ლარმა დოლარის მიმართ მინიმალურ კურსს 2,50-ს მიმდინარე წლის 28 იანვარს მიაღწია. თებერვალში ლარი 2 თეთრით გამყარდა, მარტიდან კი სწრაფი გამყარება დაიწყო და 15 მარტს ოფიციალურმა კურსმა 2,36 შეადგინა. ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე კი კურსი 2.32-მდე შემცირდა.

ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით ეკონომისტი ბესო ნამჩავაძე საუბრობს:

– ლარის გამყარებას ობიექტური მიზეზები აქვს. თებერვლის საგარეო ვაჭრობის, ფულადი გზავნილებისა და ტურიზმის სტატისტიკამ გვაჩვენა, რომ ამ მიმართულებებით სიტუაცია გაუმჯობესდა. თებერვალში საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობა 19 პროცენტით გაიზარდა. ასევე, თებერვალში, იანვართან შედარებით, ექსპორტი 37 მილიონი დოლარით გაიზარდა, იმპორტიც გაიზარდა 144 მილიონი დოლარით, მაგრამ ეს ზრდა მთლიანად ცე ჰეპატიტის წამლების იმპორტზე მოდის, რომელშიც რეალურად თანხა არ გადაგვიხდია, ამერიკული კომპანია გვჩუქნის. ცე ჰეპატიტის წამლების ღირებულების გამოკლებით, თებერვალში იმპორტი დაახლოებით 50 მილიონი დოლარით შემცირდა. ფულადი გზავნილები თებერვალში, იანვართან შედარებით, 13 მილიონი დოლარით გაიზარდა. სამივე აღნიშნულ მიმართულებაში ზრდა გვაქვს. სავარაუდოდ, ეს ტენდენცია მარტშიც გაგრძელდა. თებერვალ-მარტის ინვესტიციებზე მონაცემები ჯერ არ გვაქვს და არ ვიცით ამ მხრივ რა მიმართულებაა. ლარის მასას რაც შეეხება, მართალია, თებერვალში ბიუჯეტიდან თანხა დეფიციტურად, ნაშთების გამოყენებით იხარჯებოდა, მაგრამ ბიუჯეტის ხარჯების ფულის მასაზე გავლენა ეროვნული ბანკის მიერ სხვა წყაროებიდან ფულის ამოღებამ გააბათილა. მაგალითად, რეფინანსირების სესხები 160 მილიონი ლარით შემცირდა. ჯამში, ლარის მასა არ გაზრდილა. ეს ეკონომიკური ზრდისთვის ცუდია, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში ლარის კურსს ეხმარება. მოკლედ, ასეთი სურათია, ქვეყანაში მეტი უცხოური ვალუტა შემოვიდა, ლარის მასა კი არ გაზრდილა და შედეგად ლარი გამყარდა, – აცხადებს ბესო ნამჩევაძე.

ეკონომიკის ექსპერტ ლევან კალანდაძის პროგნოზით, ლართან დაკავშირებული დადებითი ტენდენცია მიმდინარე თვეებში კიდევ უფრო გაგრძელდება.

– გაზაფხული-ზაფხულის სეზონი ყოველთვის ხასიათდება ლარის გამყარების ტრენდით, ამას თუ დაემატა ისიც, რომ ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ეფექტიანი პოლიტიკა შედეგზე ორიენტირებულ იქნა, ჩვენ შეგვიძლია, მივიღოთ არა მხოლოდ სტაბილურობა ლართან დაკავშირებით, არამედ გარკვეული გამყარების ტენდენცია. არ არის გამორიცხული, რომ 2,2 ნიშნულამდეც მარტივად მოხერხდეს წლის განმავლობაში დაკორექტირება, – აცხადებს კალანდაძე. (forbes.ge; bpn.ge)

## მასწავლებლების, სამაგისტრო გამოცდებისა და საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაცია დაიწყო



16 მარტიდან მასწავლებლების (პედაგოგობის მსურველთა), საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაცია დაიწყო.

აპლიკანტებმა რეგისტრაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე უნდა გაიარონ (online.naec.ge; www.naec.gov.ge). რეგისტრაცია 12 აპრილს 18:00 საათზე დასრულდება, თუმცა მაგისტრანტობის კანდიდატს არჩეული ტესტის ტიპის შეცვლა 1-ელ ივნისის 19:00 საათამდე შეეძლება. (businesscontact.ge)

## ოკუპანტები ჯარიაშენის მცხოვრებთა ხილის ბაღებში ვაშლის მრავალწლიან ნარგავებს ჭრიან და გზა გაჰყავთ

სოფელ ჯარიაშენის განაპირას საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლებმა სამუშაოები განაახლეს.

გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენთან ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულებს ადგილობრივების ბაღებში გზა გაჰყავთ. ჯარიაშენის განაპირას, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება, შეიარაღებული პირები გამოჩნდნენ. ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული შეიარაღებული პირები სოფელ ჯარიაშენის მცხოვრებთა ხილის ბაღებში ვაშლის მრავალწლიან ნარგავებს ჭრიან და გზის გაყვანის სამუშაოებს აწარმოებენ.

რამდენიმე ადგილობრივმა შეიარაღებულებთან გასაუბრებაც შეძლო.

– გზა გაჰყავთ პირდაპირ ჩვენს მიწის ნაკვეთებში. ასევე, სოფლის სტადიონსა და საძოვრებზე. როგორც მათ ჩვენთან საუბრისას განაცხადეს, აღნიშნული ტერიტორია სასაზღვრო ზონას წარმოადგენს. აქ უნდა გავიდეს საოკუპაციო ხაზი და შესაბამისად, ყოველდღიურად პატრულირებისთვის სჭირდებათ გზის მოწესრიგება. ჩვენი ნაკვეთები მთლიანად მოექცა მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე. დაახლოებით 30-40 ჰექტარ მიწის ფართობზე შეგვეზღუდა წვდომა, – განაცხადა სოფელ ჯარიაშენის მცხოვრებმა დავით გოგიაშვილმა.

კიდევ ერთმა ადგილობრივმა ელდარ გოგიაშვილმა შეიარაღებულ ფორმიანებს თხოვნით მიმართა, რომ მის ხეხილის ბაღში მოჭრილი ნარგავები შეშად გამოეტანა, რაზეც თანხმობა მიიღო.

– ვთხოვე, რომ შეშად მაინც წამოვიღებდი ჩემივე ვაშლის ნარგავებს. ამდენი წლის განმავლობაში ვუვლიდი, ამ ტერიტორიაზე ჩემი ორი ნაკვეთი მოექცა. ერთი 30 მეასედია, მეორე კი – 50 მეასედი. მთლიანობაში 80 მეასედი მიწის ნაკვეთი დავკარგეთ. აქ არიან რუსებიც და ოსებიც, – აცხადებს ელდარ გოგიაშვილი. (bpn.ge)

## კვირიკაშვილი პაპავათი უკმაყოფილოა და სიტუაციის განმუხტვას სანიკიძეს ავალებს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი თსუ-ში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ პატივს ვცემ ჩვენი ახალგაზრდების სწრაფვას და სურვილს, უნივერსიტეტი იყოს რეალურად ავტონომიური და გაჯანსაღდეს საუნივერსიტეტო ცხოვრება.

მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარება უკიდურესად დაიძაბა და სტუდენტური პროტესტი რიგ შემთხვევებში სრულიად მიუღებელ მოქმედებებში გადაიზარდა, მთავრობა ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროცესი ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდეს. იმისთვის, რომ კიდევ უფრო არ გამძაფრდეს სიტუაცია და პროცესები უმართავი არ გახდეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დავალება, სასწრაფოდ განმუხტოს ვითარება და გააძლიეროს უსაფრთხოების ზომები.

მოვუწოდებ ყველა მხარეს, მათ შორის ჩვენს ახალგაზრდებს, გამოიჩინონ კეთილგონიერება, რათა პროცესები მშვიდ და ცივილიზებულ ფორმატში გადავიდეს.

ვინაიდან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო პროცესების იმგვარად წარმართვა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სტუდენტებს, მშვიდ და სტაბილურ გარემოში შეძლებოდათ საკუთარი აზრის დაფიქსირება და მათი პოზიცია ყოფილიყო სათანადოდ გააზრებული, ვავალებ განათლების მინისტრს თამარ სანიკიძეს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შეხვედრის ორგანიზება პარიტეტულ საწყისებზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და ხელმძღვანელ პირებთან, რათა მოხდეს შექმნილი პრობლემის უმოკლეს ვადებში გადაჭრა.

დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ახალგაზრდების პოზიცია და მონაწილეობა იმ ახალი რეფორმის შემუშავებაში, რომლებსაც ჩვენ ვგეგმავთ განათლების სისტემაში. მხოლოდ ერთიანი ძალით – დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტების მონაწილეობით შევძლებთ, შევიმუშაოთ ისეთი რეფორმა, რომელიც რეალურად შეცვლის განათლების სისტემას, – ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაში. (პირველი რადიო)



მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

# 5 მოთხოვნა და სტუდენტების ულტიმატუმი კვირიკაშვილს

## რას აპირებენ და რას არ პატიობენ სტუდენტები პრემიერს?





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ დაძაბულობის ეპიცენტრად რჩება. მას შემდეგ, რაც პროტესტის მთავარმა ადრესატმა, კანცლერობის კანდიდატმა გიორგი გაფრინდაშვილმა კანდიდატურა სტუდენტების აქციებისა და მკვეთრი მოთხოვნების შემდეგ მოხსნა, სიტუაცია არ განეიტრალებულა. ახლა უკვე სტუდენტების სხვა ფრთამ, კონკრეტულად კი თვითმმართველობაში გაერთიანებულმა ახალგაზრდებმა ღია და აგრესიული ქმედებები დაიწყეს რექტორის ლადო პაპავას წინააღმდეგ, მისი გადადგომის მოთხოვნით.

თვითმმართველობის წევრებმა ბოლო დღეების განმავლობაში, გადაცმულ უცნობ ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ, შეძლეს უნივერსიტეტის უკანა კარიდან შენობაში შეჭრა და რექტორისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კაბინეტებთან არეულობის მოწყობა. მათ აგრესიულ ქმედებებს წინ ვერ აღუდგა უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახური და ადგილზე მობილიზებული პოლიცია, საბოლოოდ კი პროცესი მას შემდეგ უფრო გამწვავდა, როდესაც თვითმმართველობის სტუდენტები რექტორის კაბინეტში შეიჭრნენ. ანუ თვითმმართველობის წევრებმა ბოლო დღეებში მოახერხეს ყურადღების გადატანა სრულიად სხვა თემაზე.

პროტესტი, რომელიც გაფრინდაშვილისა და „ოდეერების“ წინააღმდეგ, ე.წ. №115 აუდიტორიის სტუდენტებმა დაიწყეს, ერთგვარად გადაფარა თვითმმართველობის წევრების მოთხოვნებმა.

როგორც №115 აუდიტორიის წევრებთან საუბრისას ვარკვევ, თვითმმართველობის უკან ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ კვალს ხედავენ, ასევე ასახელებენ ლევან მურუსიძის გვარს და უშიშროების ძველი თუ ახალი თანამშრომლების ინტერესებს მოიაზრებენ პროცესებში. როგორც ამტკიცებენ, კანცლერობის ყოფილი კანდიდატი გაფრინდაშვილი და მისი თანამოაზრეები უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში წლების განმავლობაში ამ ძალისგან იმართებოდნენ, ახლა კი მათი იდეების მხარდამჭერია თვითმმართველობა, რომელიც ამ გუნდის ხელში იარაღიაო.

„ალიას“ კითხვაზე, თუ ხელისუფლების ინტერესში არაა უნივერსიტეტში არსებული არეულობა, რატომ არ აკეთებს პოლიცია სათანადო რეაგირებას, თვითმმართველობის ოპონენტი სტუდენტები მპასუხობენ, რომ პაპავას რექტორობა ამჟამად არც „ნაცებს“ და არც ხელისუფლებას არ აწყობს, რადგან პაპავა არაა ადვილად სამართავი და შესაბამისად, წინასაარჩევნოდ ხელისუფლებასაც სჭირდება მართული რექტორი და ახალგაზრდობის ძალა.

მოკლედ, „პროტესტანტი“ სტუდენტები თვითმმართველობის უკან ერთგვარ კოჰაბიტაციურ პროცესებს ხედავენ, თუმცა, მათივე თქმით, სრულიად შესაძლებელია თვითმმართველობისა და გაფრინდაშვილის სამეგობროს უკან უშიშროების გარკვეული ჯგუფი იდგეს, რომელიც დღემდე იმართება ყოფილი ხელისუფლებისგან.

„თავის დროზე, „ნაცმოძრაობაც“ და „ოცნებაც“ ცდილობდა თავისიანი კანდიდატის გაყვანას რექტორად, თუმცა შედარებით გამჭვირვალედ ჩატარდა არჩევნები და მკვეთრად მართული რექტორის გაყვანა ვერ მოხერხდა, ამიტომაა ახლა ეს ამბები, გაფრინდაშვილის წარმდგენებმა, კარგად გათვალეს, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას და ახლა ცდილობენ ქაოსის შექმნას უნივერსიტეტში, მათ მოიყვანეს სრულიად უცხო ხალხი და უნივერსიტეტელების სახელით დათარეშობენ დერეფნებში, მაშინ როცა ჩვენს თანამოაზრეებს გადაუკეტეს კარები, არ უშვებენ შენობაში და გარეთ გრძელდება ჩვენი ძალის დიდი ნაწილის პროტესტი“. – მეუბნებიან №115 აუდიტორიელები.

თსუ-ს რექტორსა და მის კაბინეტში შეჭრილ სტუდენტებს შორის საუბარი უშედეგოდ სრულდება, რექტორი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, არ მოხდეს ახალგაზრდების ძალადობის გზით გამოყვანა კაბინეტიდან, თუმცა მათი გადადგომის მოთხოვნას მართულ პროცესად აფასებს და პოსტის დატოვებას არ აპირებს.

თვითმმართველობის ერთ-ერთი წევრის, ლევან კეჟერაშვილის ინფორმაციით კი, მისი თანამოაზრეები აკადემიური საბჭოს ოთახში რექტორის გადადგომამდე შიმშილობას აპირებენ.

სრულიად უმოქმედოა შიდა პროცესებში თსუ-ს უსაფრთხოების სამსახური, ჩვენს შეკითხვაზე, რატომ ვერ აღკვეთეს რექტორის კაბინეტში შეჭრა, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები პასუხობენ: „სიტუაციას აკონტროლებს პოლიცია. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. როცა რექტორის კაბინეტი დაიკავეს, პოლიცია არ ახდენდა რეაგირებას, რადგან დანაშაული არ მომხდარა, ვერ ჩავერევითო და ჩვენ რა გავაკეთოთ?“

თსუ-ს ფოიეში განლაგებული 50-მდე პოლიციელიდან ერთ-ერთი კი „ალიასთან“ საუბარში ამბობს, რექტორატის მხარეს კრიმინალური პოლიცია აკონტროლებს და ჩვენ არ გვეხება, მათ მოჰკითხეთ, რატომ არ გააკეთეს რეაგირებაო. თუმცა კრიმინალური პოლიცია განმარტებებს არ აკეთებს და გვეუბნება, რომ აღნიშნულ თემაზე ბრიფინგი ჩატარდება.

უნივერსიტეტში არსებულ უმართავ პროცესების გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და მხარეებს ვითარების დარეგულირებისკენ მოუწოდა, რათა სასწავლო პროცესი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგეს. პრემიერმა, ასევე, შსს-ს და განათლების სამინისტროს მოუწოდა, ყველაფერი გააკეთონ პროცესის მშვიდობიანად დასრულებისთვის.

პრემიერის განცხადება დადებითად შეაფასა რექტორმა, მისი თქმით: „პრემიერ-მინისტრის განცხადება შესატყვისი იყო შექმნილი ვითარების, იმიტომ, რომ არ შეიძლება ასეთი დაძაბული სიტუაცია უნივერსიტეტში დიდხანს გაგრძელდეს“.

როგორც „ალიასთან“ პროტესტის ერთ-ერთი ინიციატორი, მაგისტრანტი ლევან ლორთქიფანიძე აცხადებს: „შიგნით და გარეთ არიან სტუდენტები, უნდა შევაჯეროთ მათთან პოზიცია, სტუდენტების ერთ ნაწილს არ სურს მოძალადეებთან ერთად ერთ მაგიდასთან ყოფნა, რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, თუ მას ნამდვილად სურს სიტუაციის განმუხტვა, ძალოვნებს მოუწოდოს, მოიქცნენ სამართლიანად და ნუ იქნებიან მხარე. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ბლოკირებულია სასწავლო პროცესი, არაა ეს სიმართლე, ჩვენ ვართ №115 აუდიტორიაში და არ ვუშლით სასწავლო პროცესს ხელს და მანამდე სანამ არ დაკმაყოფილდება ჩვენი 5 მოთხოვნა, არ შეწყდება პროტესტი. პირველი მოთხოვნა ეს არის უმაღლესი განათლების შესახებ კანონის რეფორმა, მეორე – ჩვენ ვითხოვთ, რომ თვითმმართველობის ერთადერთ ფუნქციად დარჩეს წარმომადგენლობა სტრუქტურებში და ის თანხა გადანაწილდეს საგრანტო კომისიებზე და სხვადასხვა კლუბებზე, რომლებიც უნივერსიტეტში არსებობენ და იარსებებენ. მესამე – ის, რომ უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა, რექტორთან ერთად, ეკისრება აკადემიურ საბჭოს და იურიდიულ ფაკულტეტს. თუმცა ამ ეტაპზე რექტორის გადადგომა არამართებულად მიგვაჩნია. მეოთხე პუნქტი გახლავთ ის, რომ სანამ მოძალადე-ნიღბიანები, უცნობი ხალხი, რომელიც თავის ვინაობასაც არ ასახელებს, არ გავლენ უნივერსიტეტიდან, ჩვენც დავრჩებით №115 აუდიტორიაში. და მეხუთე და მთავარი – ესაა პასუხი პრემიერ-მინისტრს, მას უკან ვუბრუნებთ კითხვას, გვიპასუხეთ, რას აპირებთ „ოდეერის“ საკითხთან დაკავშირებით, ვინ და როგორ გამოიძიებს ამ თემას? ჩვენ ამ ფაქტს ასე ადვილად არ გაპატიებთ“

საბოლოოდ განათლების მინისტრ სანიკიძესთან შეხვედრაზე მხოლოდ რექტორი პაპავა და თვითმმართველობის წევრები და მათი მხარდამჭერები მივიდნენ, სტუდენტები კი რჩებიან №115 აუდიტორიაში და უნივერსიტეტის ეზოში და მტკიცედ აცხადებენ, რომ პროტესტს მათი მოთხოვნების შესრულებამდე არ შეწყვეტენ.

სტუდენტთა პროტესტის პარალელურად, შეკრება შეძლეს აკადემიური საბჭოს წევრებმა, მათ ვლადიმერ პაპავას ასეთ რთულ სიტუაციაში გადადგომა დაუშვებლად მიიჩნიეს და მათაც უკვე ღიად ისაუბრეს თვითმმართველობის უკან გარე ძალის ჩართულობაზე, აკადემიური საბჭოს სამმა წევრმა კი მოთხოვნით, რომ რექტორი არ გადადგეს, შიმშილობა დაიწყო.

## „აი, ეს გამოარჩევს ინგა გრიგოლიას“ — ნიკა გვარამია



„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, პირადი ცხოვრების კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით, ინგა გრიგოლიას განცხადებას ეხმაურება:

– აი, ეს გამოარჩევს ინგა გრიგოლიას – განსაკუთრებული ნიჭიერება კი არა (რომელიც აქვს), განსაკუთრებული უნარები კი არა (რაც აქვს), უშეცდომობა კი არა (რაც არავის არ აქვს, და ინგასაც ბევრი შეცდომა დაუშვია, მაგრამ ჩემზე ნაკლები, ალბათ), არამედ განსაკუთრებული გამბედაობა და კონტექსტის უბადლო შეგრძნება.

ამიტომაცაა წარმატებული და ამიტომაც მიყვარს ძალიან, – წერს გვარამია სოციალურ ქსელში. (daijesti.pia.ge)

## „ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ კომპრომატად არ იქცეს“ — სოსო ჯაჭვლიანი ფარულ კადრებზე



უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი ინტერნეტში პირადი ცხოვრების კადრების გავრცელებას გამოეხმაურა.

უმრავლესობის წევრის დეპუტატის თქმით, სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევა ამაზრზენია, თუმცა ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მისი პირადი ცხოვრება კომპრომატად არ იქცეს.

– ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს, ყველას თავისი პირადი ცხოვრება აქვს და ამიტომ არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს. მართლა ამაზრზენია ამაზე ლაპარაკი. რომც მქონდეს საშუალება, არ შევხედავ ასეთ რაღაცებს. მაგრამ ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ კომპრომატად არ იქცეს, – განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მშობლებს სთხოვეს, ბავშვებს ტუჩებში არ აკოცონ!



ბავშვთა ფსიქოლოგი შარლოტა რეზნიკი მიიჩნევს, რომ ბავშვებისთვის ტუჩებში კოცნა არც ერთ ასაკში არ ღირს, რადგან ამან შესაძლოა, ბავშვის ადრეული სექსუალიზაცია გამოიწვიოს.

„თუ თქვენ ბავშვს ტუჩებში კოცნით, როდის გეგმავთ ამის შეწყვეტას? როდესაც ის გახდება ოთხის, ხუთის, ექვსი წლის? როდესაც დაიწყება სექსუალურობის გამოვლინება და ტუჩებში კოცნამ შეიძლება ზედმეტად გაამძაფროს ეს გრძნობა?

იმისთვის, რომ თქვენი სიყვარული შეიგრძნოს, ლოყაზე ან შუბლზე კოცნა საკმარისია. ტუჩები – ეს სულ სხვაა, მასში ბევრი ნერვული დაბოლოებაა და ისინი ძალიან მგრძნობიარეა. არ დაივიწყოთ, რომ ტუჩები ეროგენული ზონაა და კოცნის დროს თავის ტვინში „ბედნიერების ჰორმონი“ გადმოიფრქვევა – სეროტონინი და ოქსიტოცინი – რაც აგზნებასთანაა დაკავშირებული. მართალია, პატარები ამას ვერ ხვდებიან, მაგრამ მოზარდებში ამ ყველაფრის სტიმულირება ხდება, – აღნიშნავს რეზნიკი და დასძენს: ასეც რომ არ მოხდეს, ბავშვზე რაღაც კვალს მაინც ტოვებს. როცა დედა კოცნის მამას ტუჩებში და პირიქით, ეს ბავშვებს ყურადღების მიღმა არ დარჩებათ. როცა თავად მათ კოცნიან, გარკვეულ პარალელებს ავლებენ სასიყვარულო მომენტებთან, რომლებსაც ტელევიზორშიც ხშირად ხედავენ“.

ზოგიერთი ფსიქოლოგი არ ეთანხმება უცხოელი კოლეგების მოსაზრებას:

„ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია მშობლების მხრიდან სითბო და სიყვარული. ღიმილი, ჩახუტება, კოცნა – ბავშვისთვის მნიშვნელოვანია. გაიხსენეთ, ბავშვობაში როდესაც რაიმე გვეტკინებოდა, დედა კოცნიდა იმ ადგილს და თითქოს ტკივილი მაშინვე ქრებოდა. რაც შეეხება ტუჩებში კოცნას, ამაზე ნერვიულობა არ ღირს. დიახ, ბავშვს აქვს ეროგენული ზონები, მაგრამ თქვენი კოცნა ნამდვილად არ აღაგზნებს მას დროზე ადრე. მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ. თქვენ ხომ მისი მშობელი ხართ. ნებისმიერ შემთხვევაში თქვენი სითბო, ჩახუტება და კოცნა ბავშვისთვის აუცილებელია. ამიტომ არ შეშინდეთ, მოეფერეთ ჩაკოცნეთ და ჩაეხუტეთ თქვენს შვილებს“. – აცხადებენ ოპონენტები.

*mshoblebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინეთში, ოჯახური ფასეულობებისთვის ზიანის მიყენების გამო, სერიალების ჩვენება აიკრძალა



სერიალები და პროგრამები, რომლებიც ტელევიზიით გადის, არ უნდა შეიცავდეს სცენებსა და სიუჟეტებს, რომლებიც დაკავშირებულია შემთხვევით და ქორწინების გარეშე ნებისმიერ ურთიერთობებთან.

ასევე ერთსქესიან „ურთიერთობებთან“ და მოზარდებს შორის სექსუალურ ურთიერთობებთან – ნათქვამია ჩინეთის სატელევიზიო კომიტეტის მიერ, რომელიც რადიო, კინო და მაუწყებლობას და ასევე, ტელე-დადგმების ინდუსტრიის სატელევიზიო ასოციაციას აერთიანებს.

ამ ინსტრუქციის მიხედვით, სატელევიზიო გადაცემებში არ უნდა ფიგურირებდეს „არატრადიციული სქესობრივი ურთიერთობები და სექსუალური ქცევები“. – იუწყება ShanghaiDaily.com. ასევე, იკრძალება ქორწინების გარეშე ურთიერთობების დემონსტრირება. „ოჯახური ფასეულობებისთვის ზიანის მიყენება“ დაუშვებელია. დოკუმენტი მოიცავს, ასევე, იმ სიუჟეტების აკრძალვასაც, რომელიც ჯადოქრობასთან და რეინკარნაციის იდეებთანაა დაკავშირებული.

სასტიკი დანაშაულის სცენების ამსახველი კადრების ჩვენება და, ასევე, სიუჟეტების, რომლებიც აღწერენ დეტალურ კრიმინალურ გამოძიებას, დაუშვებელია, როგორც დანაშაულის მაპროვოცირებელი კადრები.

ინსტრუქციის თანახმად, ასევე, იკრძალება ტელევიზიით ისეთი ქცევითი მოდელების დემონსტრირება, რომლებსაც შეუძლიათ არასრულწლოვნებისთვის ზიანის მიყენება – როგორიცაა „სასიყვარულო“ სცენები მოზარდებს შორის, მოწევა, ალკოჰოლის გამოყენება, ჩხუბი და სხვა....ეს ინსტრუქცია ვრცელდება, ასევე, ონლაინ-მაუწყებლობაზეც, რომლიც 24 საათის განმავლობაში უფრო მკაცრად გაკონტროლდება.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მილიარდერი, რომელიც ფულის დაზოგვის მიზნით, მეორად ტანსაცმელს იცვამს და თმას იშვიათად იჭრის



მულტინაციონალური კონცერნის Ikea-ს დამფუძნებელი, ინგვარ კამპრადი ამბობს, რომ იგი ფულის დაზოგვის მიზნით, მეორად ტანსაცმელს ყიდულობს.

90 წლის მილიარდერის თქმით, სწორედ მისი ხელმომჭირნეობის დამსახურებაა ის, რომ Ikea დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია.

„არ მგონია, რამე ისეთ ტანსაცმელს ვიცვამდე, რაც ძველმანების ბაზრობაზე არ მიყიდია. ამით მინდა, რომ კარგი მაგალითი ვიყო სხვებისთვის“, – აღნიშნა კამპრადმა.

ამასთანავე, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ამბობს, რომ ის არც თმის შეჭრაში იხდის ბევრს:

„ძირითადად, ვცდილობ, თმა მაშინ შევიჭრა, როდესაც განვითარებად ქვეყანაში ვარ. მაგალითად, ბოლოს ვიეტნამში ვიყავი, სადაც თმა შევიჭერი“, – აღნიშნა კამპრადმა წლების წინათ ერთ-ერთ შვედურ გამოცემასთან ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ იმის გამო, რომ შვედეთში მაღალი გადასახადები თავიდან აეცილებინა, 40 წელი შვეიცარიაში ცხოვრობდა.

კამპრადი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში მე-9 ადგილს იკავებს. მისი ქონება 41.2 მილიარდ დოლარს შეადგენს.

*bpn.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## აი, რატომ ვკრთებით მოულოდნელად ჩაძინების დროს



ზოგჯერ, როდესაც ტკბილად ჩაგვეძინება, ჩვენი სხეული მოულოდნელად კრთება და გვეღვიძება. დაფიქრებულხართ, რატომ ხდება ეს?

ეს თითქმის ყველა ადამიანს გამოუცდია. მისი ერთმნიშვნელოვნად ახსნა რთულია, მეცნიერები ჯერ კიდევ ცდილობენ ამ მოვლენის ბოლომდე ახსნას. ამ ფენომენს ჰიპნაგოგიური მდგომარეობა ეწოდება.

ხშირად ამის მიზეზი შემდეგია: როდესაც ძალიან გადაღლილს ძალიან სწრაფად ღრმად გვეძინება.

ძილის დროს ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო მოქმედებები ნელდება, სისხლის წნევა ეცემა და მთელი ძილის განმავლობაში დაბალ მაჩვენებელზე რჩება.

ორგანიზმი ვერ ახერხებს შემზადებას სხეულში სწრაფი ცვლილებებისთვის, ამიტომ სწრაფ ჩაძინებას და პროცესების შენელებას სხეული ზოგჯერ „სიკვდილად“ თვლის.

სასიცოცხლო მაჩვენებლების შემცირება უბიძგებს თავის ტვინს, რომ რეაგირება მოახდინოს ამ ყველაფერზე, რეალურად გონება მიიჩნევს, რომ რომელიმე ორგანომ შეწყვიტა ფუნქციონირება.

თუმცა, ეს ამ მდგომარეობის ერთ-ერთი ახსნაა, ზოგჯერ მიზეზი ეს სულაც არაა. ჰიპნაგოგიურ მდგომარეობაში სხეული სხვა შემთხვევებშიც ვარდება. მაგალითად, ცუდი და საშიში სიზმრის დროს.

ჰიპნაგოგიური მდგომარეობის მიზეზი შეიძლება ძილის ნაკლებობა, სტრესი და ქრონიკული უძილობა გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ საშიში ამაში არაფერია, უბრალოდ, ზოგჯერ საჭიროა ჩვენი სხეულის სიგნალებს ყურადღება მივაქციოთ და მათ გამომწვევ მიზეზებს ჩავუღრმავდეთ.

*aww.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## პინგვინს ყოველ წელს 8000 კილომეტრის გადაცურვა უხდება, რომ ადამიანს შეხვდეს



პინგვინები რომ მგრძნობიარე ფრინველები არიან, ცნობილია. აღმოჩნდა, რომ მადლიერების გამოხატვაც განსაკუთრებულად შეძლებიათ.

პინგვინის მადლიერების მოწმე და ადრესატია ბრაზილიელი ჟოაო პერეირა სოუზი, რომელმაც 2011 წელს, რიო-დე-ჟანეიროში, სანაპიროზე პატარა, მომაკვდავი პინგვინი ნახა. ჟოაომ ფრინველი გამოკვება, უმკურნალა და ერთი კვირის შემდეგ, როცა პინგვინი მომჯობინდა მისი ზღვაში გაშვება გადაწყვიტა, მაგრამ ფრინველი არ წავიდა და 11 თვე თავის განმავლობაში გადამრჩენელთან იცხოვრა. მოგვიანებით, მოულოდნელად პინგვინი, რომელსაც ჟოაომ დინდიმი დაარქვა, გაქრა. ყველა ამბობდა, რომ აღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა და სანაპიროსგან მოშორებით მდგარ ჟოაოსკენ წავიდა.

მას შემდეგ, დინდიმს ყოველ წელს 8000 კილომეტრის გადაცურვა უხდება, რომ გადამრჩენელს შეხვდეს.

„მიყვარს დინდიმი, როგორც საკუთარი შვილი და მივიჩნევ, რომ მასაც ვუყვარვარ. ყველა ამბობდა, რომ არ დაბრუნდებოდა, მაგრამ დაბრუნდა. ივნისში მოდის და ყოველ წელს უფრო თბილი და ბედნიერიც კი მეჩვენება“, – აღნიშნა ჟოაომ.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანულმა ეკლესიამ სმარტფონით შესაწირის გაღების პროგრამა აკურთხა



თუ მთელი გულით გინდათ შესაწირის ყუთში თანხის ჩაგდება, მაგრამ ნაღდი ფული არ გაქვთ და სიკეთის კეთების წყურვილი გკლავთ, ის დროა, ინგლისისკენ მიმავალ ბილეთს ყიდულობდეთ. იქ არ დაიტანჯებით სიკეთის ვერქმნის სურვილით – ეკლესიას ფულს პირდაპირ... სმარტფონით გადაურიცხავთ.

ინგლისში ძალიანაც პოპულარულია ნაკურთხი აპლიკაციით ეკლესიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა. აპლიკაცია უკვე 100-მა მორწმუნემ გადმოწერა და ღმერთის წინაშე ვალის მოხდაც გაიმარტივა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ უღებენ ფოტოს საკუთარ საკვებს ადამიანები?



ალბათ, სხვადასხვა სოციალურ ქსელში ხშირად გინახავთ, რომ ადამიანები საკუთარი ხელით მომზადებული საკვების ფოტოებს აქვეყნებენ. აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი, მხოლოდ ამ ადამიანების უსაქმურობით არ აიხსნება.

თურმე, ფოტოს წყალობით საკვები უფრო გემრიელი ჩანს და ავტორიც უფრო მადიანად სადილობს.

გამოკითხულთა 90-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ ფოტოს წყალობით უფრო მოდიოდნენ მადაზე.

მეცნიერების თქმით, აღნიშნული ფაქტი იმის დამსახურებაა, რომ ადამიანს ვიზუალით ტკბობის უნარი აქვს, რაც, ბუნებრივია, სადილის გემოზეც მოქმედებს.

ასე რომ, ფოტოს გადაღება ადამიანს პოზიტივს ჩუქნის და ნუ დაგეზარებათ საკუთარი ნახელავის აფიშირება.

*myjane.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. წვრილი სისხლძარღვი
2. ცხიმის გამოსახდელი ხელსაწყო
3. ლენინგრადის ძველი სახელწოდება
4. ქალაქი შოტლანდიაში
5. პატარა ფლეიტა
6. წმინდანი, ირლანდიის სიმბოლო
7. ჩინური კერამიკა
8. ყაიმი
9. ფინეთი, ანუ იგივე ...
10. ცისარტყელას ფერი
11. სახიდან თმის მოცილება
12. ეშმაკი, ანუ ...
13. თათქარიძეების მოახლე გოგო
14. სარწმუნოება ზოგადად
15. კომპოზიტორი ნუგზარ ...
16. გულის მთავარი სისხლძარღვი
17. სიმებიანი მუსიკ. საკრავი
18. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
19. ილია ჭავჭავაძის ლექსი
20. მომღერალი ... ჯაბუა
21. ემიგრაციაში წასული ადამიანი
22. მითიური მებრძოლი ქალი
23. ზევსის მერიქიფე ბიჭი
24. მსახიობი მარლონ ...
25. ქართველი მათემატიკოსი ანდრია ...
26. ღვიძლისგან დამზად. საჭმელი
27. ქოქოსის გული
28. ჰავაიური გიტარა
29. ხის ჯამი
30. მხ/ფ „... 11 მეგობარი“
31. კომპოზიტორი იან ...
32. კონდახიანი მშვილდისარი
33. მდინარე გერმანიაში
34. ჟურნალისტი ... ჟორჟოლიანი
35. მზის სისტემის პლანეტა
36. პიგმალიონის სატრფო
37. ტროპიკული დეკორატ. მცენარე
38. მხოლოდ ტანის ქანდაკება
39. ტროპიკული ვირუსის სახეობა
40. ნორვეგიის დედაქალაქი
41. მევიოლინე ვანესა ...
42. ყველაზე მტკიცე მინერალი
43. მამონტის ხე, ანუ ...
44. პირბადე
45. ხის სოლი
46. მდინარის თევზი
47. ხეობა ახმეტის რაიონში
48. მხ/ფ „101 დალმატინელი“ პერსონაჟი
49. შიიზმის მიმდევარი
50. მსხვილი, მოკლე თითები
51. ფუტკრების სახლი
52. საყვარლის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი
53. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
54. სოფელი ხაშურის რაიონში
55. ქედი რუსეთში
56. ფოლგა
57. ყვავილი
58. მსახიობი ... გარდნერი
59. მწერალი ... დადიანი
60. ძვ. ქართ. თამაში ქამრებით
61. რეჟისორი ელდარ ...
62. მეზურნეთა ანსამბლი
63. სახელმწიფო აფრიკაში
64. ანჩხლი, ავი
65. მსახიობი ... ოტული
66. მასკანი. „... პატიოსნება“
67. ბიბლიური ბრძენი მეფე
68. თოვლის კაცი
69. მუსლიმანური მარხვა
70. მხ/ფ „ჩარლის ...“
71. მდინარე საფრანგეთში
72. პიონერთა დასასვენებელი ადგილი
73. ჩხუბი, კამათი
74. 1000კგ
75. ჩოგბურთელი ... კურნიკოვა
76. დუმბაძე. „თეთრი ...“
77. ადამიანის ზურგის ნაწილი
78. აღმოსავლური სიმღერა
79. ხელის გულზე მკითხაობა
80. სჯობს ..., ვიდრე არასდროს
81. ქსეროპირი
82. სისველე, სინოტივე
83. ლითონი
84. მყარი საწვავი
85. ბასკი მეკარე (წარსულში)
86. მწერალი ტომას მაინ ...
87. ადგილი თეატრში
88. ქალაქი კვიპროსში
89. მცენარე. ისხამს ყურძენს
90. მკურნალობა ნემსის ჩხვლეტით
91. თავის მოსაკვეთი მანქანა
92. მომღერალი ლაიმა ...
93. ისტორიული კრეისერი
94. ლუდის მასალა
95. რეჟისორი ... სკოლა
96. სოფელი რაჭაში
97. ცეცხლის ენა
98. რეგიონი საფრანგეთის ცენტრში
99. მგალობელი ფრინველი
100. სამხედრო შარვალი
101. დირიჟორის სამოსი
102. ჭურჭელი ზოგადად
103. ჩოგბურთის მოედანი
104. სამკურნალო მცენარე
105. ანსამბლი „სტატუს ...“
106. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
107. მსახიობი ... ჰარისი
108. ცხენზე დასაჯდომი
109. „სიყვარული ყველას უნდა“ პერსონაჟი
110. მსახიობი ბერტ ...
111. ბიბლიური მოსეს ძმა
112. შილაფლავის სანელებელი
113. ბუნების ამსახველი ნახატი
114. მგალობელი ფრინველი
115. მიშენება ოთახზე
116. ზამბახი
117. ჩაიკოვსკის ბალეტი
118. ექსპრეზიდენტი რონალდ ...
119. საჭმელად ვარგისი სოკო
120. ეგვიპტელთა ღმერთი ისიდა, იგივე ...
121. ტარაკნის გარეთა ჩონჩხი
122. ნიშნავს ცივს
123. რომის იმპერატორი
124. მსახიობი ... რანევსკაია
125. მოგზაური ჯეიმს ...
126. პატარა დაბალი მაგიდა
127. ცირკის მასხარა
128. მსახიობი რიჩარდ ...
129. საფრანგეთის დედაქალაქი
130. მგალობელი ფრინველი
131. ალკოჰოლური სასმელი
132. სახელმწიფო ევროპაში
133. რევოლუციონერი ... ცეტკინი
134. მომღერალი ... ჯორჯი
135. ტბა თბილისში
136. უქოჩრო თუთიყუში
137. ფრანგული ავტომობილი
138. კუნძული ინდონეზიაში
139. მულტფილმი „..., დამაცადე“
140. ვაჟიშვილი
141. იტალიური ავტომობილი
142. სრუტე ...-მანში





პასუხები: 1. კაპილარი; 2. სეპარატორი; 3. პეტერბურგი; 4. გლაზგო; 5. პიკოლო; 6. პატრიკი; 7. ფაიფური; 8. ფრე; 9. სუომი; 10. იისფერი; 11. ეპილაცია; 12. ტარტაროზი; 13. ლამაზისეული; 14. რელიგია; 15. ერგემლიძე; 16. აორტა; 17. არფა; 18. ფრი; 19. „ელეგია“; 20. მაია; 21. ემიგრანტი; 22. ამორძალი; 23. განიმედი; 24. ბრანდო; 25. რაზმაძე; 26. პაშტეტი; 27. კოპრა; 28. ოკულელე; 29. გობი; 30. ოუშენის; 31. სიბელიუსი; 32. არბალეტი; 33. რაინი; 34. ნანუკა; 35. ვენერა; 36. გალატეა; 37. ბეგონია; 38. ტორსი; 39. ებოლა; 40. ოსლო; 41. მეი; 42. ალმასი; 43. სეკვოია; 44. ვუალი; 45. პალო; 46. კალმახი; 47. პანკისი; 48. კრუელა; 49. შიიტი; 50. კოტიტა; 51. სკა; 52. ალფონსი; 53. მალტა; 54. ტაშისკარი; 55. ურალი; 56. კილიტა; 57. ტიტა; 58. ავა; 59. შალვა; 60. ლახტი; 61. რიაზანოვი; 62. „სოინარი“; 63. მოზამბიკი; 64. კაპასი; 65. პიტერ; 66. სოფლის; 67. სოლომონი; 68. იეტი; 69. რამაზანი; 70. დეიდა; 71. ლუარა; 72. ბანაკი; 73. სკანდალი; 74. ტონა; 75. ანა; 76. ბაირაღები; 77. ბეჭი; 78. ბაიათი; 79. ქირომანტია; 80. გვიან; 81. ასლი; 82. ნესტო; 83. რკინა; 84. ქვანახშირი; 85. ირიბარი; 86. რიდი; 87. იარუსი; 88. ლარნაკა; 89. ვაზი; 90. აკუპუნქტურა; 91. გილიოტინა; 92. ვაიკულე; 93. „ავრორა;“ 94. ალაო; 95. ეტორე; 96. ირი; 97. ალი; 98. ბურგუნდია; 99. შოშია; 100. გალიფე; 101. ფრაკი; 102. ტარა; 103. კორტი; 104. ასკილი; 105. კვო; 106. მათარა; 107. ედ; 108. ენგური; 109. ბურნუთა; 110. რეინოლდსი; 111. აარონი; 112. ძირა; 113. პეიზაჟი; 114. იადონი; 115. ერკერი; 116. ირისი; 117. „მაკნატუნა“; 118. რეიგანი; 119. ნიყვი; 120. იზიდა; 121. ქიტინი; 122. კრიო; 123. ნერონი; 124. ფაინა; 125. კუკი; 126. ტაბლა; 127. კლუნი; 128. გირი; 129. პარიზი; 130. ბულბული; 131. არაყი; 132. დანია; 133. კლარა; 134. ბოი; 135. ლისი; 136. არა; 137. „პეჟო“; 138. იავა; 139. აბა; 140. ძე; 141. „ფიატი“; 142. ლა. იკითხება: პეპელა. ჭიამაია. ფუტკარი.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

**თეიმურაზ თოფურია**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 53 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

**თეიმურაზ თოფურია**

ბატონი თეიმურაზი არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, რაციონალიზატორული წინადადების, საინტერესო იდეისა და პროექტის ავტორია.

ბატონი თეიმურაზის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო გენეტიკური პათოლოგია – კისტური ფიბროზი. მისი ძალისხმევით შეიქმნა კისტური ფიბროზით დაავადებულთა მკურნალობის ორიგინალური სქემა და სპეციალიზებული დახმარების სისტემა. მას არაერთი მიზნობრივი საერთაშორისო დაფინანსება ჰქონდა მოპოვებული ამ და სხვა სერიოზულ პათოლოგიათა კვლევისთვის. ის აქტიურად მუშაობდა ნივთიერებათა ცვლის მოშლის საკითხებსა და ეკოლოგიური მედიცინის აქტუალურ ასპექტებზე.

ბატონი თეიმურაზ თოფურია პრაქტიკული ჯანდაცვის პრობლემების მოსაგვარებელ მართლაც რომ მარათონულ ბრძოლაში იყო ჩაბმული. „ჩვენთვის პრიორიტეტულია ვირუსული დაავადებების კვლევის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სპეციალური მეთოდებისა და პრეპარატების შემუშავება. აღსანიშნავია, რომ პრეპარატების შემუშავება არ არის მხოლოდ ახალი სამკურნალწამლო ფორმების წარმოება, უმთავრესია, მათი კლინიკაში დანერგვა და, ამდენად, ის ჯანმრთელობის დაცვასთან მიბმული პროცესია“, – ამბობდა ბატონი თემური ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას ანიჭებდა. ყოველთვის ცდილობდა, დახმარებოდა მოაზროვნე ახალგაზრდობას პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასა და წინსვლაში. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი მუდმივ ზრდა-განვითარებას მოითხოვს. „მზერა მომავლისკენ“ იყო ის, რისკენაც იგი განუწყვეტლივ ისწრაფვოდა.

ძნელია, ასეთ ადრეულ ასაკში დაემშვიდობო პიროვნებას, რომელშიც ასე ორგანულად იყო შერწყმული მოქალაქეობრივი, პატრიოტული, პროფესიული და ადამიანური ღირსებები. მას კიდევ ძალიან ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის.

გულისტკივილით ვემშვიდობებით თეიმურაზ თოფურიას. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თითოეული ჩვენგანის გულსა და მეხსიერებაში.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი*

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 მარტი:** ისეთი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ, რომელიც დიდი ხნის მოთავებული გეგონათ. უსიამოვნო მომენტია, მაგრამ, რაც მალე მოითავებთ, მით უკეთესი.

**კურო 22.04-21.05**
**16 მარტი:** რაღაც საიდუმლოში ჩახედვა მოგიწევთ, ამას თქვენი ნებით გააკეთებთ, თუ ვინმე გაიძულებთ, სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 მარტი:** ნერვები მოთოკეთ, კოლეგებს არ ეჩხუბოთ და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღოთ. სხვა დანარჩენში შეგიძლიათ, თავისუფლად იმოქმედოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 მარტი:** რაც არ უნდა ხდებოდეს, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცევით. ამისგან თავის დაღწევას ვერ შეძლებთ, უნდა მოითმინოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**16 მარტი:** შეეცადეთ, ყურადღებით იყოთ და სიტუაციაში გაერკვეთ. შეიძლება არსებული რეალობის აღქმაში ძალიან შეცდეთ და პრობლემები შეიქმნათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 მარტი:** თუ დღეს ფულზე ხანგრძლივად იფიქრებთ და ძალიან მოინდომებთ, დღის მანძილზე მოგივათ იდეა, რომელიც ფინანსურად გაგაძლიერებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 მარტი:** დღეს დასვენება მოგინდებათ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოდუნდეთ. რამე აქტიური გასართობი მოძებნეთ და პერიოდულად საქმეებზეც იფიქრეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 მარტი:** საკუთარ აზრებში უნდა გაერკვეთ. როგორც ჩანს, ბევრი ისეთი თემაა, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 მარტი:** თუ ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე არ ჩაიციკლებით, მათ მოგვარებას უფრო იოლად შეძლებთ და სხვა საკითხების გადაწყვეტაც გაგიმარტივდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 მარტი:** ძალიან დაკავებული იქნებით და დიდი ალბათობით, ალტრუისტული საკითხებით. საღამოს, თუკი თქვენს ნამოღვაწარს გადახედავთ, კმაყოფილების გრძნობა დაგეუფლებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 მარტი:** შეიძლება დღეს იმის ახდენა დაიწყოს, რისი იმედიც დიდი ხანია გაქვთ. მოვლენები არ დააჩქაროთ, ყველაფერს ნელ-ნელა მიიღებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**16 მარტი:** შეიძლება დღეს ვიღაც შეგიყვარდეთ. თუ თქვენი გული სხვას ეკუთვნის და არაფრის შეცვლა არ გინდათ, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან სიფრთხილე გმართებთ.

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

მეუღლე მარინა სოსელია და ნანული გენძეხაძე, შვილები ქეთევანი, გიორგი, შვილიშვილი ირაკლი, დეიდაშვილები მურთაზ, თინა დოჭვირები, ნინი, დავით, ნესტან სეფერთელაძეები, ცოლისდა რუსუდან სოსელია, ბიცოლა ემა ჭანჭალეიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირაკლი დავითის ძე გენძეხაძე**

***პანაშვიდი:*** სამშაბათს, ოთხშაბათს, 17 საათზე;
***გამოსვენება:*** ხუთშაბათს, 15 საათზე;
***მისამართი:*** დავით აღმაშენებლის გამზ. №179, III სადარბაზო.

უახლოესი მეგობრები გურამ ტყემალაძე, თამაზ გონგაძე, ნიკო ნემსაძე, ალეკო კურცხალია, ზურა ტყემალაძე, ზურა მირიჯახაშვილი, ანტონ ლეჟავა, გუჯა შაფაქიძე, თამაზ ქვლივიძე, ომარ კაჭარავა მწუხარებით იუწყებიან

**ირაკლი გენძეხაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ბოსტნეულს... ლაპარაკი შეუძლია



მთლად ტელეფონებით რომ ურთიერთობდნენ, არა, მაგრამ ერთმანეთში საუბარი, თურმე, არც ბოსტნეულისთვის ყოფილა უცხო.

ბრიტანელმა ბიოლოგებმა ექსპერიმენტი კომბოსტოზე ჩაატარეს. კერძოდ, მათ ლაბორატორიის ტერიტორიაზე დარგულ ბოსტნეულს პატარა ნაწილი გაუჭრეს, რის შემდეგაც კომბოსტომ გაზი გაუშვა და ამით დაუზიანებელი ნაწილები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გააფრთხილა. თავის მხრივ, მათაც აამუშავეს შიდა მექანიზმები: ბიოქიმიურ ბალანსში სასწრაფოდ ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაცია გაზარდეს, რომლებითაც ჩვეულებრივ, მავნებლების მოგერიება ხდება.

ექსპერიმენტის ხელმძღვანელის განმარტებით, სწორედ ეს გაზია მცენარეების „სასაუბრო ენა“, რადგან სწორედ მისი დახმარებით ხდება გარშემომყოფი „მოძმეების“ გაფრთხილება.

**pronovosti.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ბიკენტი, სად იყავი სამი დღე სამსახურში, რომ არ ჩანდი?

– სანადიროდ ვიყავი, გარეული ღორი გამომეკიდა და ხეზე ძლივს ავასწარი. სამი დღე ხეზე მომიწია ჯდომა.

– კი მარა, სამი დღე რას ჭამდი?

– საჭმელი ჩემს ცოლს ცუცას მოჰქონდა.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.10